საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№14 (343)
13 - 19 აპრილი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



## 3 ბელგია ისლამიზაციასა და ისლამოფობიას შორის



მამა თეოდორე (გიგნაძე): 9

## იმის მაგივრად, დაუყოვნებლივ მოგვეთხოვა პროკურატურისგან, გამოეძიებინა, ნამდვილად ის ქალბატონები არიან იმ კადრებში ასახულნი თუ ეს საშინელი ცილისწამებაა, ერთხმად მოვითხოვეთ მხოლოდ მათი მოძებნა და გასამართლება, ვინც ამგვარი საზიზღრობა გაავრცელა

## «ბატონო ბიძინა, ხომ იცით, რომ ეს ფარული ჩანაწერები სიმართლეს შეესაბამება; ხომ იცით, რომ იმაზე უარესი ჩანაწერებიც არსებობს, ვიდრე გავრცელდა და ამ ხალხთან როგორ მუშაობთ, როგორ ხვდებით ამ ხალხს, ეს ხომ საქართველოს შეურაცხყოფაა?!» 8

# ევროპის მოტაცება 6

## «აჭარის დაკარგვის საფრთხე რეალურია და ამის ნიშნები უკვე აშკარაა» 5

„ბათუმსა და გონიოში კვლავ მუშაობს 200-ზე მეტი საროსკიპო. პროსტიტუცია ბიზნესად გადაიქცა, ჩვენდა სამარცხვინოდ. 2013-2014 წლებში ამერიკის ერთ-ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ ბათუმი და გონიო მსოფლიოში გარყვნილებისა და ტრეფიკინგის ცენტრად გამოაცხადა“



## «საქართველოს საკუთარი პრინციპები და იდეოლოგია არ აქვს და ყველაფერს უცხო ქვეყნების ელჩები და კონსულები გვკარნახობენ»

## «ევროპა კვდება, ამას აკეთებს ნებაყოფლობით და თანაც სიამოვნებას განიცდის» 7

## ყარაბაღის ომი და ნეიტრალიტეტის მოკრძალებული ხიბლი 4

„ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი თავის განცხადებებში აზერბაიჯანის მხარდაჭერისკენ იხრებიან. გამორიცხული არ არის, რომ ამის უკან დგას ერთგვარი სიგნალი ალიევისა და ერდოღანის მიმართ: „დაგვეხმარეთ, ხელისუფლებაში რომ დავბრუნდეთ და თქვენთვის სასურველ პოლიტიკას გავატარებთ“

# «არაგვიც» გაასომხურეს 2

## აკადემია «იუჯი-ლიმესი» მომავალს ქმნის, ანუ თვალსაჩინოებაზე დაფუძნებული განათლება 12

## «პედაგოგთა გამოცდები დისკრიმინაციაა» 9

„ხელფასები გაუზარდონ პედაგოგებს სასწრაფოდ! სამინისტროს წარმომადგენლებს დააკლონ ხელფასები და გადაუნაწილონ მასწავლებლებს“

## «მიგრანტებმა ქაოსი შემოიტანეს გერმანიაში — ქურდობენ, ხშირად აუპატიურებენ გერმანელ ქალებს და ბევრ სხვა დანაშაულს ჩადიან» 13

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ამერიკელმა პოლიციელებმა სამი თვის განმავლობაში 256 ადამიანი მოკლეს

**2016 წლის სამი თვის განმავლობაში ამერიკელმა პოლიციელებმა 256 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს, შარშან კი 990 ადამიანი მოკლეს.** „საზოგადოების წარმომადგენელთა შორის იზრდება პოლიციელების მოქმედებით გამოწვეული უკმაყოფილება. შარშან, მთელი წლის განმავლობაში, სამართალდამცველებმა 990 ადამიანი მოკლეს, წელს კი მხოლოდ სამ თვეში — 256. ამასთანავე, 2015 წელს პოლიციელების მიერ მოკლული 210 ადამიანის ვინაობა საზოგადოებისთვის უცნობია", — იუწყება ამერიკული გამოცემა „ვაშინგტონ პოსტი".





## პუტინმა ყველა ქვეყანას მოუწოდა, ხელი მოაწერონ ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულებას

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საგანგებო განცხადებით ყველა ქვეყანას მოუწოდა, სასწრაფოდ შეუერთდნენ ბირთვული იარაღის გამოცდის საყოველთაო აკრძალვის შეთანხმებას, რომელსაც რუსეთმა ხელი 2000 წელს მოაწერა.**

ამ შეთანხმების რატიფიცირებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს სტაბილურობისთვის, მაგრამ, კეთილგანზრახულობის გაუთავებელი ნაკადის მიუხედავად, დოკუმენტი ბირთვული იარაღის ტოტალურად აკრძალვის შესახებ დღემდე არ ამოქმედებულა 8 სახელმწიფოს გამო, რომლებსაც არ სურთ მისი რატიფიკაცია, ამ „ჯიუტ" სახელმწიფოთა შორის არის აშშ.

„ამ სახელმწიფოების მხრიდან ბირთვული იარაღის გამოცდის საყოველთაო აკრძალვის ხელშეკრულებაზე უარის თქმა სინანულს იწვევს, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მათგან ზოგიერთს მსოფლიოს ლიდერობასა და გლობალური უსაფრთხოების საკითხებში განსაკუთრებულ უფლებებზე აქვს პრეტენზია", — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

ბირთვული გამოცდილების საყოველთაო აკრძალვის შესახებ დოკუმენტი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1996 წელს შეიმუშავა. მას შემდეგ ამ ხელშეკრულებას 180-დან 160 სახელმწიფომ მოაწერა ხელი. ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა **ინდოეთმა, პაკისტანმა და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ. აშშ-მა, ჩინეთმა, ეგვიპტემ, ისრაელმა** და **ირანმა** მოაწერეს, მაგრამ მისი რატიფიცირება ჯერ არ განუხორციელებიათ.



## დავით კეზერაშვილი «პანამურ დოკუმენტებში»

**ე.წ. პანამური დოკუმენტების სკანდალის ერთ-ერთი ფიგურანტი დავით კეზერაშვილია. ინფორმაციას რამდენიმე შვეიცარიული გამოცემა ავრცელებს. საუბარია ჟენევის ბანკში გახსნილ ანგარიშზე, რომელსაც თავდაცვის ყოფილ მინისტრთან დაკავშირებული კომპანია ფლობდა.**

შვეიცარიის ერთ-ერთი მედიასაშუალება აღნიშნავს, რომ დავით კეზერაშვილი თავდაცვის მინისტრის პოსტზე 2 წლის განმავლობაში იყო, რაც საკმარისი აღმოჩნდა ოფშორში 3 კომპანიის დასარეგისტრირებლად.

„პანამური დოკუმენტების" გამოქვეყნების შემდეგ შვეიცარიაში გამოძიება დაიწყო. დოკუმენტებში ლაპარაკია რეგისტრირებულ კომპანიებზე, რომელთა მფლობელები მოქმედი და ყოფილი პოლიტიკოსები, აგრეთვე, ცნობილი სპორტსმენები არიან.

# მიზანი ერთია, დიადი, ნათელი — ნატო!

**ენ-დი-აის, ანუ ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ახლახან გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, ქართველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია:**

სამუშაო ადგილები — ამას ამბობს გამოკითხულთა 57%; ფასების ზრდა/ინფლაცია — 35%; სიღარიბე — 30%; პენსიები — 26%; ტერიტორიული მთლიანობა — 17%; რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება – 12%.

**ევროკავშირში გაწევრებას უმნიშვნელოვანეს საკითხად თურმე 77 % მიიჩნევს, ნატოში გაერთიანებას – 69 %. აი ასე — საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-დემოგრაფიული მდგომარეობა კატასტროფულია და თურმე ერთი ნათელი მიზნისკენ მიილტვის ერი — ეს არის ნატო!**




# «არაგვის» გაასომხურეს

## ლეგენდარული ქართული რესტორანი სომხებმა ხელახლა გახსნეს

**გასულ კვირას მოსკოვში ზედიზედ ორ საღამოს სიმღერით, ცეკვითა და კონიაკით მიმდინარეობდა თავის დროზე ძალიან პოპულარული ქართული რესტორნის — „არაგვის" ხელახლა გახსნის ცერემონია. პირველი, უფრო კამერული საღამო წაიყვანა მსახიობმა და რეჟისორმა ბენიამინ სმეხოვმა, იმღერა ნანი ბრეგვაძემ.**

მოწვეულ სტუმრებს შორის იყო რესტორან „არაგვის" პირველი დირექტორის — **ლონგინოზ სტაჟაძის** შვილი, მოსკოვის ექსტერნული სამედიცინო დახმარების სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ლევან სტაჟაძე.**

დახურვიდან 12 წლის შემდეგ ლეგენდარული რესტორანი სტუმრებს წარუდგა სტატუსით — „სომხური რესტორანი ქართული სამზარეულოთი". ამბობენ, რომ რესტორნის რეკონსტრუქცია 25 მლნ დოლარი დაუჯდა კომპანიების — „ტაშირის" ხელმძღვანელ **სამველ კარაპეტიანსა** და მართვის სკოლა „სკოლკოვის" კურსდამთავრებულთა საბჭოს თავმჯდომარე **გორ ნახაპეტიანს**, რომელთა გადაწყვეტილებითაც რესტორანს სახელი არ შეუცვალეს და, მაგალითად, „არარატი" არ დაარქვეს, თანაც სამზარეულო ქართული დატოვეს.

ნახაპეტიანმა სტუმრებს დაათვალიერებინა რემონტის მიმდინარეობისას აღმოჩენილი XVII საუკუნის სათავსი, რომელშიც, ლეგენდის თანახმად, ლავრენტი ბერიას კაბინეტი იყო, აგრეთვე, სიგარების ოთახი, რომელშიც შეიძლება კონიაკ „ლუი XIII"-ის დალევა, და სხვა ღირსშესანიშნაობები.

ჟურნალისტმა **ლეონიდ პარფენოვმა** გაიხსენა, რომ მოსკოვში 1938 წელს რესტორან „არაგვის" დაარსებას ლავრენტი ბერიას უნდა უმადლოდნენ.

საღამო დასრულდა სიმღერით „ჩემი სამშობლო — სომხეთი", რომელიც ანსამბლმა „სულიკომ" შეასრულა.

ვაჰ, დრონი, დრონი?!






# გარყვნილი ერთნაირსქესიანების პირველი ქორწილი უკრაინაში

**კიეველები კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ნანინანატრ ევროპას: ლგბტ-თემის წარმომადგენლებმა — ტიმურ ლევჩუკმა და ზორიან კისმა უკრაინაში პირველი გეი-ქორწილი გადაიხადეს.**

ეს „ქორწილი" ფიქტიურია, რადგან უკრაინაში ერთნაირსქესიანთა ქორწინებები ლეგალიზებული არ არის, მაგრამ ჰომოსექსუალთა შეუღლებას გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელში.

„ჩვენს ოფისში ნამდვილი გეი-ქორწილია — ტორტით, სტუმრებით, ფიცითა და ყველაფრით", — დაწერა „ფეისბუქში" საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ტოჩკა აპორის" აღმასრულებელმა დირექტორმა **ბოგდან გლობამ.**



**ბრიუსელის ტერაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ბელგიას და, საერთოდ, ევროპას თვლიან სუსტ რგოლად, ტერიტორიად, რომელიც ღიაა სათარეშოდ, მას არ შეუძლია თავის საზღვრების, ფასეულობებისა და ცხოვრების წესის დაცვა. და კიდევ — ეს ადასტურებს შენგენის ზონისა და მულტიკულტურიზმის ევროპული მოდელის კრახს. ეს ტერაქტები იმაზეც მიუთითებს, რომ ამჟამად ევროპა ისევე, როგორც არაბულ-მუსლიმანურ სამყარო, გახვეულია, სულ მცირე, ორი ისლამის ტოტალურ ომში — რეფორმებისთვის მზადმყოფი ისლამისა და ულტრაორთოდოქსული ისლამის.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**22 მარტს „ევროპის დედაქალაქ“ ბრიუსელში ნატოსა და ევროკავშირის ცხვირწინ მოწყობილი ტერაქტების შემდეგ, რომლებმაც 35 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ბელგიის მეფემ ფილიპე I მოსახლეობას ასე მიმართა: „ტერორიზმის საფრთხეს ჩვენ ერთად ვუპასუხებთ მტკიცედ, მშვიდად და ღირსეულად. შევინარჩუნებთ საკუთარი თავის რწმენას. სწორედ ამ რწმენაშია ჩვენი ძალა“.**

# ბელგია ისლამიზაციასა და ისლამოფობიას შორის

## მეფე, ბრიუსელური კომბოსტო* და შოკოლადი





ბრიუსელის პოლიციის უფროსი ალენ ვანდერპუტი (შუაში)

**თუ გავითვალისწინებთ, რომ შესანიშნავი კომბოსტოთი და შოკოლადით განთქმულ ბრიუსელს პოლიციის კომისრად ტრანსვესტიტი ჰყავს, რომელიც ჩაცმის სტილსა და დროსტარებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ტერორიზმთან ბრძოლაზე, ცხადია, რომ ბრიუსელში ტერაქტის მოწყობა უფრო ადვილია, ვიდრე, მაგალითად, პეკინში**

ეს არის მეფის მიმართვა ქვეშევრდომებისადმი, მაგრამ ასეთი მოწოდება გვიანი ხომ არ არის ან რომელ რწმენაზე ლაპარაკობდა მონარქი? გერმანელი ექსპერტების მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისთვის ევროპა, შესაძლოა, მუსლიმურ კონტინენტად იქცეს. სხვა ექსპერტების პროგნოზით, უკვე 15-20 წლის შემდეგ ბელგიის დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმანი იქნება (ამჟამად ეს მაჩვენებელი 25 პროცენტია).

პირველი მაროკოელი და ალჟირელი მიგრანტები ევროპაში 1950-იან წლებში გამოჩნდნენ, როცა ბებერ კონტინენტზე მუშახელის კოლოსალური მოთხოვნა იყო.

ბელგიაში მიგრანტების მასობრივი შესვლა კი 1960-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ამ ქვეყანამ მუშახელის მოზიდვის თაობაზე ხელშეკრულებები გააფორმა **თურქეთთან, მაროკოსთან, ალჟირთან** და **ტუნისთან.** მიგრანტების უდიდესი ნაწილი კომპაქტურად დასახლდა და ევროპის დიდ ქალაქებში აღმოცენდა „მუსლიმური რაიონები“, რომლებსაც სუსტი კავშირი აქვს დანარჩენ ევროპულ სოციუმთან. ასეთი ანკლავებისთვის დამახასიათებელია მკაცრი ჩაკეტილობა, მაგალითად, **პარიზის** „ცხელ გარეუბნებში“ ცხვირის შეყოფას პოლიციაც კი უფრთხის. **ჰამბურგში** (გერმანია) მუსლიმური რაიონი შედარებით ღიაა, მაგრამ მაინც არაბულ-აფრიკულია, რადგან, ადმინისტრაციულის გარდა, უხილავი საზღვარიც არსებობს, რომელიც მიგრანტებს ადგილობრივებისგან ყოფს.

*დღეს ბელგიაში ყველაზე მეტი მიგრანტი მაროკოდანაა, შემდეგ — ალჟირიდან, ტუნისიდან, თურქეთიდან, პაკისტანიდან, ლიბანიდან, ირანიდან, სირიიდან, ეგვიპტიდან... **ბრიუსელში, სადაც განლაგებულია ნატოს შტაბბინა, ევროკავშირისა და ბენილუქსის (ბელგია-ნიდერლანდები-ლუქსემბურგი) ოფისები, 400 ათასამდე უცხოელი ცხოვრობს.**

*ბელგიაში მუსლიმანები, ძირითადად, ცხოვრობენ **ლიეჟში, შარლერუაში, ანტვერპენსა** და **ბრიუსელში,** აგრეთვე, აღმოსავლეთ **ფლანდრიისა** და **ვალონიის** პროვინციებში.

*ბრიუსელში მუსლიმანთა ხვედრითი წილი საშუალოდ 22%-ია, თუმცა ზოგიერთ კვარტალში ეს მაჩვენებელი გაცილებით მეტია. მაგალითად, **სენ-ჟოსში 49%-ს უტოლდება, მოლენბეკში — 39%-ს, შაერბეკში — 38%-ს. რაც უფრო მრავალრიცხოვანია კომპაქტურად დასახლებული მუსლიმანური თემი, მით ნაკლებად აქვს მას კულტურული, სოციალური და საყოფაცხოვრებო კონტაქტი მკვიდრ მოსახლეობასთან, რომელიც ხშირად არის მხარეებს შორის დაპირისპირების საფუძველი. ბელგიის მკვიდრი მოსახლეობა უფრთხის მჭიდროდ შეკავშირებულ მუსლიმანთა თემს, რადგან ეშინია, არ გაითქვიფოს უცხო ფასეულობების მქონე სამყაროს წარმომადგენლებში. მიგრანტებსაც ასევე ეშინიათ ასიმილაციისა და იდენტობის დაკარგვის. მათი დიდი უმრავლესობა არ აღიარებს ევროპულ ღირებულებებს და თავისი წესებით ცხოვრობს, რომელიც ხშირად დაპირისპირებას იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამური სამყარო გაცილებით ერთგულია თავისი სულიერი და მორალური პრინციპებისა, ვიდრე დასავლეთი.**

1974 წლიდან ბელგიაში ისლამი ოფიციალურად აღიარებული სახელმწიფო რელიგიაა კათოლიციზმთან, პროტესტანტიზმთან, ანგლიკანიზმთან, იუდაიზმთან და მართლმადიდებლობასთან ერთად. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება რელიგიური მოღვაწეების ხელფასები, სკოლებისა და მეჩეთების შენახვა და სხვ. **ისლამი ბელგიაში მეორე რელიგიაა, მიმდევართა რაოდენობის მიხედვით. ნიშანდობლივია, რომ ამ ქვეყანაში 350 მეჩეთია და მათ შენახვაზე თანხა (წელიწადში 700 ათასი ევრო) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა.**

ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს რამდენიმე ისლამური პოლიტიკური პარტია, მაგრამ ამ პარტიებს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. აი, ბელგიაში კი 2012 წელს შარიათის კანონების მიმდევარი პარტია „ისლამის“ 2-მა წარმომადგენელმა ბრიუსელის მუნიციპალურ არჩევნებში გაიმარჯვა. მათგან ერთ-ერთმა, **რეჯან არუშმა,** საჯაროდ განაცხადა: **„პერსპექტივაში, როდესაც ადამიანები გაათვითცნობიერებენ, რომ ისლამის კანონები სასიკეთოა ბელგიელი ხალხისთვის, დაიწყება ისლამური სახელმწიფოს მშენებლობა“.**

**მოლენბეკის კომუნის ბურგომისტრმა ფილიპ მურიემ, იმის ნაცვლად, რომ პროტესტი გამოეთქვა და ქრისტიანული ღირებულებები დაეცვა, ახალი მეჩეთების მშენებლობის განკარგულება გასცა, ამასთანავე, მხარს უჭერდა რადიკალურად განწყობილი დაჯგუფება „ძმები მუსლიმანების“ წარმომადგენლებსა და სალაფიტებს.** აი თავგზააბნეული და უპასუხისმგებლო ევროპული მულტიკულტურიზმის ნათელი მაგალითი.

ტყუილად არ უთქვამს ისრაელის დაზვერვის მინისტრ **ისრაელ კაცს,** თუ ბელგია განაგრძობს შოკოლადის ჭამას, დატკბება ცხოვრებით, ამაყად გამართავს აღლუმებს, როგორც დიდი ლიბერალები და დემოკრატები და ყურადღებას არ მიაქცევს იმ მუსლიმებს, რომლებიც იქ ტერორისტულ აქტებს აწყობენ, ტერორიზმთან ბრძოლაში არაფერი გამოუვაო.

**ბრიუსელის ტერაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ბელგიას და, საერთოდ, ევროპას თვლიან სუსტ რგოლად, ტერიტორიად, რომელიც ღიაა სათარეშოდ, მას არ შეუძლია თავის საზღვრების, ფასეულობებისა და ცხოვრების წესის დაცვა. და კიდევ — ეს ადასტურებს შენგენის ზონისა და მულტიკულტურიზმის ევროპული მოდელის კრახს. ეს ტერაქტები იმაზეც მიუთითებს, რომ ამჟამად ევროპა ისევე, როგორც არაბულ-მუსლიმანურ სამყარო, გახვეულია, სულ მცირე, ორი ისლამის ტოტალურ ომში — რეფორმებისთვის მზადმყოფი ისლამისა და ულტრაორთოდოქსული ისლამის.**

თვითონ ფაქტი ბრიუსელზე ტერორისტული შეტევისა, ბევრი ადამიანის გაკვირვებას იწვევს — რატომ მაინცდამაინც იქ? მაგრამ, **თუ გავითვალისწინებთ, რომ შესანიშნავი კომბოსტოთი და შოკოლადით განთქმულ ბრიუსელს პოლიციის კომისრად ტრანსვესტიტი ჰყავს, რომელიც ჩაცმის სტილსა და დროსტარებაზე უფრო ზრუნავს, ვიდრე ტერორიზმთან ბრძოლაზე, ცხადია, რომ ბრიუსელში ტერაქტის მოწყობა უფრო ადვილია, ვიდრე, მაგალითად, პეკინში,** თუმცა არის სხვა მოსაზრებაც. ბოლო რამდენიმე წელია, დასავლეთი ტერორიზმს კაცობრიობის მთავარ საფრთხედ აცხადებს, მაგრამ, სტატისტიკის მიხედვით, ტერაქტების შედეგად გაცილებით ნაკლები იღუპება, ვიდრე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით ან ნარკოტიკებით. თუმცა ნარკოტიკების წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოწყობაზე არავინ ფიქრობს.

ისრაელი, მაგალითად, მრავალი წელია, ტერორისტული შეტევის საფრთხის პირობებში ცხოვრობს. იქ ავტოავარიებში დაღუპულთა რაოდენობა გაცილებით მეტია ტერორისტების ხელით დაღუპულთა რაოდენობაზე. სამაგიეროდ, ტერორიზმის საფრთხე საშუალებას აძლევს ებრაელთა სახელმწიფოს, მნიშვნელოვანი დახმარება მიიღოს უცხოეთიდან, მოახერხოს თავისი საზოგადოების კონსოლიდაცია და მობილიზაცია, აგრეთე, უცერემონიოდ აირჩიოს საშუალება თავისი გეოპოლიტიკური და სხვა ამოცანების გადასაწყვეტად.

შეიძლება ითქვას, რომ ტყუპ ცათამბჯენზე თავდასხმამ ფასდაუდებელი სამსახური გაუწია აშშ-ის ხელისუფლებას, რომელმაც ერთი ხელის დაკვრით გადაჭრა მრავალი პოლიტიკური, გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკური ამოცანა და ამით შეძლო თვით აშშ-ის „გადატვირთვა“, ანუ პოლიციურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესის დასრულება. თანაც, არ დაგვავიწყდეს, „ალ ქაიდას“ შექმნის სათავეებთან აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო იდგა. არც ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოა“ დამოუკიდებელი პროექტი. ის აშშ-ის მიერ ოკუპირებულ ერაყში შეიქმნა, როგორც ანტირუსული ძალა.

სხვათა შორის, ნიუ იორკის ყოფილმა მერმა **რუდოლფ ჯულიანიმ** ტელეარხ „ფოქს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში ექსსახელმწიფო მდივნის, ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის — **ჰილარი კლინტონის** ხელი ურევია. სწორედ მან არ მისცა უფლება ერაყელ შიიტებს, დროულად განემუხტათ სიტუაციაო. საქმე ის არის, რომ ამერიკელები დააბნია რუსეთის გაძლიერებამ სამხედრო სფეროში. გაირკვა, რომ ნატო უძლური იქნება რუსეთთან ომში და აშშ, მის მიერ მართული მედიასაშუალებებიდან გადმოფრქვეული ანტირუსული პროპაგანდის გარდა, რუსეთს ვერაფერს დაუპირისპირებს — ვერც პოლიტიკური და ვერც სამხედრო თვალსაზრისით. მას უფრო მეტი მხარდაჭერა სჭირდება რუსეთთან დაპირისპირებაში გამარჯვების მისაღწევად.

მიგრანტების შესევითა და ტერაქტების სერიებით კი აშშ იმედოვნებს, რომ კარგად შეაჯანჯღარებს ევროპას და გარყვნილი ჰომოსექსუალებისა და ნარკომანების ფლეშმობს გადააქცევს მოიერიშეების კოლონად, რომელსაც მორიგ „დრანგ ნახ ოსტენ“-ის (გერმ. — შეტევა აღმოსავლეთზე) მოსაწყობად გაგზავნის. ასე რომ, ახლო მომავალში უნდა ველოდოთ არა მხოლოდ ახალ ტერაქტებს ევროპაში, არამედ პოლიტიკური ცხოვრების რადიკალიზაციასა და ხელისუფლებაში ულტრამემარჯვენეთა მოსვლას ტერორისგან ევროპის დაცვისა და ისლამიზმის ექსპანსიის საწინააღმდეგო ლოზუნგებით.

**ნიკა კორინთელი**

**ცნობისთვის:**

ბელგია (სამეფო ბელგია) დასავლეთი ევროპის სახელმწიფოა, არის ევროკავშირის, გაეროსა და ნატოს წევრი. ტერიტორია 30 528 კვ.კმ-ს შეადგენს (139-ე მსოფლიოში), მოსახლეობის რაოდენობა — 11,2 მლნ-ს (77-ე).

* ეთნიკური შემადგენლობა: ჰოლანდიურენოვანი ფლამანდიელები (58% — 6 მლნ), ფრანგულენოვანი ვალონები (31% — 3,4 მლნ). ცხოვრობენ, აგრეთვე, გერმანელები, მაროკოელები, თურქები, ალჟირელები და სხვ.

* დამოუკიდებლობა (ნიდერლანდებისგან) მოიპოვა 1839 წელს.

* მმართველობის ფორმა — კონსტიტუციური საპარლამენტო მონარქია. მეფე — ფილიპე I (ფილიპ ლეოპოლდ ლუდოვიკ მარია).

* მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე — 36,415 დოლარი. *ოფიციალური ენები — ჰოლანდიური, ფრანგული, გერმანული.

* ბელგია დაყოფილია 3 რეგიონად, მათგან ორი — ფლანდრია და ვალონია — პროვინციებად იყოფა, მესამეა ბრიუსელის რეგიონი.

* ქვეყანაში არსებობს სეპარატისტული განწყობილება. ფლანდრიის მოსახლეობის უმრავლესობას დამოუკიდებლობა სურს. ფლანდრიაში არ ლაპარაკობენ ფრანგულ ენაზე, ვალონიაში კი — ფლამანდიურზე (ჰოლანდიურზე).

*** ამერიკელი მწერლის — ო.ჰენრის სატირული მოთხრობა „მეფეები და კომბოსტო“.**

## დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მთავრობა ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს და მხარეებს დიალოგის გამართვას თბილისში სთავაზობს, ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი თავის განცხადებებში აზერბაიჯანის მხარდაჭერისკენ იხრებიან. გამორიცხული არ არის, რომ ამის უკან დგას ერთგვარი სიგნალი ალიევისა და ერდოღანის მიმართ: „დაგვეხმარეთ, ხელისუფლებაში რომ დავბრუნდეთ და თქვენთვის სასურველ პოლიტიკას გავატარებთ“.**

# ყარაბაღის ომი და ნეიტრალიტეტის მოკრძალებული ხიბლი

**შეტაკებებმა ყარაბაღში კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რამდენად ფარდობითია სტაბილურობა სამხრეთ კავკასიაში; მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებები შეწყდა, კომენტატორების დიდი ნაწილი უახლოეს მომავალს ფრიად სკეპტიკურად უყურებს და ახალი ომის დაწყების საფრთხეს რეალურად მიიჩნევს.**

საქართველოში მსგავსი პროცესების ანალიზისას ორი ძირითადი მიდგომა გამოიყენება. ერთ-ერთის ფარგლებში **რეგიონის მცირე ქვეყნების ხელმძღვანელები განიხილებიან, მხოლოდ როგორც მძლავრი სახელმწიფოების პოლიტიკის რეტრანსლატორები, მარიონეტები, რომლებსაც თავიანთი ნება არ გააჩნიათ.** მსგავსი, არსებითად კონსპიროლოგიური თეორიების ფარგლებში **ალიევი** განიხილება, როგორც **ერდოღანის** თოჯინა, თვითონ ერდოღანი კი — როგორც **ობამას** თოჯინა, **სარქისიანი** — როგორც პუტინის თოჯინა და ა.შ. ცხადია, რეგიონული პოლიტიკის წარმოჩენა მარიონეტების თეატრად ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა მეორე მიდგომას, რომელიც პირველის უარყოფის ნიადაგზე აღმოცენდა, სხვა უკიდურესობისკენ მივყავართ. ამ შემთხვევაში მთავარ „ძრავად“ წარმოდგენილია ადგილობრივი ლიდერების სურვილი, გადაწყვიტონ ტაქტიკური ამოცანები, ხოლო დიდი მოთამაშეები მხოლოდ რეაგირების რეჟიმში მოქმედებენ. ეს სურათი არანაკლებ შიზოფრენიულად გამოიყურება, — ერდოღანი და ობამა წარმოჩენილნი არიან ალიევის პოლიტიკის მძევლებად, პუტინი, შესაბამისად, სარქისიანის და ა.შ. მიდგომა, რომლის ფარგლებში ამ რადიკალური თეორიების „დაბალანსება“ ხდება, ხოლო პროცესი როგორც დიდი, ისე მცირე მოთამაშეების ინტერესთა თანხვედრისა და დაპირისპირების ჭრილში განიხილება, საქართველოში პოპულარული არ არის. ეს, ალბათ, ფართოდ გავრცელებული კოგნიტური ხარვეზების ბრალია, რომლებიც სამყაროს სურათის მაქსიმალურ გამარტივებას მოითხოვს.

**დღეს არც აზერბაიჯანულ, არც სომხურ მხარეს არ ძალუძს, სწრაფად, ერთი სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის ფარგლებში მოწინააღმდეგე ისე დააზიანოს, რომ ბრძოლის შეწყვეტა აიძულოს. ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემთხვევაში ძალიან მაღალია მისი გაჭიანურების ალბათობა, სომხეთისა და აზერბაიჯანის ძალების გამოფიტვა. უცხო სახელმწიფოების (მათი „უფროსი პარტნიორების“) დახმარება მათთვის კრიტიკულ მნიშვნელობას შეიძენს და „ქართულ ტრანზიტს“ ამ კონტექსტში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება. ორივე მხარეს სურს, რომ საქართველოზე გამავალი მაგისტრალები კრიტიკულ მომენტში მისთვის ღია, ხოლო მოწინააღმდეგისთვის ბლოკირებული აღმოჩნდეს.** ცხადია, არსებობს ალტერნატიული მარშრუტებიც, თუმცა მათი გამოყენება რიგ ლოჯისტიკურ და პოლიტიკურ სირთულეებს უკავშირდება. მარტივად რომ ვთქვათ, ეს შემოვლითი გზებია, „ქართული დერეფანი“ კი — პირდაპირი, მას, ვინც ამ მარშრუტს აკონტროლებს, ყარაბაღის კონფლიქტის განვითარებაზე, განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

მსჯელობამ ამ თემაზე შეიძლება ისევ ორი რადიკალური „თეორიის“ ტყვეობაში მოგვაქციოს. **ერთნი იტყვიან, რომ „ქართული ტრანზიტი“ 100%-ით დასავლელი პარტნიორების კონტროლს ექვემდებარება და ოფიციალურ თბილისს არ ძალუძს, ეს კარტი დამოუკიდებლად გაათამაშოს. მეორენი კი უპასუხებენ, რომ გადამწყვეტ მომენტში საქართველო ამ კოზირის გონივრული გამოყენებით შეძლებს რუსეთისგან ან თურქეთისგან (ან სულაც ორივესგან) მნიშვნელოვანი ბონუსები მიიღოს. მაგრამ აქ შემდეგი გარემოების გათვალისწინება მოგვიწევს: თუ საქართველოს ხელისუფლება წინააღმდეგობებზე თამაშს გადაწყვეტს და დროზე ადრე ერთ-ერთ მხარეს (ალიანსს) მიემხრობა, მეორე დაუყონებლივ დაუპირისპირდება. ამგვარად, ეს სახიფათო თამაში ნებისყოფის გამოვლენას და ბოლო მომენტამდე ძნელად გასაშიფრი, გარეგნულად ამბივალენტური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.**

მთავრობა ყარაბაღის კონფლიქტის მიმართ ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს და მხარეებს დიალოგის გამართვას თბილისში სთავაზობს, ყოფილი მმართველი პარტიის წარმომადგენლები კი თავის განცხადებებში აზერბაიჯანის მხარდაჭერისკენ იხრებიან. გამორიცხული არ არის, რომ ამის უკან დგას ერთგვარი სიგნალი ალიევისა და ერდოღანის მიმართ: „დაგვეხმარეთ, ხელისუფლებაში რომ დავბრუნდეთ და თქვენთვის სასურველ პოლიტიკას გავატარებთ“. ერთი შეხედვით, სააკაშვილი, თავისი იდეებით საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაციაზე თურქეთის პატრონაჟის ქვეშ, ბაქოსა და ანკარაში აღფთოვანებას უნდა იწვევდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ის ფსიქიკურად არასტაბილური პიროვნებაა, რომელსაც ყოველთვის ახასიათებდა პარტნიორების „გადაგდების“ სურვილი. ასე რომ, ძნელი სათქმელია, დაუჭერენ თუ არა მხარს თურქები და აზერბაიჯანელები მის რევანშისტულ პროექტებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს ვაშინგტონისა და ბრიუსელის პოზიციასთან წინააღმდეგობაში მოვა.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობამ ყურადღება ეკონომიკური კრიზისიდან ყარაბაღზე გადაიტანა. იგივე შეიძლება ითქვას სომხეთზეც, უბრალოდ, ამ ეტაპზე კრიზისს სანავთობო აზერბაიჯანში უფრო მძაფრად განიცდიან. **სიტუაცია ორივე ქვეყანაში დემოკრატიის და ადამიანის უფლებების თვალსაზრისით შორია იდეალურისგან, კორუფციის დონე საკმაოდ მაღალია და ეს საზოგადოების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის პროტესტს იწვევს. ამით, თავის მხრივ, სარგებლობენ გარე ძალები და ხელს უწყობენ ბაქოსა და ერევანში „ფერადი რევოლუციების“ აგორებას** (ან ამის იმიტაციას ახდენენ, რათა სარქისიანსა და ალიევზე ზეწოლა მოახდინონ). ასეთ სიტუაციაში ხანმოკლე, მაგრამ ინტენსიურმა შეიარაღებულმა დაპირისპირებამ ორივე მხარეს შესაძლებლობა მისცა, მოსახლეობის ემოციები ყარაბაღზე „გადაერთო“. ეს ისე თვალშისაცემი იყო, რომ რიგმა კომენტატორებმა დაიწყეს მტკიცება, რომ მიკროომის მთავარ მიზანს სწორედ ამ პოლიტტექნოლოგიური ოპერაციის ჩატარება წარმოადგენდა. ეს არსებითად არასწორია, მაგრამ ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ **მიხეილ სააკაშვილის** გასაჭირი, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის მომიტინგეთა სასტიკი დარბევის და შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაყალბების შემდეგ, ლეგიტიმურობის მწვავე დეფიციტის პირობებში აღმოჩნდა; საზოგადოების დიდი ნაწილი მას უზურპატორად თვლიდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს იქცა მთავარ წინაპირობად იმ ავანტიურისტული პოლიტიკისა, რომლის გატარება მან კონფლიქტის ზონაში დაიწყო და ძალიან მალე მანევრის შესაძლებლობა დაკარგა, ხოლო ფატალური ფინალი გარდაუვალი შეიქნა. **თუ დღეს ალიევი ან სარქისიანი (ან ორივე ერთად) იძულებულნი არიან, გამოიყენონ ესკალაცია ყარაბაღში, როგორც შიდაპოლიტიკური სიტუაციის რეგულირების ინსტრუმენტი, ესე იგი, მათი საქმე უკვე ძალიან ცუდადაა.** ყველაფერს თავი **რომ დავანებოთ, რაღაც მომენტში მათ შეიძლება „საჭე ვერ დაიმორჩილონ“. რეალურად კი დღეს ორივე ქვეყანას სჭირდება რეფორმები და არა ომი.**

ეს განსაკუთრებით აქტუალურია აზერბაიჯანისთვის, რადგან მომავალში ნავთობი მას გაცილებით ნაკლებ სარგებელს მოუტანს. ფასები დაეცა; ამასთანავე, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახლო მომავალში ნავთობის მოპოვების მნიშვნელოვან ზრდას აზერბაიჯანში ადგილი აღარ ექნება, ხოლო მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯები გაიზრდება. აზერბაიჯანმა დაკარგა ბევრი დრო იმის ნაცვლად, რომ „მაძღარ წლებში“ ეკონომიკის რეალურ დივერსიფიცირებაზე ეზრუნა და „პოსტსანავთობო ეპოქას“ მეტ-ნაკლებად მშვიდად შეხვედროდა. მაგრამ თამამ რეფორმებს ხელს კორუფცირებული ელიტა უშლის, ხოლო ილჰამ ალიევს არ ჰყოფნის ძალა ან ნებისყოფა იმისთვის, რომ დაიწყოს „რევოლუცია ზემოდან“. ახლო მომავალში აზერბაიჯანის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება თითქმის გარდაუვალი ჩანს და მთავრობას მართლა შეიძლება გაუჩნდეს ცდუნება, საზოგადოების განწყობის მართვა ყარაბაღის კრიზისის მეშვეობით სცადოს.



**ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მასშტაბური ომის დაწყების შემთხვევაში, საქართველო მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მის საზღვრებს უამრავი დევნილი მოადგება. შესაბამისმა უწყებებმა ამ სცენარის ფარგლებში სწავლებები უნდა გამართონ, შეადგინონ და დახვეწონ გეგმები და ა.შ. უშიშროება, თავის მხრივ, ალბათ, უნდა დაინტერესდეს იმ პირებით, რომლებიც ბოლო ესკალაციის დროს მოხალისეთა მობილიზაციაზე საუბრობდნენ და სხვა, აშკარად პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდნენ, აგრეთვე, წინმსწრებად იზრუნოს იმაზე, რომ გართულების შემთხვევაში საქართველოს მაგისტრალებზე დივერსიული ომი არ გაჩაღდეს**

**ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის მასშტაბური ომის დაწყების შემთხვევაში, საქართველო მზად უნდა იყოს იმისთვის, რომ მის საზღვრებს უამრავი დევნილი მოადგება. შესაბამისმა უწყებებმა ამ სცენარის ფარგლებში სწავლებები უნდა გამართონ, შეადგინონ და დახვეწონ გეგმები და ა.შ. უშიშროება, თავის მხრივ, ალბათ, უნდა დაინტერესდეს იმ პირებით, რომლებიც ბოლო ესკალაციის დროს მოხალისეთა მობილიზაციაზე საუბრობდნენ და სხვა, აშკარად პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებდნენ, აგრეთვე, წინმსწრებად იზრუნოს იმაზე, რომ გართულების შემთხვევაში საქართველოს მაგისტრალებზე დივერსიული ომი არ გაჩაღდეს. თუმცა მთავარი, ალბათ, ხელისუფლების სამშვიდობო ძალისხმევაა, რომელიც ვერ შემოიფარგლება მოწოდებებით „ჩამოდით თბილისში, დავილაპარაკოთ“** და გაცილებით სერიოზულ მიდგომას მოითხოვს.

**მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ, ყარაბაღის ომის განახლების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი სატრანზიტო როლიდან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული ტაქტიკური სარგებელი ნახოს, ამ ომთან დაკავშირებულ რისკებს გაცილებით დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. თუ რეგიონის ტოტალური დესტაბილიზაცია მოხდება, საქართველო სიმშვიდისა და კეთილდღეობის ნაკრძალად ვერ გადაიქცევა.** ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი სამხრეთ კავკასიაში მთავარი შემაკავშირებელი რგოლის ფუნქციის შესრულებაა. ისტორია ცხადყოფს, რომ ხანგრძლივი მშვიდობის შემთხვევაში საქართველოს როლი და „წონა“ რეგიონში მკვეთრად იზრდება, ხოლო ომები მას (ასევე მკვეთრად) აკნინებს. ამიტომ, ალბათ, ჩვენი მხრიდან ლოგიკური იქნება ზრუნვა უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების მოპოვებაზე, რომელთა ფარგლებში საქართველოს უსაფრთხოება განხილული იქნება ერთ კონტექსტში რეგიონის უსაფრთხოებასთან, თორემ ჩვენ, ხშირ შემთხვევაში, ფსიქოლოგიური ფაქტორებიდან გამომდინარე, განვიხილავთ საქართველოს, როგორც ერთგვარ „ევროპულ კუნძულს“, რომელსაც მეზობლებთან ძალიან ცოტა აქვს საერთო. არადა, სამხრეთ კავკასიის სტაბილურობის პლატფორმის ფორმირება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა, 1999 წლის სტამბოლის სამიტის შემდეგ, რამდენადმე ღირებული წინადადებები ამ მიმართულებით ოფიციალურ თბილისს არ გაუსაჯაროებია (ალბათ, დროა).

თუ დავუბრუნდებით კამათს იმის თაობაზე, ვინ ახდენს განმსაზღვრელ ზემოქმედებას პროცესებზე — მძლავრი უცხო სახელმწიფოები თუ რეგიონის ქვეყნები, ალბათ, კარგი იქნება, თუ დღევანდელ სამხრეთ კავკასიას აღორძინების პერიოდის იტალიას შევადარებთ. იმხანად, ძალთა რთული, ცვალებადი ბალანსიდან გამომდინარე, გარკვეულ მომენტებში პროცესებზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეეძლოთ არა მხოლოდ ესპანეთს, საფრანგეთს და ა.შ. ან ისეთ „რეგიონულ ლიდერებს“, როგორიც ნეაპოლის სამეფო ან მილანის საჰერცოგო (და ზოგიერთი სხვა) იყო, არამედ, ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო მიკროსახელმწიფოებს, რომელთა ხელმძღვანელთა მოქმედებებს ხანდახან ნამდვილი პოლიტიკური მიწისძვრა მოსდევდა. ასე რომ, მსგავს სიტუაციებში არავინაა უზომოდ ძლიერი ან უიმედოდ სუსტი და მოვლენათა განვითარებაში გარდატეხის შეტანა უკლებლივ ყველას შეუძლია.

**„სახალხო შემოწირულობებით დამზადებული აჭარის გათავისუფლებისთვის თავდადებული გმირების მემორიალის დადგმის უფლებას არ გვაძლევენ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმავე ხალხის ფულს ჰომოსექსუალების პროპაგანდაში ხარჯავენ“.**

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აჭარაში, საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში, არსებული ვითარების შესახებ დროდადრო საგანგაშო ინფორმაცია ვრცელდება. მწერალი, ფილოსოფოსი, „აჭარის მამულიშვილთა კავშირის“ ხელმძღვანელი ნიაზ ბოლქვაძე ერთ-ერთია, ვინც რეგიონში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურება და პრობლემებს აქტიურად აპროტესტებს.



ნიაზ ბოლქვაძე:

# აჭარის დაკარგვის საფრთხე რეალურია და ამის ნიშნები უკვე აშკარაა...

— აჭარაში, სამწუხაროდ, იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ ფიზიკურად ძლივს ვასწრებთ, ყველაფერს გამოვეხმაუროთ. არადა, ზოგიერთს სურს, წარმოაჩინოს, თითქოს მხოლოდ ძეგლების საკითხი გვაინტერესებს და სხვა პრობლემები არ გვადარდებს.

როგორც ცნობილია, **აჭარა 300 წელი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა და, სამწუხაროა, როდესაც დღეს უცხოლები, განსაკუთრებით — თურქები, აჭარაში მიწებს იოლად ყიდულობენ და ყველაფერი მათ მფლობელობაში გადადის. ეს ხდება თურქეთში ანტიქართული პროპაგანდის ფონზე, თითქოს აჭარა ოსმალეთის ისტორიული ნაწილი იყო და მალე კვლავ მას დაუბრუნდება.** არ ვამბობ, რომ ყველა თურქი ასე იქცევა, მაგრამ თურქეთშიც არიან რეაქციული ძალები, რომლებიც ამ პროპაგანდას ეწევიან. ისიც უნდა ითქვას, რომ თურქეთს ვერ დავძრახავთ. როგორც ყველა ქვეყანა, თურქეთიც თავის ინტერესებს იცავს. ერთადერთი ჩვენ გავიძახით თავსმოხვეულ აზრებს, თურქეთი მეგობარი ქვეყანააო. პოლიტიკოსი, უპირველესად, თავისი სახელმწიფოს ინტერესებზე უნდა ფიქრობდეს და შემდეგ მეგობრობაზე...

**— რატომ ყიდის ხელისუფლება ამ მიწებს?**

— დეკემბრის აქცია „ქუდზე კაცი“ სწორედ იმიტომ გავმართეთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ვერ იცავს მოსახლეობის ინტერესებს. არადა, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, გვეგონა, გავიმარჯვეთ. 2013 წლის 19 დეკემბერს დიდი ყრილობა გავმართეთ და ვთქვით, მოდი, ქვეყნის აღმშენებლობა სხვადასხვა მიმართულებით, პირველ რიგში კი, ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებით დავიწყოთ-თქო. ყველას ვუთხარით, რომ ბათუმი არ არის გარყვნილების ცენტრი, ის ღირსების ქალაქია, საქართველო კი — ღირსეული ხალხის ქვეყანა. მოვითხოვეთ, საროსკიპოების დახურვა და ხელისუფლების ყურადღების გამახვილება ამ პრობლემაზე. იმ ღამეს 13 საროსკიპო დაიხურა, მაგრამ **ბათუმსა და გონიოში კვლავ მუშაობს 200-ზე მეტი საროსკიპო. პროსტიტუცია ბიზნესად გადაიქცა, ჩვენდა სამარცხვინოდ.**

**2013-2014 წლებში ამერიკის ერთ-ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ ბათუმი და გონიო მსოფლიოში გარყვნილებისა და ტრეფიკინგის ცენტრად გამოაცხადა.** სხვათა შორის, მეზობელი თურქეთისგან ბევრი კარგი რამის სწავლა შეიძლება. მაგალითად, სარფის საზღვარზე, თურქეთის მხარეს, მეჩეთი — ისლამური სამყაროს სიმბოლო — გაბწყინებულია, მასთან მისასვლელი გზაც მოწესრიგებულია. ვერანაირ რეკლამას იქ ვერ ნახავთ. თურქეთის შესასვლელთან ერთადერთი რეკლამაა — ეროვნულ სამოსში გამოწყობილი თურქი გოგო-ბიჭები მღერიან, ვაჟკაცები ჭიდაობენ. მაგრამ, **როდესაც საქართველოს მხარეს შემოხვალთ, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კაზინოების, სასტუმროებისა და საროსკიპოების რეკლამებითაა დაფარული. ქვეყანაში შემოსულ უცხოელს პირველი ნაბიჯიდანვე რჩება შთაბეჭდილება, რომ კაზინოებისა და გარყვნილების ქვეყანაში შემოვიდა.** როდესაც ხელისუფლებას მივმართეთ, მოგვწერეს, — ვერ ჩამოვხსნით ამ რეკლამებს, ხელშეკრულებები გვაქვს გაფორმებულიო. პირიქით — უფრო გამრავლდა ეს რეკლამები.

**— ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში რა სიტუაცია იყო აჭარაში?**

— მართალია, იმხანად საქართველოში არ ვიმყოფებოდი, ბაშკირეთის რესპუბლიკაში სასწავლებლად გახლდით, მაგრამ, როგორც ვიცი, ასლან აბაშიძის პერიოდში უცხოელებზე მიწა არ იყიდებოდა. მიწის გაყიდვა ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმის მოსვლის შემდეგ დაიწყო. უცხოელებს მოქალაქეობასაც ანიჭებენ, ჩვენი მოქალაქეები კი თურქეთში გადადიან და დეპორტაციის შიშის ქვეშ „შავ სამუშაოს“ ასრულებენ. **30 ათასზე მეტ თურქს აქვს საქართველოს მოქალაქეობა, ეს მომავალში კარგ შედეგს ნამდვილად არ მოგვიტანს.** ნამდვილი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე შორს უნდა იხედებოდეს. თუ ასე გაგრძელდა, **რამდენიმე წელიწადში აჭარა სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.**

**— ფიქრობთ, რომ აჭარას დაკარგვის საფრთხე ემუქრება?**

— რა თქმა უნდა! **აჭარის დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობს და ამის ნიშნები უკვე აშკარაა...**

ოსმალეთისგან აჭარის გათავისუფლების მემორიალის დადგმა წერტილს დაუსვამს იმ პროპაგანდას, რომელსაც დღეს ზოგიერთი თურქეთში ეწევა — თითქოს აჭარა ოსმალეთის ისტორიული ნაწილი იყო. ეს მემორიალი მტერსაც და მოყვარესაც, ყველა მნახველს, თავისი არსებობით დიპლომატიურად ეტყვის, რომ აჭარა მიტაცებული იყო და დაუბრუნდა საქართველოს. საქმე ის არის, რომ მემორიალის დადგმაზე უარს არავინ გვეუბნება, პირიქით — ქალაქის საკრებულოს, კულტურის, სპორტისა და განათლების კომიტეტის გადაწყვეტილებით მემორიალი უნდა აღმართულიყო, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა და დღეს პასუხსაც არავინ გვცემს, რა ხდება. 1300 ხმა იყო საჭირო პეტიციის განსახილველად და 3 500 ხელმოწერა შევიტანეთ. 25 აგვისტოს, ტრადიციულად, ოსმალთა ბატონობისგან აჭარის გათავისუფლების დღე აღინიშნება და ამ დიდ დღესასწაულზე ქალაქის მერი **გიორგი ერმაკოვი** ხალხს მემორიალის დადგმას დაჰპირდა. მეუფე დიმიტრიმ აკურთხა მემორიალის ადგილი და აჭარის გათავისუფლებისთვის დაღუპული გმირთა სულების საოხად პანაშვიდიც ჩატარდა. ეს პროექტი აკურთხეს თბილისში, სამების ტაძარშიც, მაგრამ შარშანდელი ივნისის შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა და პეტიცია არც განუხილავთ.

**— ამბობთ, რომ ამ მემორიალს თურქული პროპაგანდის საწინააღმდეგო დატვირთვა ექნება. ეს ხომ არ არის მიზეზი, რომ ხელისუფლება თურქეთის განაწყენებას ერიდება?**

— გასაგებია, რომ ასეა, მაგრამ, **როდესაც სხვა სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ შენი სახელმწიფოს ინტერესებს არ იცავ, ამას ღალატი ჰქვია** და სხვა არაფერი. დასამალი აღარაფერი მაქვს, პირდაპირ გეტყვით: **პირად საუბრებში ქალაქის ხელმძღვანელობას ხშირად უთქვამს, თუ შეიძლება სიტყვა ოსმალეთი ამოიღეთ, რადგან მეზობელ თურქეთს არ მოეწონებაო. ამაზე, რა თქმა უნდა, არ დავთანხმდით. ამას გარდა, თვითონ თურქეთი ზეიმობს 29 ოქტომბერს ოსმალეთის რეჟიმისგან გათავისუფლებას და ჩვენ რატომ ვერიდებით?** როგორც ერთი რიგითი მწერალი, სპეციალურად წავედი თურქეთში და დავესწარი ამ დღესასწაულს, მივულოცე ოსმალთაგან გათავისუფლება.

სხვათა შორის, როდესაც თურქეთის კონსულმა განაცხადა, არ არის საჭირო ისტორიაში ქექვა, მართალია, თურქეთს არ ახსენებთ, მაგრამ თურქეთი ოსმალეთის მემკვიდრეაო, მე ვუპასუხე, თუ ისტორიაში ქექვა არ არის საჭირო და თუ წინაპართა ღვაწლის დაფასებასა და უკვდავყოფას ისტორიაში ქექვა ჰქვია, მაშინ თქვენ რატომ აღნიშნავთ თურქეთში საუკუნის წინათ მომხდარ რევოლუციასმეთქი?!

როგორც ჩანს, ქალაქის მერია და საკრებულო საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იქცევა ასე.

**— საკუთარ ინტერესებში თურქულ ინვესტიციებს გულისხმობთ?**

— დიახ, თურქულ ინვესტიციებს ვგულისხმობ. ამიტომ გადავწყვიტეთ არჩევნებში მონაწილეობა, ვფიქრობ, ასე მეტი ბერკეტი გვექნება საქმის კეთების, ახლა კი ჩვენი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებასაც არ გვაძლევენ. პირველ რიგში, **მოვითხოვთ, აიკრძალოს ერთ ლარად მიწის გასხვისება, რადგან, ვითომ ერთ ლარად გასხვისდა მიწა, სინამდვილეში კი ვიღაცებს მილიონები აქვთ აღებული და ვვარაუდობ, რომ შესაბამისად, უცხოელი ინვესტორის წინაშე პასუხისმგებლობაც აქვთ დაკისრებული.** უცხოელი ინვესტორის განაწყენება თუ არ უნდათ, საკუთარი ხალხის განაწყენებას რატომ არ ერიდებიან? გამოდის, რომ **საქართველოს საკუთარი პრინციპები და ეროვნული იდეოლოგია არ აქვს და ყველაფერს უცხო ქვეყნის ელჩები და კონსულები გვკარნახობენ...**

მაგრამ პრობლემა მხოლოდ ადგილობრივ ხელისუფლებაში არ არის. ვეჭვობ, ეს უფრო **ზემოდან — საქართველოს ხელისუფლებისგან მოდის.** ადგილობრივ ხელისუფლებას არაერთხელ სურდა ამ საკითხის მოგვარება, მაგრამ ამის უფლება არ მისცეს. ჩაერია არამხოლოდ თურქეთის კონსული, არამედ საქართველოს ხელისუფლებაც. ჩვენ ჩვენი მხრიდან ყველაფერი გავაკეთეთ — სახალხო შემოწირულობით შევაგროვეთ თანხა და მემორიალი უკვე შესრულებულია, მაგრამ კვარცხლბეკისთვის ვითხოვეთ მხოლოდ 25 ათასი ლარი და ამ თანხაზეც უარი გვითხრეს, **გეების სკულპტურაში კი ქალაქის საკრებულომ 50 ათასი ლარი გადაიხადა.**

**— ბატონო ნიაზ, როგორ ასაბუთებთ, რომ ორი გეია გამოსახული ამ სკულპტურაზე. ავტორი ამბობს, რომ მსგავსი ჩანაფიქრი არ ჰქონია.**

— როგორ არ ჰქონია, **გელა წულაძემ** 50 ათასი ლარი აიღო და ახლა აღარ ადარდებს ეს საკითხი. ვფიქრობ, მას ბათუმში ჩასვლის მორალური უფლებაც კი არ აქვს. ჯერ ერთი, მან თითქოს ხუმრობით, ილიკო და ილარიონი, ყველასთვის საყვარელი ნაწარმოების გმირები შეურაცხყო. სხვათა შორის, ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა, მაგრამ უნდათ, ეს საკითხი გააუბრალოონ. თავდაპირველად ჩვენ წყნარად მივმართეთ საკრებულოს, რომ ეს სკულპტურა, როგორც გარყვნილების პროპაგანდა, აელოთ. **სახალხო შემოწირულობებით დამზადებული აჭარის გათავისუფლებისთვის თავდადებული გმირების მემორიალის დადგმის უფლებას არ გვაძლევენ და სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმავე ხალხის ფულს ჰომოსექსუალების პროპაგანდაში ხარჯავენ?!**

ეს ჩვენი ორგანიზაციის ახირება არ არის, სპეციალისტები მოვიწვიეთ — მხატვართა კავშირის წარმომადგენლები, მოქანდაკეები, მხატვრები, არქიტექტორები, რომლებმაც დაწერეს დასკვნა, რომ ორივე ფიგურა მამაკაცისაა და ეს სკულპტურა სწორედ ლგბტ პროპაგანდას ემსახურება. შემიძლია ეს დასკვნაც წარმოგიდგინოთ.

**კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ეს სკულპტურა ნამდვილად ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას ემსახურება უცხოეთში დაბეჭდილი სტატიაა. როდესაც ეს სკულპტურა დადგეს, ერთმა უცხოელმა ტურისტმა სურათი გადაუღო ამ რკინის კონსტრუქციას, თავის სამშობლოში დაბრუნებულმა კი გამოაქვეყნა და განაცხადა, საქართველოში დემოკრატია უმაღლეს მწვერვალს აღწევს, ბათუმში მამათმავლების ძეგლი დგასო.** ის იმედს გამოთქვამს, რომ ეს ძეგლი მომავალში გეების უფლებების დაცვის სიმბოლოდ იქცევა.

**გეების ძეგლს დგამენ, მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძის ძეგლი თეატრის უკან გადააქვთ, აკაკი წერეთლის ბიუსტს კი ნაგავში აგდებენ.**

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთო და პროვოკაციებს არ ავყვეთ. თუნდაც ახლახან მომხდარი ინციდენტი, როდესაც თურქმა ბიზნესმენმა ქრისტიანული ტაძრის გალავანი დაანგრია, პროვიკაციული ქმედება იყო. ხომ შეიძლებოდა, ვიღაცას არ მოეთმინა და ცუდი რამ მომხდარიყო? ამიტომ ძალიან ფრთხილად, გონივრულად უნდა ვიმოქმედოთ და ყველაფერი მშვიდობიანი პროტესტით მოვაგვაროთ.

**«ბათუმსა და გონიოში კვლავ მუშაობს 200-ზე მეტი საროსკიპო. პროსტიტუცია ბიზნესად გადაიქცა, რაც ჩვენთვის სამარცხვინოა. 2013-2014 წლებში ამერიკის ერთ-ერთმა კვლევითმა ორგანიზაციამ ბათუმი და გონიო მსოფლიოში გარყვნილებისა და ტრეფიკინგის ცენტრად გამოაცხადა»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

ავი მესაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რას ნიშნავს „ქართველობას გვართმევენ“? რა მოხდა მერე, თუ ქართულ მიწას ვინმეს მივყიდით, ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენ? ან კლასიკური ცინიზმი — ჰომოსექსუალიზმი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება გადამდებიაო და ა.შ.? რაც ევროპას დაემართა, ეს არის სწორედ „ქართველობას გვართმევენ“ — პარიზში ჩახვალ და თავი აფრიკაში გეგონება, ბერლინში ჩასულს — თურქეთში, ბრიუსელში მყოფს — ორივეში ერთად, პლუს არაბეთში; სწორედაც რომ გადამდებია სოდომის ცოდვა, რადგან, როცა ქართველი საზოგადოება ჰომადიანი ბიჭების საჯარო „ზასაობას“ გულის რევის გარეშე შეხედავს, აქედან ერთი ნაბიჯია იმ გარყვნილებამდე, რომელშიც იხრჩობა ერთ დროს პურიტანულ-კონსერვატიული ევროპა.**

# «ევროპის მოტაცება»

**ფერწერული ტილო „ევროპის მოტაცება“ დიდ რუს მხატვარს — ვალენტინ სეროვს ეკუთვნის. ხელოვანის შთაგონების წყარო კი ყოფილა ძველბერძნული მითი, რომლის მიხედვითაც ოლიმპოს მბრძანებელ ზევსს ფინიკიის მეფე აგენორის ულამაზესი ქალიშვილი — ევროპა შეჰყვარებია. ხარად ქცეულ ღმერთს ევროპა კუნძულ კრეტაზე გაუტაცნია, ცოლად შეურთავს და ქალს მეხთამტყორცნელი ზევსისთვის სამი ვაჟი უჩუქებია...**




**ევროპული ცივილიზაცია — უძველესი ევროპული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ქრისტიანულ რელიგიასა და მორალზეა აღმოცენებული. სწორედ ესენია მთავარი დასავლური ღირებულებები თუ ფასეულობები, რომლებსაც, უპრეცედენტოდ, მასობრივი მიგრაციიდან გამომდინარე, გარდაუვალი ტოტალური ისლამიზაცია განადგურებით ემუქრება**

წინამდებარე წერილის შთაგონების წყარო კი თქვენი მონა-მორჩილისთვის კიდევ ერთი „ევროპის მოტაცება“ შეიქნა, ოღონდ ამჯერად ამ სათაურის დოკუმენტური ფილმი, რომელიც ერთ-ერთ რუსულ ტელეარხზე ვიხილე. ფილმი, რომლიდანაც ნათლად ჩანს, როგორ შეიძლება ძირძველი ევროპელი გერქვას, მაგრამ ევროპელობისა აღარაფერი გეტყობოდეს...

**ახლა მავანი მეტყვის და ერთი შეხედვით მართებულადაც — რა დროს ევროპა-ამერიკაა, ქვეყანა თავზე გვემხობაო?!**

ჰოდა, მეც მანდა ვარ, მკითხველო!

**დოდო აბაშიძის** პოლიცმეისტერისა არ იყოს, „თვალი დაუდგეს ევროპას“, ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ, მაგრამ, ჩვენსას რომ არ ვკითხულობთ და ისე მივექანებით „განათლებული ევროპისაკენ“, ეს არის სწორედ საგანგაშო. ევროპისკენ, რომელსაც უკვე „თვალიც დაუდგა“, ყურიც დაეხშო და, თუ დროულად არ მოვეგეთ გონს, ევროპელებივით საკუთარ სახლში აღარც ქართველებს დაგვაყენებენ.

ყველაფერი კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. **გაპარტახებული ევროპის ინფრასტრუქტურასა და ეკონომიკას აღდგენა სჭირდებოდა და მანაც ფართოდ გაუღო კარი ძირითადად ისლამური ქვეყნების იაფ მუშახელს იმ იმედით, რომ ისინი, ადრე თუ გვიან, სამშობლოში დაბრუნდებოდნენ, მაგრამ...**

ამავე პერიოდში აქტუალურობა შეიძინა ცნება **ტოლერანტობამ** და, აქედან გამომდინარე, — **მულტიკულტურიზმმა**, რომელსაც დღეს ე.წ. გამოხატვის თავისუფლება, ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვა, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების პროპაგანდა და სხვა ნეოლიბერალური „სიკეთეები“ დაემატა.

ლიბერალურმა დემოკრატიამ, რომელიც ოთხი რამის უარყოფაზეა დაფუძნებული: არა სამშობლოს; არა ეროვნებას; არა ღმერთს და არა სქესს, ანუ არა ყველაფერს, რაზეც ყოველთვის იდგა კაცობრიობა, ლამის ახალი რელიგიის სახე მიიღო.

ფაშიზმის, რასიზმის, ინკვიზიციის მშობელი დასავლეთი დღეს ისე გატოლერანტდა, რომ თავის ეროვნულ-კულტურულ იდენტობას ნელ-ნელა კარგავს და ამ „ნელ-ნელამ“ უკვე ისე აკრიბა სიჩქარე, რომ, მგონი, უკან დასაბრუნებელი ზღურბლი, წითელი ხაზი გადაკვეთა. ნათელია, რომ ტოლერანტობის, მულტიკულტურიზმის იდეოლოგიამ სრული კრახი განიცადა ევროპაში.

თუმცა **კრახს ვინღა დაეძებს — თუ აქამდე იაფი მუშახელის შემოდინება დოზირებული იყო და მეტ-ნაკლებად ექვემდებარებოდა ინტეგრაციას, აშშ-ის მიერ ე.წ. არაბული გაზაფხულების მეშვეობით დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობამ ისეთი მასშტაბის მიგრაცია გამოიწვია ევროპაში, რომ კატასტროფა გარდაუვალია, რომელსაც, რადიკალური ზომების გარდა, საეჭვოა, სხვა რამემ უშველოს.**

**ევროპული ცივილიზაცია — უძველესი ევროპული კულტურა, ლიტერატურა, ხელოვნება, ქრისტიანულ რელიგიასა და მორალზეა აღმოცენებული. სწორედ ესენია მთავარი დასავლური ღირებულებები თუ ფასეულობები, რომლებსაც, უპრეცედენტოდ მასობრივი მიგრაციიდან გამომდინარე, გარდაუვალი ტოტალური ისლამიზაცია განადგურებით ემუქრება.**

დიახ, ტოტალური, თორემ ფრაგმენტული, გნებავთ, სექტორული ისლამიზაცია, უკვე დიდი ხანია, დაწყებულია.

პარიზული ტერაქტების სერია სენ-დენის ერთ დროს პრესტიჟულ გარეუბანში დაიწყო, სენ-დენისა, რომელიც დღეს ისლამის მიმდევრებით არის დასახლებული. ისინი საფრანგეთის კანონებს არად დაგიდევენ და ლამის შარიათის კანონებით ცხოვრობენ რაიონში, სადაც ფრანგული პოლიცია ცხვირის შეყოფას ვერ ბედავს.

აი, რა განაცხადა 2009 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა **ნიკოლა სარკოზიმ:**

„გახდე ფრანგი — ნიშნავს აღიარო ცივილიზაციის ფორმა, ღირებულებები, ტრადიციები... საფრანგეთი ის ქვეყანაა, რომელშიც ეკლესია სახელმწიფოსგან გამიჯნულია და ყველას რწმენა — პატივსაცემი, მაგრამ ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ ქალები პირბადის მიღმა ტყვეებად დარჩნენ, მოკლებულნი იყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის, საკუთარი იდენტობის უფლებას“.

ეს განცხადება სარკოზის პრეზიდენტის სავარძლად დაუჯდა, რადგან **„პრადვინუტმა“ ფრანგმა ამომრჩეველმა ფრანსუა ოლანდი აირჩია პრეზიდენტად და მანაც პირველი, რაც გააკეთა, ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინება დააკანონა ათოსის, დ'არტანიანის, მატეო ფალკონეს, ჟან ვალჟანისა და სხვა მრავალი რაინდის თავგადასავლების დამწერთა მშობელ საფრანგეთში. და ეს — მიუხედავად იმისა, რომ ელისეს მინდვრებზე გამართულ საპროტესტო აქციაზე მილიონი ფრანგი გამოვიდა, მაგრამ ოჯახებით, პატარა ბავშვებით მისული ფრანგები პოლიციამ ცრემლმდენი აირითა და ხელკეტებითა დაარბია.**

მანამდე კი სულისშემძვრელი რამ მოხდა: პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის საკურთხეველში სწორედ ერთნაირსქესიანთა შორის ქორწინების დაკანონების გასაპროტესტებლად თავი მოიკლა ცნობილმა მწერალმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ **დომენიკ ვენერმა**, — ეგებ ფრანგი ხალხი გონს მოეგოს, გამოფხიზლდესო, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ფრანგები მხოლოდ მაშინ „გამოფხიზლდნენ“, როდესაც „შარლი ებდოს“ რედაქცია დახვრიტეს წინასწარმეტყველ მუჰამედზე გამოქვეყნებული ამაზრზენი კარიკატურით შეურაცხყოფილმა ისლამისტმა ტერორისტებმა.

**მე შარლი ვარ!**

— ფრანგებთან ერთად აღნავლდა „პრადვინუტი“ მსოფლიო, საქართველოს ნაწილის ჩათვლით(?!).

ანალოგიური რამ მოხდა ბრიუსელშიც. მოლენბეკის რაიონი, რომელშიც ტერაქტი მოაწყვეს, ძირითადად, ისლამის მიმდევრებით არის დასახლებული. ადგილობრივ მოსახლეობას იქ სიცოცხლის საფრთხის გამო აღარ დაედგომება და საცხოვრებლად ქალაქის გარეუბნებში ან სულაც სოფლად გადადის.

**საახალწლო ღამე კელნში?**

ჯერ სად არიან, გაუპატიურების შემთხვევები მერე დაითვალონ, როდესაც ზაფხული მოვა და მთელი ევროპა გახდილ-ჩახდილი გამოვა ქუჩაში...

ახლა ვიღაც იტყვის: რა, მხოლოდ საფრანგეთ-ბელგია და გერმანიაა ევროპაო?

კი, ბატონო. **უკვე დაანონსდა, რომ პრაღის მთავარ მოედანზე ზაფხულის პირველ დღეს გაიმართება ონანიზმის მოყვარულთა მასობრივი, საჯარო მასტურბაციის აქცია და, რა ვთქვა, უფრო ზუსტად, რა ჰქვია ამას?..**

ერთი წამითაც არ შემწყდარა ევროკავშირის მიერ ოკეანისგაღმელი პატრონის მთავარი დირექტივის — ერთნაირსქესიანთა ქორწინების — დასაკანონებელი ქმედებები და, რა თქმა უნდა, ანტირუსული კამპანია, საინფორმაციო ომი, რომელიც სირიაში რუსეთის გამარჯვების შემდეგ განსაკუთრებით არის თვალში საცემი.

დიახ, გამარჯვების, რადგან, **რაც ობამას 60-სუბიექტიანმა კოალიციამ ორ წელიწადში არ გააკეთა (დიახ, არ და არა — ვერ), 6 თვეში გააკეთა რუსეთმა — ტერორისტებისგან გაათავისუფლა მსოფლიო კულტურის საგანძური პალმირა, ხოლო სრულიად სირიის გაწმენდა „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან მხოლოდ დროის საკითხია.**

ამას წინათ რუსეთმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალისტები პალმირაში შეიყვანა. მათ შორის ამერიკელი ჟურნალისტებიც უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ბოლო მომენტში ერთხმად თქვეს უარი. უფრო ზუსტად, ათქმევინეს, თორემ რომელი ჭკუათმყოფელი ჟურნალისტი იტყოდა უარს პალმირას მონახულებაზე?!

რა არის ეს, თუ არა კლასიკური „უჩემოდ ვინ იმღერეთა“?

ბოლო ხანს რუსოფობიაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან **პოლონეთი** პირველობს.

მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი ძეგლების ნგრევა, რომელთა რაოდენობა 500 აჭარბებს. მათ შორის, არც პოლონური წარმოშობის მარშალ **როკოსოვსკისა** და გენერალ **ჩერნიახოვსკის** ძეგლები დაინდეს...

600 ათასი საბჭოთა მეომარი შეეწირა პოლონეთის გათავისუფლებას, გადარჩენილებს კი ყვავილებით ხვდებოდა პოლონელი ხალხი. ხალხი, რომელთა უმრავლესობა წინააღმდეგია ძეგლების ნგრევის, მაგრამ ვინ უსმენს მათ?!

არადა, უშუალოდ **სტალინის** ზემოქმედებით დათანხმდნენ მოკავშირეები პოლონეთისთვის გერმანული ტერიტორიების მიერთებას, რაც, ჯამში, 100 ათას კვ.კმ-ზე მეტია.

ყოფილი გერმანული **ბრესლაუ,** დღეს პოლონური **ვროცლავი**, ტურისტული ინდუსტრიის მთავარი პუნქტია.

**ამ ტერიტორიიდან სტალინის ბრძანებით გაასახლეს 6 მილიონი გერმანელი და ამის შემდეგ სსრკ-ის მხოლოდ ოკუპანტად მოხსენიებას რა ჰქვია?** — რა და, რაც ერთ პოლონელ ჟურნალისტს წამოსცდა ტელეკომპანია „ერ-ტე-ერის“ პირდაპირ ეთერში: „ეს ყველაფერი 2016 წლის 9 ივლისს დამთავრდება, ანუ, როდესაც ვარშავაში ნატოს სამიტი დასრულდება და ობამა წავა პოლონეთიდან. აბა, რა ვქნათ, აშშ-ის პრეზიდენტს საბჭოთა არმიის გენერლების ძეგლებს ხომ არ დავანახვებთო?“

აქ, როგორც იტყვიან, უკომენტაროდ...

რუსეთს არაერთხელ გადაურჩენია ევროპა თუნდაც ნაპოლეონ-ჰიტლერისგან და ხვალ შეიძლება კვლავ გადასარჩენი შეიქნეს ისლამიზაციისგან, მაგრამ, როგორც იმუქრებიან რუსი პოლიტოლოგები, რუსეთი აღარავის გადარჩენას არ აპირებს, რადგან გადარჩენილები მხოლოდ უმადურობით პასუხობენ — ევროპის ქვეყნების ხელისუფლებებისთვის (და არა ხალხის უმრავლესობისთვის) რუსეთი მენტალურად არის მიუღებელი, რომლის თავიდათავი მიზეზი მართლმადიდებლობაა.

**წერილის ბოლოს — ქართველი ნეოლიბერალი ხლისტებისა და ტელემეძავი წამყვანების საყურადღებოდ, რომლებიც ცინიკურ კითხვებს სვამენ:**

**რას ნიშნავს „ქართველობას გვართმევენ“? რა მოხდა მერე, თუ ქართულ მიწას ვინმეს მივყიდით, ზურგზე ხომ ვერ მოიკიდებენ და წაიღებენ? ან კლასიკური ცინიზმი — ჰომოსექსუალიზმი, ერთნაირსქესიანთა ქორწინება გადამდებიაო და ა.შ.?**

**რაც ევროპას დაემართა, ეს არის სწორედ „ქართველობას გვართმევენ“ — პარიზში ჩახვალ და თავი აფრიკაში გეგონება, ბერლინში ჩასულს — თურქეთში, ბრიუსელში მყოფს — ორივეში ერთად, პლუს არაბეთში.**

**სწორედაც რომ გადამდებია სოდომის ცოდვა, რადგან, როცა ქართველი საზოგადოება ჰომადიანი ბიჭების საჯარო „ზასაობას“ გულის რევის გარეშე შეხედავს, აქედან ერთი ნაბიჯია იმ გარყვნილების რელიგიამდე, რომელშიც იხრჩობა ერთ დროს პურიტანულ-კონსერვატიული ევროპა.**

ევროპა გეოგრაფიულად ისევ იქ არის, არავის მოუკიდებია ზურგზე, მიწა არავის მიუტაცებია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპელებმა ქრისტიანულ მორალს მეტისმეტი ტოლერანტობა, გამოხატვის თავისუფლება და კუჭის ფილოსოფია ანაცვალეს, მათი სულიერება განადგურდა და გადამთიელი მათ სამშობლოსაც მალე მიიტაცებს.

ეს არის ის მძიმე საზღაური, რომლის გადახდაც მოუწევს დავარცხნილ ევროპას დანაშაულებრივი გულგრილობის გამო და სულაც არ მინდა, რომ მსგავსი ფასის გადახდა ჩემს სამშობლოსაც მოუწიოს, თორემ საქართველოში სიტყვა „ტოლერანტობა“ არავინ იცოდა, როცა შემწყნარებლობის, რაინდობის, ქალ-ვაჟთა თანასწორობის სახარება მივეცით მსოფლიოს — „ვეფხისტყაოსანი“, და ჩვენში არავინ და არასდროს ყოფილა ჩაგრული რელიგიურ-ეთნიკური ნიშნით.

**დავით მხეიძე**

„პოსტქრისტიანული ევროპელები უარს ამბობენ ჯვრის ტარებაზე, ახალი წლისა და შობის აღნიშვნაზე. მათ მიერ დეკლარირებული „ტოლერანტობა“ და ლიბერალიზმი უკვე აბსურდულ ფაზაში გადადის. მათ კი უპირისპირდება ნაკადი ახალგაზრდა, აგრესიული დევნილებისა, რომლებიც ცხოვრების თავიანთ წესებს კარნახობენ.“

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ევროპა კვდება, ამას აკეთებს ნებაყოფლობით და თანაც სიამოვნებას განიცდის»

**გასულ კვირას გაიმართა ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი, რომელზეც თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა თქვა: „საქართველოს სახელმწიფოს განაცხადია, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს განსხვავებული მოსაზრებები საქართველოს მომავალზე. ამ ქვეყანაში საზოგადოება შეთანხმებულია ერთ ძალიან მნიშვნელოვან ღირებულებაზე — საქართველო უნდა დაბრუნდეს ევროპულ ოჯახში, საიდანაც ის ხელოვნურად, ძალისმიერად მოწყვიტეს. „მეტი ნატო — საქართველოში, მეტი საქართველო — ნატოში“ — გვინდა, რომ ვარშავის სამიტმა სწორედ ამ მთავარ გზავნილზე გასცეს ხელშესახები რეალური პასუხი“. გარდა ამ განცხადებისა, უკვე დიდი ხანია, თავდაცვის მინისტრისგან გვესმის ერთი ფრაზა: „ჩვენ არ ვითხოვთ მაპს, ჩვენ ვითხოვთ ნატოში გაწევრებას“. შესაძლებელია თუ არა ნატოში გაწევრება მაპის გარეშე? რა საფრთხეების შემცველია თავდაცვის მინისტრისა და რესპუბლიკელების პროევროპული რიტორიკა საქართველოსთვის? —
ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**



**— რამდენიმე დღის წინათ ჰოლანდიაში რეფერენდუმი ჩაატარეს — უნდა მიიღონ თუ არა უკრაინა ნატოში? მოსახლეობის თითქმის 70%-მა უარი განაცხადა. მიზეზი სხვადასხვა იყო, ძირითადი კი — უკრაინაში ცხოველებს უდიერად ექცევიანო... ჩანს, ევროპელების მიდგომა ამ საკითხისადმი ნიჰილისტურია. რის იმედი უნდა ჰქონდეს საქართველოს?**

— ნიდერლანდებში ახლახან ჩატარებულ რეფერენდუმში მოსახლეობის უმრავლესობამ უკრაინის ევროასოცირებისადმი უარყოფითი განწყობა გამოხატა. ამ რეფერენდუმს საკონსულტაციო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ქვეყნის პრემიერმა განაცხადა, მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული იქნებაო. ევროასოცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კი კონსენსუსის გზით ხდება, ანუ ევროკავშირის ყველა ქვეყნის თანხმობაა საჭირო. **თუ ჰოლანდიამ უარი თქვა, უკრაინა ევროასოცირების გარეშე დარჩება.**

ჩემი აზრით, რეფერენდუმის შედეგი მოსახლეობის ევროსკეპტიციზმისა და ევროპელი მაღალჩინოსნების მიერ გატარებული პოლიტიკის მიმართ პროტესტის გამოხატულებაა.

**რაც შეეხება ევროპას, იგი თვითლიკვიდაციით არის დაკავებული. პოსტქრისტიანული ევროპელები უარს ამბობენ ჯვრის ტარებაზე, ახალი წლისა და შობის აღნიშვნაზე. მათ მიერ დეკლარირებული „ტოლერანტობა“ და ლიბერალიზმი უკვე აბსურდულ ფაზაში გადადის. მათ კი უპირისპირდება ნაკადი ახალგაზრდა, აგრესიული დევნილებისა, რომლებიც ცხოვრების თავიანთ წესებს კარნახობენ.** ამას ემატება გენდერული პოლიტიკა, დღეს ყოველი მეორე ოჯახი ოჯახის დაგეგმვის მუშაკს მიმართავს შვილის გასაჩენად, რაც ფერტილობის დაბალი მაჩვენებლის გამო ხდება. **ევროპის მოსახლეობა კატასტროფულად მცირდება. მე ამას დიდი გულისტკივილით ვამბობ იმიტომ, რომ ევროპულ ცივილიზაციას საფრთხე ექმნება.** მახსენდება გერმანელი ფილოსოფოსის — **ოსვალდ შპენგლერის** აზრი, რომელიც მან თავის „ევროპის დასასრულში“ გადმოგვცა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში. შინაარსი დაახლოებით ასეთია: **„ევროპა კვდება, ამას აკეთებს ნებაყოფლობით და თანაც სიამოვნებას განიცდის“.**

ჩვენთან არ ლაპარაკობენ იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც დასავლური საზოგადოება დგას. დღეს პრობლემურია ე.წ. ევროატლანტიკური ეკონომიკური ურთიერთობები და თვით ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნება. მაგალითად, **დევიდ კემერონი** დიდი ბრიტანეთის პრემიერის პოსტზე მოვიდა ლოზუნგით, რომ მისი მთავრობა რეფერენდუმს ჩაატარებს გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირში ყოფნის შესახებ, თუმცა რამდენიმე თვის წინათ დევიდ კემერონსა და ევროჩინოსნებს შორის გამართულ შეხვედრაზე ინგლისმა დამოუკიდებელი მოქმედების ისეთი გარანტიები მიიღო, რომ, ფაქტობრივად, იგი დამოუკიდებელ მოთამაშედ რჩება.

ევროატლანტიკურ ეკონომიკურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებიან ბიზნესწრეები, რომლებიც ხვდებიან, რომ თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ევროპისთვის სასურველი არ არის, ამიტომ მათთვის ასეთი ევროკავშირიც მიუღებელია და ისინი დეზინტეგრაციის მომხრეები არიან.

**უკრაინა კარგი მაგალითია იმისა, როგორ შეიძლება პოლიტიკური ტექნოლოგიების მსხვერპლად იქცეს ქვეყანა. სახელმწიფო გადატრიალება იმისთვის მოხდა, რომ ევროპული გზა აირჩიეს, სანაცვლოდ მიიღეს დანგრეული ქვეყანა, კორუფციაში ჩაფლული ელიტა, გაუსაძლისი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, უფრო მეტიც, შესაძლოა, მათ ევროასოცირებასაც კი საფრთხე შეექმნას,** რადგან ვიცით, რომ კონსესუსის გზით ხდება ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება. ევროასოცირება იყო ძირითადი მიმართულება, რომელიც რუსეთიდან უკრაინის მოგლეჯვას გულისხმობდა.

**45-მილიონიანი ქვეყანა პიარტექნოლოგიით შეცდომაში შეიყვანეს. უკრაინის მდგომარეობა, რაც დრო გავა, კიდევ უფრო დამძიმდება.**

**— საქართველო რამდენიმე დღის განმავლობაში მასპინძლობდა ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიურ ფორუმს, რომლის ძირითადი ლოზუნგი იყო „მეტი საქართველო ნატოში და მეტი ნატო საქართველოში“. თუ ევროპას მართლაც არაფერში ვჭირდებით და თვითონაც დაღუპვის გზაზეა, ჩვენ დროსა და ფინანსებს რატომ ვხარჯავთ?**

— ნატო მხოლოდ სამხედრო ბლოკი არ არის. იგი არის პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური სტრუქტურა, რომელიც დროის შესაფერისად განიცდის ადაპტაციას. დღეს სულ უფრო დიდი აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ნატო დასავლური ღირებულებების გამომხატველია და მასთან თანამშრომლობა ამ ღირებულებების აღიარებაა. საქართველოსთან მისი ურთიერთობა დასავლური პრაგმატული პოლიტიკის კარგი მაგალითია. **ნატოს სულაც არ სჭირდება, საქართველო და მისნაირი ქვეყნები ალიანსში გაერთიანდნენ. მას აქვს პარტნიორობის პროგრამები, რომლებშიც საქართველოც მონაწილეობს. საქართველოს სამშვიდობო მისიაში გაცილებით მეტი ჯარისკაცია, ვიდრე ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყნის მისიაში. თანაც, ამ მისიებს ქვეყნები საკუთარი სახსრებით აფინანსებენ.** ჩვენ შემთხვევაში ასეთი ღონისძიებები იმას ნიშნავს, რომ დასავლურ ღირებულებებს ვაღიარებთ და დასავლეთის ინტერესების გამტარებლები ვართ.

**— დიდი ხანია, ყველამ ვიცით, რომ ნატო არ გაფართოვდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მისკენ მივისწრაფვით. ბოლო პერიოდში ძალიან საინტერესო განცხადებებს აკეთებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი. ის ამბობს, რომ საქართველო ნატოში მაპის გარეშე შევა და ეს ვარშავის სამიტზე მოხდება. შესაძლებელია, რომ მაპის გარეშე შევიდეთ ნატოში?**

— ჩვენი ნატოში გაწევრება პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია და, როდესაც ჩვენი მაღალჩინოსნები ულტიმატუმს აყენებენ და საქართველოს გაწევრებას მოითხოვენ, ეს პოლიტიკური უმწიფრობა და წინდაუხედაობაა, რომელიც საქართველოს საფრთხეს უქმნის. გამოცდილი პოლიტიკოსები ასე არ იქცევიან. მიზნის მისაღწევად საქმეს აკეთებენ და ბევრს არ ყვირიან. ჩვენ კი ჩვენი რიტორიკითა და პოლიტიკით სამშობლო დიდად დავაზარალეთ. **სააკაშვილმა** რუსეთის გინების ფონზე დაგვაკარგვინა აფხაზეთი, სამაჩაბლო, კოდორის ხეობა, 140 სოფელიც ზედ მიაყოლა და ჩვენი ბიჭებიც ომში დახოცა. რუსული სამხედრო ბაზებიც გააორმაგა, ისეთ მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ სავაჭროდ არაფერი დაგვიტოვა. პოლიტიკა კი, ძირითადად, ვაჭრობაა.

**ჩვენი პოლიტიკური ელიტის ნაწილი, რესპუბლიკელების სახით, მზად არის, ნატოში შესვლის სანაცვლოდ აფხაზეთი და სამაჩაბლო დათმოს, მაგრამ ვერ ხვდებიან, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება და ნატოში მაინც არ მიგვიღებენ.** მათ მაგალითად გერმანიის პრეცენდენტი მოჰყავთ. საკითხის ასე დაყენება ან პოლიტიკური პროცესების უცოდინრობის და არაკომპეტენტურობის ბრალია, ან გამიზნული პროვოკაცია. მათ, ალბათ, კარგად არ იციან, რა ხანგრძლივი, კულისებსმიღმა პოლიტიკური, ფინანსური და სხვა სახის ძალისხმევა დასჭირდა გერმანიის გაერთიანებას. გარდა ამისა, **თუ რესპუბლიკელებს ჰგონიათ, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვას გვაკმარებენ, ძალიან ცდებიან. ნებისმიერ შემთხვევაში, რესპუბლიკელთა ასეთი გათვლები საღ აზრს არის მოკლებული, ამიტომ, როდესაც ამ პარტიის წევრებს ინტელექტუალობას მიაწერენ, ყოველთვის მიჩნდება კითხვა: რაში გამოიხატება მათი ინტელექტუალობა — ბერძნული მითოლოგიის ცოდნაში? ილიასა და ეროვნულის კრიტიკაში? პოლიტიკის ცოდნაში თუ სოფისტურ რიტორიკაში? ჩემი აზრით, ეს ის შემთხვევაა, როდესაც უქაღლო ქვეყანაში კატები ყეფენ.**

**— ქართულ პოლიტიკას თითქოს ნელ-ნელა, შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც შორდებიან ლიბერალები. როგორ ფიქრობთ, შეინიშნება კურსის ცვლილება? თითქოს ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ახალი, განსხვავებული რიტორიკა ისმის. მაგალითად, ასეთი — ნატოში არ გვიღებენ და რა ვქნათ?**

— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, მართლაც ამბობს, ნატო თვითმიზანი არ არის და მთავარი ქვეყნის კეთილდღეობააო. ასეთ რიტორიკას მივესალმები. კარგი იქნებოდა, ამაზე ცოტა ადრე ეფიქრათ.

ძნელი განსასაზღვრია, ხელისუფლებაში რა ძალები მოვლენ და რა გარიგების მომსწრენი გავხდებით. სამწუხაროა, რომ მოსახლეობაში ნიჰილიზმი და იმედგაცრუებაა. **„ოცნებამ“ დაპირებები არ შეასრულა. ცდილობენ რაღაცების გამოსწორებას, მაგრამ ქვეყანა მაინც რჩება მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში, რთულ დემოგრაფიულ ვითარებაში. მოსახლეობის დიდ ნაწილს ქვეყნიდან წასვლა უნდა, რადგან აქ ფული არ იშოვება.**

საქართველო პატარა ქვეყანაა, პატარა ბაზრით. წარმატებას რომ მივაღწიოთ, დიდი ბაზრის ნაწილი უნდა გავხდეთ. **ევროპაში ამის მიღწევა საკმაოდ რთულია. საქართველოს სივრცე პოსტსაბჭოთა სივრცეა. რაც კეთდება, ფაქტია, საკმარისი არ არის.**

ძალიან ცუდია, როდესაც ქვეყნის ხელისუფლება არ ამბობს, რა საფრთხეებთან არის დაკავშირებული პროევროპული რიტორიკა. ლიბერალები, პროევროპელები ვერ ათვითცნობიერებენ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას დემოგრაფიული კატასტროფის ფონზე.

**„ტოლერანტობისა“ და „გენდერობის“ ევროპულმა პოლიტიკამ მოიტანა ის, რომ კატასტროფულად მცირდება ევროპული ლამაზი რასა, ყოველი მეორე ოჯახი „დაგეგმვით“ აჩენს ბავშვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფერტილობის, ანუ ჩასახვის უნარიანობის დაბალი დონეა. თუ ამაში დავემსგავსებით ევროპას, თუ, უპირველესად, გენდერული პოლიტიკა გადმოვიღეთ, საქართველოს საქმე ძალიან ცუდად იქნება.**

მრავალჯერ მითქვას და კიდევ გავიმეორებ: პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა და ხელისუფლებაში უნდა მოვიდეს ისეთი ხალხი, რომელიც თავისი სიცოცხლისა და კარიერის რისკის ფასად ქვეყნის კეთილდღეობაზე იფიქრებს. მაღალი კვალიფიკაციითა და ინფორმაციულობით ყოველთვის შესაძლებელია ქვეყნის საკეთილდღეო გადაწყვეტილების მიღება.

**საქართველო კრიტიკულ მდგომარეობაშია, ადამიანების თვითორგანიზებამ ყველაფერი უნდა დაალაგოს. ახლა საჭიროა მობილიზება და ზეწოლა პოლიტიკურ ელიტაზე, რათა მოხდეს ქვეყნისთვის სასიკეთო გადაწყვეტილების მიღება.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს ზოგიერთს ჰგონია, რომ ივანიშვილი რუსებმა მოიყვანეს პოლიტიკაში. არადა, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ამერიკელებმა მოიყვანეს ისეთი კაცი, რომელიც სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ გადაარჩენდა და ქვეყანას სამოქალაქო ომს აააცილებდა. ამერიკელებმა ძალიან ჭკვიანური ოპერაცია ჩაატარეს და (ვიცი, ეწყინება, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი) ბიძინა ივანიშვილი გამოიყენეს“.



## თემურ შაშიაშვილი:

# ბატონო ბიძინა, ხომ იცით, რომ ეს ფარული ჩანაწერები სიმართლეს შეესაბამება; ხომ იცით, რომ იმაზე უარესი ჩანაწერებიც არსებობს, ვიდრე გავრცელდა და ამ ხალხთან როგორ მუშაობთ, როგორ ხვდებით ამ ხალხს, ეს ხომ საქართველოს შეურაცხყოფაა?!

**კოალიცია „ქართული ოცნება“ „ეროვნულმა ფორუმმა“ და რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვეს. აქვთ ამ პარტიებს დამოუკიდებლად, კოალიცის გარეშე არჩევნებში გამარჯვების შანსი და ამჯერადაც მოახერხებს თუ არა „ქართულ ოცნება“, შეუსრულებელი დაპირებების მიუხედავად, საკუთარ უპირატესობაში ამომრჩევლის დარწმუნებას?
მიმდინარე მოვლენებსა და სამომავლო გეგმებზე პოლიტიკური პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი გვესაუბრება:**

— მისასალმებელია, რომ ეს პარტიები დამოუკიდებლად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ მართლაც დაიშალა კოალიცია. შესაძლოა, ეს ყველაფერი მხოლოდ დიდი გეგმის ნაწილია, ვინაიდან უმრავლესობას ამ შემადგენლობით ხელისუფლებაში დარჩენის შანსი არ ჰქონდა. გამორიცხული არ არის, ამ პარტიებმა ცალ-ცალკე იყარონ კენჭი, გაიმარჯვონ და პარლამენტში მოხვედრის შემდეგ კვლავ გაერთიანდნენ. გამორიცხული ჩვენს ქვეყანაში არაფერია. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ერთ დღეს ამბობს, პოლიტიკაში არ ვერევიო, მეორე დღეს კი აცხადებს, გამარჯვებისთვის ჩემს შესაძლებლობებს სრულად გამოვიყენებო.

**ქვეყანა ავადაა. ბრძოლა არსებობისთვის ისე გამძაფრდა, რომ ფულის გამო, მოსახლეობის 70-80% ყველაფრისთვის მზადაა.** ეს პერიოდი ყველა ქვეყანას ჰქონდა, სხვათა შორის, ამერიკასაც. სწორედ მაშინ თქვა **რონალდ რეიგანმა** — ამერიკის წინაშე დიდი პრობლემაა: თუ კუჭმა გაიმარჯვა გონებაზე — ამერიკა დამთავრდება, მაგრამ, თუ გონებამ გაიმარჯვა კუჭზე — ზესახელმწიფო იქნებაო. **საქართველოში დღეს კუჭია გონებაზე გამარჯვებული.**

**— თავიდანვე ხომ ცხადი იყო, რომ იდეოლოგიურად რადიკალურად განსხვავებული პარტიები ერთ კოალიციაში დიდხანს ვერ იარსებებდნენ. რატომ იყო აუცილებელი მათი გაერთიანება?**

— ეს საკითხი არა საქართველოში, არამედ ქვეყნის გარეთ გადაწყდა. ვიღაცებს ჰგონიათ, რომ **ბიძინა ივანიშვილმა** გაუშვა **სააკაშვილი,** სინამდვილეში კი ამერიკელებს ხელს აღარ აძლევდათ გაბოროტებული პიროვნება, რომელსაც პოლიტიკური კაპიტალი აღარ ჰქონდა, მაგრამ მისი გაშვება არა ამერიკას, არამედ რუსეთს უნდა დაბრალებოდა, რადგან სააკაშვილი არ უნდა გალიზიანებულიყო და ალაპარაკებულიყო. **დღეს ზოგიერთს ჰგონია, რომ ივანიშვილი რუსებმა მოიყვანეს პოლიტიკაში. არადა, საქართველოს ხელისუფლების სათავეში ამერიკელებმა მოიყვანეს ისეთი კაცი, რომელიც სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ გადაარჩენდა და ქვეყანას სამოქალაქო ომს აააცილებდა. ამერიკელებმა ძალიან ჭკვიანური ოპერაცია ჩაატარეს და** (ვიცი ეწყინება, მაგრამ პირდაპირ ვიტყვი) **ბიძინა ივანიშვილი გამოიყენეს.**

საქართველოს უბედურება არის ის, რომ, თუ ადრე გვეგონა, რუსეთთან უნდა გვქონოდა კარგი ურთიერთობა და ამერიკა გველანძღა, ახლა პირიქით გვგონია, რუსეთი უნდა ვლანძღოთ და ამერიკასთან კარგად ვიყოთ. **ამერიკა და რუსეთი ყოველთვის პოულობს საერთო ენას, ჩვენ კი გაუბედურებულ მდგომარეობაში ვრჩებით.**

**— შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატარა ზაქარეიშვილმა განაცხადა, სადაც ნატოა, იქ მშვიდობააო. შეიძლება, ნატო ჩვენი მშვიდობის გარანტად მივიჩნიოთ?**

— რა კომენტარი გავაკეთო მის განცხადებაზე?! **პაატა ზაქარეიშვილი რესპუბლიკური პარტიის წევრია და რესპუბლიკური პარტია ამერიკის შეურაცხყოფაა საქართველოში.**

დააკვირდით: ვინც რუსეთს ლანძღავს საქართველოში, რუსულ პოლიტიკას სწორედ ის ატარებს. სააკაშვილმა რუსეთს მთელი ეკონომიკა მიჰყიდა. სამწუხაროდ, **დღეს საქართველოს ამერიკიდან მართავს მაკკეინი. სააკაშვილი ამერიკელებისთვის ფანტასტიკური ფიგურაა, რადგან ზედმიწევნით კარგად ებრძვის თავის ქვეყანას და შესანიშნავად ასრულებს ყველაფერს, რასაც გარედან ავალებენ.** საქართველოს შემდეგ ის უკრაინაში შეუშვეს, მაგრამ იქ 6 თვეში მიხვდნენ იმას, რასაც ჩვენ ათი წელი მოვუნდით. ამერიკელებიც მიხვდნენ, რომ სააკაშვილი უფრო სავაჭროდ სჭირდებათ.

ვისურვებ, საქართველოს მოსახლეობამ არც ერთ იმ პოლიტიკოსს ან პარტას არ დაუჭიროს მხარი, რომელიც რუსეთიდან ან ამერიკიდან იმართება. არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას არ მოუსმინოს, რომელიც დასავლეთიდან ფინანსდება, და ნახავთ, როგორ გაბრწყინდება საქართველო.

დამოუკიდებელ საქართველოში პოლიტიკურ პროცესს პოლიტიკური პროსტიტუციის ეპოქას დავარქმევდი. **ჩვენთან მოღალატე და პარტიიდან პარტიაში მორბენალი უღირსი პოლიტიკოსები უფრო უყვართ; ის ადამიანები, რომლებსაც არავითარი პროგრამა არ აქვს, მაგრამ ლანძღვაგინება და ქუჩაში ყვირილი შეუძლიათ.**

**— უნდა გადადგეს თუ არა თანამდებობის პირი, რომელზეც პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერი არსებობს?**

— ეს ადამიანები პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ. ყველამ ძალიან კარგად იცის, ვისზეა ეს ჩანაწერები. 15-20 ჩანაწერი მაინცაა ასეთი. და გაუგებარია, ეს ადამიანები, საერთოდ, როგორ გამოდიან გარეთ, საზოგადოებაში როგორ ჩნდებიან?! ვინც ჩაიწერა, ხომ უზნეოა, მაგრამ, ვინც ეს ჩაიდინა, რატომ დაგვავიწყდა? ამათ ხომ მოსწონთ ყველაფერი ამერიკული. ცნობილ ამერიკელ მწერალ **უილიამ ფოლკნერს** გენიალური რამ აქვს ნათქვამი: „ადამიანი თავისუფალია მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში“. არ მესმის, რას ნიშნავს მინისტრის პირადი ცხოვრება. მინისტრის პირადი ცხოვრება მისი სახლის გარეთ აღარ არსებობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში რომელიმე მინისტრი ამდენს ვერ გაბედავს და საქართველოში, ამ ზნეობით სავსე ქვეყანაში, მინსიტრები ამას კადრულობენ.

მიხეილ სააკაშვილი ამ ფარულ ჩანაწერებს საჯაროდ საჩვენებლად არ იღებდა. ის ქმნიდა სექტას, ხოლო სექტის პრინციპია, თითოეულ წევრზე გქონდეს კომპრომატი, ამიტომ მინდა ბიძინა ივანიშვილს მივმართო — **ბატონო ბიძინა, ხომ იცით, რომ ეს ფარული ჩანაწერები სიმართლეს შეესაბამება; ხომ იცით, რომ იმაზე უარესი ჩანაწერებიც არსებობს, ვიდრე გავრცელდა, და ამ ხალხთან როგორ მუშაობთ, როგორ ხვდებით ამ ხალხს?! ეს ხომ საქართველოს შეურაცხყოფაა?!**

**— ფიქრობთ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამ ფარული ვიდეოჩანაწერების არსებობის შესახებ იცოდა?**

— რა თქმა უნდა. არ ვამბობ, რომ უყურა ამ ჩანაწერებს, მაგრამ იცოდა და როგორ ითმენდა ასეთ ხალხს თანამდებობებზე, არ მესმის.

საქმე ის არის, რომ ოჯახი მოშალეს და დაანგრიეს. სექტანტური ჯგუფების მთავარი შეკვეთა და დავალებაც ხომ ეს იყო. როდესაც აშშ-ის ელჩი გამოვიდა და თქვა, ამერიკა მზადაა, დააფინანსოს და დაეხმაროს საქართველოს ქართულ ოჯახებში ძალადობის დანგრევაშიო, ამით მან, ფაქტობრივად, თქვა, ოჯახში შემომიშვითო. ქართულ ოჯახებში შიმშილია და ამის გამოა დაძაბულობაც, ამიტომ, თუ მართლა სურდა ამერიკას საქართველოს დახმარება, ისეთი ერთი ბანკი გაეხსნა, როგორიც ამერიკაშია, რომელიც 1%-იან ან უპროცენტო სესხებს გასცემდა, მაგრამ დასავლეთს წაქცეული საქართველო აძლევს ხელს, ძლიერი საქართველო არ სჭირდება. **ეს სექტანტური ჯგუფები, დღეს ადამიანის უფლებების დარღვევაზე რომ ლაპარაკობენ, საქართველოს ბანკებში რომ დარღვეულია ადამიანის უფლებები, ამას რატომ არ აქცევს ყურადღებას?** ადამიანის უფლებებზე ლაპარაკობენ და ერის უფლება დაივიწყეს, ამიტომ არის ქართული ძალა საჭირო.

**— ბატონო თემურ, თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ ქვეყანა გარედან დაწერილი სცენარით იმართება. ამერიკელი დამოუკიდებელი ექსპერტი და მკვლევარი ჩარლზ ჯონსონი წერს რა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაზე, აღნიშნავს, რომ მსოფლიოს მმართველები არ აღიარებენ თბილისის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და დაძაბულობის მიზეზი მხოლოდ რუს და ქართველ პოლიტიკოსებში არ უნდა ვეძებოთ. ამასთანავე, ავტორი, საქართველოსა და რუსეთის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მათ თანამშრომლობასაც არ გამორიცხავს, მაგრამ საკითხავია, შესაძლებელია კი ასეთ პირობებში ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დარეგულირება?**

— პირად საუბრებში ამერიკელი პოლიტიკოსები და ექსპერტები სხვას გვეუბნებიან და საჯაროდ სულ სხვა განცხადებებს აკეთებენ.

რომ შევადაროთ, **საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში უფრო მეტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ჰქონდა, ვიდრე ახლა აქვს. თუ საქართველოს საბჭოთა კავშირის პერიოდში ფურცელზე ჰქონდა 5-10% დამოუკიდებლობა, დღეს ფურცელზე აქვს 100%-იანი დამოუკიდებლობა, მაგრამ ქვეყნის რეალური დამოუკიდებლობა იმაზე ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა პერიოდში ჰქონდა. რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს ჰქონდა ეროვნული დამოუკიდებლობა. ქართული ენა, ქართული თეატრი, განათლება, მეცნიერება, სპორტი, კინო უპირველესი იყო, ანუ ეროვნული დამოუკიდებლობის ყველა ნიშანი გვქონდა შენარჩუნებული. დღეს კი მხოლოდ ფურცელზე გვაქვს დამოუკიდებლობა.**

ქვეყანა ზანზარებდა ხოლმე, როდესაც მწერლები, მხატვრები, მსახიობები იკრიბებოდნენ. დღეს ვის აინტერესებს მათი აზრი? ეროვნული საყრდენი იყო უნივერსიტეტი, მწერალთა კავშირი, მხატვართა კავშირი, მეცნიერებათა აკადემია და ა.შ. დღეს ვინ რას ეკითხება ამ ადამიანებს?! განა კატასტროფა არ არის, რაც დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება?

**არჩევნებზე, დაე, ხალხმა განსაჯოს, რა დაპირებები შეასრულა ამ ხელისუფლებამ და რა — არა, აღადგინა თუ არა სამართლიანობა, გაუმჯობესდა თუ არა სოციალური პირობები**, მაგრამ მთავარი უნდა ითქვას: ხელისუფლების ფუნქცია სახლის გადახურვა და სადარბაზოს მოწყობა არ არის, არც ხელოვანებისთვის ფულის გადახდაა. მისი უპირველესი ფუნქციაა, ხალხი გადახდისუნარიანი გახადოს. ნიჭით სავსე ქვეყანაში ადამიანებს აზროვნება წაართვეს. მწერალს, მეცნიერს უთხრეს, დაჯექი სახლში, ფულს მოგცემ, არ მინდა შენი დაწერილიო. ეს კატასტროფაა. ფულის დარიგება ნებისმიერ ქვეყანაში ეროვნული სულის, აზროვნების მკვლელობაა. ადამიანებს, ფული კი არა, შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება უნდა მისცე...

**— აპირებთ არჩევნებში მონაწილეობას?**

— 7 წელია, რაც შეიქმნა ჩვენი ორგანიზაცია და „თეთრები“ არჩევნებში მონაწილეობას პირველად მიიღებენ. შესაძლოა, ჩვენი პარტიიდან ერთმა ან ორმა კაცმა ვიყაროთ კენჭი, რადგან გვინდა, რომ საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლები არა მხოლოდ რეგიონებს, არამედ საზღვარგარეთ ბედის უკუღმართობით გადახვეწილ ჩვენს თანამემამულეებსაც ჰყავდეთ. ყველა პარტიის ლიდერს უნდა, სიაში პირველი იყოს. მე შეიძლება სიის ათეულშიც არ ვიყო.

**რომან რურუამ** თქვა, — ვისაც დეპუტატობა უნდა, საშიშია მომავალი პარლამენტისთვის; ვისაც არ უნდა, მათ უნდა შევეხვეწოთო.

საქართველოში ვინც ტაძარი ააშენა, ყველამ ან პრეზიდენტობა მოითხოვა ან პრემიერობა და დეპუტატობა. ეს არასწორია. **ამ არჩევნებზე საქართველოს მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყანას ვერც ბელადი გადაარჩენს და ვერც მილიარდერი, ქვეყანას განათლებული ადამიანების ხელისუფლებაში მოყვანა გადაარჩენს.**

> **«დღეს საქართველოს ამერიკიდან მართავს მაკკეინი. სააკაშვილი ამერიკელებისთვის ფანტასტიკური ფიგურაა, რადგან ზედმიწევნით კარგად ებრძვის თავის ქვეყანას და შესანიშნავად ასრულებს ყველაფერს, რასაც გარედან ავალებენ»**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

„ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი, რომელიც კანონშემოქმედებით, რბილად რომ ვთქვათ, მსოფლიოს აცვიფრებს, მთლად თავისუფლად ვერ გაბედავს ისეთი სამარცხვინო რამის თქმას, რასაც ჩვენი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბედავს, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვის თავის მოჭრის ტოლფასია და, მაშასადამე, საზიანო“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა თეოდორე:

# სახელმწიფო, რომელსაც უზნეო ადამიანები მართავენ, მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან ქრება

**საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის საჯარო ტრაბახი თავის „მდიდარ სექსუალურ ცხოვრებაზე“, სახელმწიფო მოხელეთა „პირადი ცხოვრების“ ფარულად გადაღებული კადრების გამომზეურება სოციალურ ქსელებში, „ელიტური“ მეძავის შვილის თავზე დამტყდარი უბედურების ლამის ერის უბედურებად აღქმა, როდესაც სოციალურად დაუცველი პატიოსანი ქალების ბავშვებისთვის საზოგადოება, არათუ ერთ ლარს, ერთ სანუგეშო სიტყვასაც ვერ იმეტებს, აჩენს კითხვებს — საით მივექანებით? ნუთუ ასეთია ის თავისუფლება, რომლისთვისაც 1989 წლის 9 აპრილს რამდენიმე ათეულმა ადამიანმა თავი გასწირა? გვესაუბრება თბილისის ჯვართამაღლების ტაძრის დეკანოზი, მამა თეოდორე გიგნაძე.**

**— მამაო, დასავლეთის მიერ თავსმოხვეულმა „დემოკრატიამ“, „თავისუფლებამ“ და სხვა „სიახლეებმა“, უამრავი თავსატეხი გაგვიჩინა. რა შეიძლება ქვეყანას მოუტანოს ხელისუფლებაში ისეთი ადამიანების მოსვლამ, რომლებიც ზნეობით არ გამოირჩევიან?**

— ამ პრობლემას შეგვიძლია შევხედოთ ორი მხრიდან: პირველი — ხელისუფალი, მით უმეტეს, **უმაღლეს ხელისუფლებაში მყოფი პირი, ერთგვარი სარკეა ნებისმიერი საზოგადოებისა. უფალი თითქოს გვეუბნება: „მე თქვენ სარკეში ჩაგახედებთ. ეს კაცი თქვენი წიაღიდან ამოვიყვანე თავისი მანკიერებებით, რომლებიც მასში განზრახ რეტუშირებულია, რათა დაგანახვოთ, რომ ეს ცოდვები თქვენშიც არსებობს. არ ვამბობ, რომ ყველანი ეგეთები ხართ, მაგრამ ეს ცოდვები დევს თქვენშიც“.**

და მეორე — ჩვენში არსებული პრობლემები იმაშიც ვლინდება, რომ არ გვაქვს პროტესტი და ამბოხი უზნეო მოვლენებისადმი. იმავე ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოტა ხნის წინათ არ აირჩევდნენ ისეთ პრეზიდენტს, რომელსაც წარსულში რაიმე ზნეობრივი დაბრკოლებები ჰქონოდა. დღეს აშშ-ში ასეთი კრიტერიუმით შეფასება მინავლებულია, მაგრამ უწინ შექმნილი „ზნეობრივი მექანიზმი“ მაინც მუშაობს. მაგალითად, **ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტი, რომელიც კანონშემოქმედებით, რბილად რომ ვთქვათ, მსოფლიოს აცვიფრებს, მთლად თავისუფლად ვერ გაბედავს ისეთი სამარცხვინო რამის თქმას, რასაც ჩვენი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბედავს, რაც ჩვენი სახელმწიფოსთვის თავის მოჭრის ტოლფასია და, მაშასადამე, საზიანო.** არ იქუხა ჩვენში შინაგანმა ამბოხმა, როდესაც გამოქვეყნდა პოლიტიკოსების, თანამდებობის პირების „პირადი ცხოვრების“ ამსახველი საზარელი კადრები. იმის მაგივრად, დაუყოვნებლივ მოგვეთხოვა პროკურატურისგან, გამოეძიებინა, ნამდვილად ის ქალბატონები არიან იმ კადრებში ასახულნი თუ ეს საშინელი ცილისწამებაა, ერთხმად მოვითხოვეთ მხოლოდ მათი მოძებნა და გასამართლება, ვინც ამგვარი საზიზღრობა გაავრცელა.

**— გამავრცელებლები არ უნდა დაისაჯონ?**

— აუცილებლად უნდა დაისაჯონ, მაგრამ, თუ ფირზე ასახული ქალბატონები ისინი არიან, ვისზეც გვაქვს ეჭვი, მათი არათუ თანამდებობაზე დატოვება, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებიდან სამუდამოდ გაძევებაა საჭირო!

**— ასეთი რა დააშავეს, მამაო?**

— დააშავეს! სახელმწიფო, რომელსაც მართავენ უზნეო ადამიანები, მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან ქრება. მე საქართველოს გაქრობა არ მინდა და დარწმუნებული ვარ, ეს არც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სურს.

**— 2013 წლის 17 მაისს, როდესაც თქვენ წინ წარუძღვით სამღვდელოებას, მრევლს და გახვედით რუსთაველის გამზირზე, რათა ლგბტ-ს აქტივისტებს არ ჩაეტარებინათ ე.წ. გეიაღლუმი, „ლიბერალებმა“ გაიხსენეს სახარების ადგილი, როცა მაცხოვარი მრუში ქალის ქვებით ჩასაქოლად გამზადებულ ბრბოს ეუბნება: პირველმა იმან ესროლოს ქვა, ვინც თვითონ არის უცოდველიო. ანუ ამით შეგვახსენეს, რომ ყველანი ცოდვილები ვართ. სხვათა შორის, ამ სიტყვებს ახლაც იმეორებენ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის“ მომხრენი; ხოლო ზოგიერთი „პატიოსნებით და კდემამოსილებით განთქმული“ ტელეწამყვანი ქალბატონი, თავისი პრეზიდენტის კვალდაკვალ, საჯაროდ გაჰკივის, ჩვენც მდიდარი სექსუალური ცხოვრება გვაქვს და ამით ვამაყობთო. მათ რას უპასუხებთ?**

— იძულებული ვარ, შევახსენო მაგ ბატონებსა და ქალბატონებს, რომ ქრისტეს ხსენებულ სიტყვებს აქვს დასასრული, რომელიც მათ, გარკვეული მიზეზების გამო, „ავიწყდებათ“. **ბოლოს მაცხოვარი მიმართავს მრუშ ქალს: წადი, დედაკაცო, და ამიერიდან აღარ შესცოდოო. განკაცებულ ღმერთს არ უთქვამს ქალისთვის, წადი და იმრუშეო.** ვეკითხები ლიბერალებს — რა დამოკიდებულება აქვს ღმერთს გარყვნილებისადმი? მკვეთრად უარყოფითი, არა? გაიხსენონ ცეცხლითა და გოგირდით გადაბუგვა სოდომ-გომორისა და მათთან ერთად კიდევ ხუთი ქალაქის, პრომისკუიტეტში, ანუ საყოველთაო გარყვნილების ჭაობში რომ ჩაიფლნენ. რაც შეეხება ყბადაღებულ „პირად ცხოვრებას“, ნორმალური ადამიანისთვის პირადი ცხოვრება მისი ოჯახია და არა ოჯახის ღალატი.

**— ე.წ. ცნობად სახეს — შორენა ბეგაშვილს რამდენიმე დღის წინათ თავს დაატყდა დიდი განსაცდელი. მისი ქალიშვილი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა. თავის დროზე თქვენ ჰკიცხავდით შორენა ბეგაშვილს ამორალური საქციელისთვის, მაგრამ ახლა, როდესაც მან მუხლი მოიდრიკა პატრიარქის წინაშე, შეგეცვალათ თუ არა მის მიმართ დამოკიდებულება?**

— ღმერთს არც ერთი ადამიანის დაღუპვა არ სურს და არ არსებობს ცოდვა, თვითმკვლელობის გარდა, ღმერთმა არ მოგვიტევოს, მაგრამ ამისთვის საჭიროა გულწრფელი სინანული. გამოსაფხიზლებლად ღმერთი უშვებს მძიმე განსაცდელებს, მაგრამ ყველას როდი აფხიზლებს განსაცდელებით. ის, რაც მაგ ადამიანს დაემართა, მეტყველებს, რომ სულის სიღრმეში კარგი ადამიანია და უფალმა არ გაწირა, ოღონდ ერთხელ მონანიება არ ნიშნავს, რომ უკვე წმინდანი ხარ.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# «პედაგოგთა გამოცდები დისკრიმინაციაა»

**რამდენიმე დღის წინათ ცვლილება შევიდა პედაგოგთა საგნობრივ გამოცდებში. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ხელმძღვანელმა სოფო დოლიძემ განმარტა, რომ, ცვლილების თანახმად, პედაგოგები ჯერ შესაბამის ცოდნას მიიღებენ სწავლების მეთოდიკის შესახებ და შემდგომ მოხდება მათი შემოწმება. განათლების საკითხების ექსპერტები კი ამბობენ, რომ გამოცდებში სხვადასხვა საგნის მეთოდიკის საკითხებია შეტანილი და, როდესაც საქართველოში მეთოდიკის სპეციალისტები არ გვყავს, პედაგოგებს ვერავინ შესძენს საჭირო უნარებს. რა ცვლილებები შევიდა მასწავლებელთა საგნობრივ გამოცდებში, რა იყო ამის მიზეზი და გამოიღებს თუ არა შედეგს ასეთი ცვლილება? — ამ საკითხებზე გვესაუბრება განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი.**



**— ქალბატონო მანანა, ვიდრე გამოცდებში შეტანილ ცვლილებებზე ვისაუბრებთ, გამოცდებში ჩაჭრილ პედაგოგებზე უნდა შეგეკითხოთ — რატომ აჩვენეს ასეთი შედეგი მასწავლებლებმა?**

— სტატისტიკა არასწორადაა ნაჩვენები. გამოაქვეყნეს, თითქოს საქართველოში ყველა მასწავლებლის 83% ჩაიჭრა და მხოლოდ 17%-მა გადალახა ბარიერიო. ეს ასე არ არის. გამოცდაზე გავიდა 6000 მასწავლებელი და ჩაიჭრა მათი 83%. ამ ყველაფერში კი თავიდან ბოლომდე სახელმწიფოა დამნაშავე. **სახელმწიფო ფულს არ ხარჯავს მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მათი სწავლება დაბალი ხარისხისაა, ერთ კვირაში ვინ აიმაღლებს კვალიფიკაციას? მასწავლებლებს არ ეძლევათ საგამოცდოდ მომზადების საშუალება. წესით, ხელფასიანი შვებულება უნდა ჰქონდეთ, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში გამოცდებისთვის მოსამზადებლად პედაგოგები ერთწლიან აკადემიურ შვებულებას იღებენ ხელფასის შენარჩუნებით.** აღსანიშნავია, რომ გამოცდებში სხვადასხვა საგნის მეთოდიკის საკითხებია შეტანილი და **ერთი მითხრას ხელისუფლებამ, სხვადასხვა საგნის მეთოდიკის სპეციალისტები ვინ ჰყავს? ვინ კითხულობს ლექციებს და, საერთოდ, კითხულობენ თუ არა, უტარებენ თუ არა მასწავლებლებს ტრენინგებს? სად, რომელ სახელმწიფო ინსტიტუტებში მიმდინარეობს მეთოდოლოგიის საკითხებზე მუშაობა?** მაგალითად, მათემატიკის სწავლების მეთოდიკის, ფიზიკის, ქიმიის, ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისურის სწავლების მეთოდიკის და ა.შ. ყველა საგანს აქვს მეთოდოლოგიური კვლევის ცენტრები? **რომ შემოიაროთ საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცე, მეთოდოლოგიურ კვლევის ცენტრს ვერსად ნახავთ. პედაგოგიკის კათედრები დახურეს და რომელ მეთოდიკაზეა საუბარი? არც სახელმძღვანელოები იწერება, არც — შრომები, მიგდებულია ყველაფერი. ქვეყანა არ არსებობს, პედაგოგიკის ინსტიტუტი არ ჰქონდეს და ჩვენთან გოგებაშვილის სახელობის სასწავლებელიც კი დახურეს. სპეციალისტების მომზადება მეთოდოლოგიის კუთხით მოშლილია. ერთი გადახედოს „ქართულმა ოცნებამ“ სხვა ქვეყნებს, სად არის მეცნიერება ერთ ადგილას გაყინული.** სხვა ქვეყნებში მასწავლებლები მიჰყავთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სრულად აწვდიან საჭირო ინფორმაციას და არა ისე აგდებულად, როგორც ჩვენთან. ყველგან მოწესრიგებულია ამ მხრივ სიტუაცია და **საქართველოში რა ხდება? — კორუფცია და მეტი არაფერი, ყველაფერი არის ერთი დიდი, შავი კორუფციული ხვრელი, რომელშიც, უკვე რამდენიმე წელია, იყრება ფული და შედეგი არ არის.** პედაგოგებს გამოცდებზე დაბალ შედეგებს უწერენ, ტესტები უხარისხოა, შეცდომებია, ქულებს აკლებენ, შემდეგ გრანტებს იღებს სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურა. ქვეყანაში არც ერთი უწყება გამოცდას არ უნდა ატარებდეს, გამოცდა უნდა ჩატარდეს უნივერსიტეტში. **მოქმედ მასწავლებლებს თავი დაანებონ, ეს პირდაპირი მნიშვნელობით დისკრიმინაციაა. ახალგამომცხვარ მასწავლებლებს აძლევენ უფროსი მასწავლებლის სტატუსს და მასწავლებლებს, რომლებიც უკვე მაგისტრები არიან, — პრაქტიკოსი მასწავლებლის. აი, ეს არის ქართული სამართალი, სამარცხვინო და დისკრიმინაციული.**

**— რა ცვლილება შეიტანეს პედაგოგთა გამოცდებში და რა იყო ასეთი ცვლილებების შეტანის მიზეზი?**

— ზოგადი ხასიათის ცვლილებებია შეტანილი. **სქემა არ მუშაობს, ეს არის კანონსაწინააღმდეგო, დისკრიმინაციული, საერთაშორისო სამართლის ნორმების საწინააღმდეგო, პოლიტიკურად წამგებიანი სვლა, რომელიც ასამარებს „ქართული ოცნების“ სახელს.** ქვეყანაში, სადაც 70 000-ზე მეტი მასწავლებელია, 151-ია მხოლოდ წამყვანი? ეს რა მოიგონეს? სპეციალურადაა გაკეთებული, რომ ფული არ დაიხარჯოს და პედაგოგები ღირსებაშელახულები გაყარონ. გამოდის, რომ 151-ზე მეტი კარგი პედაგოგი ქვეყანაში არ არსებობს? ნუთუ ეს არ არის პოლიტიკური საკითხი? „ქართული ოცნების“ მხრიდან სასწრაფო რეაგირებაა საჭირო. ამ სქემაში ცვლილებები კი არ არის შესატანი, საერთოდ, გასაუქმებელია, ეს კატეგორიები გადასაყრელია. **თავი დაანებონ პედაგოგთა დისკრიმინაციას და არჩევნებამდე შეცვალონ ეს მიდგომა რადიკალურად, თუ არადა, იცოდეს ყველამ, რომ არც ერთი ხმა ამ უზარმაზარი სისტემიდან „ქართული ოცნებისკენ“ არ წავა. ნუ მიდიან ბიძინა ივანიშვილთან და ნუ ეუბნებიან ტყუილებს, — ყველაფერი კარგად არისო. რა არის კარგად? სწორედ მათმა უხეირო მუშაობამ დასცა ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი.** ხელისუფლებამ უნდა ჩაატაროს შეხვედრები, მოუსმინოს ორივე მხარის წარმომადგენლებს და მიხვდებიან, რომ ის ადამიანები, რომლებიც აწესებენ მსგავს რაღაცებს, უნდა დაითხოვოს განათლების სისტემიდან. პრემიერ გიორგი კვირიკაშვილს მოვუწოდებ, საერთოდ გააუქმოს მთავრობის დადგენილება.

ხელფასები გაუზარდონ პედაგოგებს სასწრაფოდ! სამინისტროს წარმომადგენლებს დააკლონ ხელფასები და გადაუნაწილონ მასწავლებლებს. პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ უნდა მოსთხოვოს პასუხი განათლების სამინისტროს და მის სტურქტურებს, რატომ მიიღეს ასეთი შედეგი.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შოუბიზნესის სამინისტროს კი უკვე ჰყავს ღირსეული მინისტრი, რომელსაც, თავის მხრივ, ჰყავს პროფესიონალთა გუნდი, რომელმაც იცის, როგორ უნდა გაასაიდუმლოოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის დინამიკა, ისიც ზუსტად იცის, როგორ უნდა დახარჯოს 29 მილიონი ტენდერებისა და რაღაც სისულელეების გარეშე!**

# კულტრულაილას ფული რად უნდა?

**ქართული კულტურა ახალ სიმაღლეებს იპყრობს! ეროს რამაზოტი, რობი უილიამსი, „მარონ ფაივი“ — ეს არის ნაბიჯი ქართული კულტურის მორიგი აღმასვლისა და გაბრწყინებისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ეს. საქართველოს კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები და პირადად მისი აღმატებულება მინისტრი გვპირდებიან, რომ მიმდინარე წლის მაისიდან ქართული კულტურის აღორძინებისა და აღმშენებლობის ჯერარნახული ტალღა დაიწყება სახელწოდებით „ჩექ ინ ჯორჯია“.**



აბა, რაღა დროს იმჟამინდელი უაზრო მიდგომებია კულტურის სფეროში, როდესაც „რუსები ენას და კულტურას გვართმევდნენ“ და ქართული კინო, თეატრი, ქართული საოპერო ხელოვნება ჯერ საბჭოთა კავშირისა და შემდეგ უკვე მსოფლიოს მასშტაბით მოივლიდა ხოლმე უამრავ ქვეყანას. არც ესტრადა ჩამოუვარდებოდა და ნანი ბრეგვაძის, „ორერას“, მოგვიანებით „ივერიასა“ თუ „ვია-75“-ის საგასტროლო ტურნეებზე სხვადასხვა ქვეყნის საკონცერტო დარბაზებში ტევა აღარ იყო. არანაკლები ყურადღება ექცეოდა ქართულ მწერლობას, სახვით ხელოვნებას თუ ხელოვნების კიდევ სხვა დარგებს... თუმცა, უკვე გითხარით, რომ ეს იმხანად იყო, როდესაც „რუსები ქართულ ენას ანადგურებდნენ“...

ახლა უკვე სხვა დროა და ქართული კულტურის, განსაკუთრებით კი — ქართული ენის, სადარაჯოზეა „ისთერნ ფრომოუშენის“ მიერ ორგანიზებული „ჩექ ინ ჯორჯია“!

რა თქმა უნდა, არ შეიძლება დაგვავიწყდეს ათასნაირი „ჯაზ-ფესტები“, „ჯემ-სეიშენები“ თუ „ბლექ-სი მიქს“-ები და მსგავსი. ყოველივე ეს ხომ ქართული ენის შენარჩუნებას, ქართული კულტურის საქვეყნო დიდებასა და, საზოგადოდ, ქართული სულის ყივილს „ემსახურება“?!

ირონია ირონიად, მაგრამ, სერიოზულად **მაინტერესებს, რას ელოდა ის, ვინც ცნობილი შოუ-პრომოუტერი კულტურის მინისტრად დანიშნა? კითხვები მაშინვე დაისვა — რატომ? რა კრიტერიუმით? რა დამსახურებებისთვის ინიშნება ბატონი მიხეილ გიორგაძე კულტურის მინისტრად? მაგრამ ვინ არის პასუხის გამცემი? დღეს ხომ საქართველოში ასეთი სიტუაცია გვაქვს — თუკი მას „დიადი“ ბიძინას მხარდაჭერა ექნება, თუნდაც სერიული მკვლელი და სექსუალური მანიაკი იყოს, თავისუფლად შეიძლება სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდა-განათლების მეთოდური სამმართველოს უფროსიც გახდეს!** ჰოდა, ასეთ რეალობაში **რა გასაკვირია იმ ადამიანის დანიშვნა კულტურის მინისტრად, რომელსაც კულტურა მხოლოდ ჯაზი და, როგორც თვითონ განაცხადა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, „ა-კლასის საესტრადო ვარსკვლავების საქართველოში ჩამოყვანა“ ჰგონია?**

სხვათა შორის, მინისტრის მიერ „იმედისთვის“ მიცემული ეს ინტერვიუ სხვა ბევრი კუთხითაც იყო ყურადსაღები; პირველ რიგში კი, იმ ყველაფრის „გადამეორებით“, რასაც „ნაცების“ დროინდელი რიტორიკა ჰქვია: **თურმე, „ა-კლასის ვარსკვლავების“ ჩამოყვანა საქართველოში მხოლოდ ქართული კულტურისთვის კი არ არის სასარგებლო, არამედ ტურისტების ნაკადის გასაზრდელადაც და ქვეყნისთვის ჯერარნახული შემოსავლის მოსატანადაც.** აბა, რა! ხომ გახსოვთ, **ტოტო კუტუნიოსა** და **შაკირას** თბილისში ვიზიტებისას როგორ გადაივსო უცხოელი ტურისტებით აქაურობა და მათი წასვლის შემდგომ კი როგორი კოლოსალური მოგება ნახა ჩვენმა ქვეყანამ. ბიუჯეტი ისე გადაივსო, რომ საქართველოს მთავრობამ აღარ იცოდა, რომელი სოციალური პროგრამა დაეფინანსებინა და კიდევ რამდენი ათეული ლარით გაეზარადა პენსიები და შემწეობები.

აი, ამდენი შემოსავალი მოგება და ტურისტების უწყვეტი ნაკადი მოსდევს ხოლმე „ა-კლასის“ ვარსკვლავების სტუმრობას საქართველოში.

თუმცა, გაუგებარია, რაღა საქართველოში მოსდევენ ამ მომღერლებს უცხოელები, როდესაც მათ საქართველოში ჩამოსვლამდე დასავლეთ თუ აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში აქვთ ხოლმე ტურნე. ამჯერადაც, ცნობილია, რომ **რამაზოტი** და **უილიამსი** რუსეთიდან ეწვევიან თბილისს და აქედან კი ერევანს გაეშურებიან.

მოკლედ, გამოდის, ჩვენს კულტურის მინისტრს, უბრალოდ, სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რომ „ა-კლასის“ ვარსკვლავების აქ ჩამოყვანა, კულტურასთან ერთად, ტურიზმსაც დიდ სამსახურს გაუწევს...

სხვათა შორის, მინისტრის სიტყვაზე ნდობა სხვა ბევრ რამეშიც გვიწევს. აბა, სხვა რა გზაა, როდესაც, ჟურნალისტის კითხვაზე, რატომ არ გამოცხადდა ტენდერი ამ ღონისძიებებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 29 მილიონის ასათვისებლადო, მინისტრს ჭეშმარიტად მინისტრული პასუხი აქვს – **„არ იყო საჭირო!“.**

მინისტრის არგუმენტმა აქ მართლაც ქვა გახეთქა: **„იმ კომპანიებს, რომლებსაც ისედაც აქვთ დიდი გამოცდილება ასეთი ღონისძიებების გაკეთებისა, ვაძლევთ იმის დაკვეთებს, ვისაც რის გამოცდილება აქვს. მაგალითად, „ისთერნ პრომოუშენი“ შავი ზღვის ფესტივალს, 20 წელია, აკეთებს და რად უნდა ამას ტენდერი? მათზე უკეთ ვინ გააკეთებს?“**

წინასწარ ვიტყვი: **მინისტრმა ბოლოს, როგორც იქნა, ისიც გაგვიმხილა, რომ მისი ყოფილი კომპანია „ისთერნ პრომოუშენი“ ამ 29 მილიონიდან შავი ზღვის ფესტივალისთვის „სულ რაღაც“ 2 მილიონს იღებს თურმე. თუმცა ის აღარ უთქვამს, ხსენებულ 29 მილიონში გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებშიც თუა ჩართული „ისთერნ პრომოუშენი“ და კიდევ რამდენ „სულ რაღაც“ მილიონს მიიღებს იქიდან.**

**ან ტენდერი რად უნდა, ან კულტურას განვითარება რად უნდა? ან რა არის კულტურა და რა — შოუბიზნესი, ამას განსაზღვრა რად უნდა? და, საერთოდ, ტრულაილას ფული რად უნდა? ფული უნდა კულტრულაილას! რადგან იმას, რასაც მიხეილ გიორგაძე აკეთებს და მფარველობს, კულტურას ნამდვილად ვერ დავარქმევთ, ეს უფრო ტაშ-ფანდური, შახტი-კოტე და კულტრულაილაა!**

სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით შემდეგი: „ასეთი გამოცდილი ადამიანები საქართველოში სხვაგან არ არიან. მათი ნაწილი მე კულტურის სამინისტროში გადმოვიყვანე. ჩემი გუნდით მოვედი. ამიტომ ბევრ რამეს კულტურის სამინისტრო გარეთ გატანის გარეშე, შიგნითვე აკეთებს. ხოლო კომპანია **„ისტერნ პრომოუშენი“ აკეთებს იმავეს, რასაც აკეთებდა ჩემს მინისტრად წამოსვლამდე. რად უნდა ამას ტენდერი?“**

მართლაც და, რად უნდა? **ან ტენდერი რად უნდა, ან კულტურას განვითარება რად უნდა? ან რა არის კულტურა და რა — შოუბიზნესი, ამას განსაზღვრა რად უნდა? და, საერთოდ, ტრულაილას ფული რად უნდა?**

**ფული უნდა კულტრულაილას! რადგან იმას, რასაც მიხეილ გიორგაძე აკეთებს და მფარველობს, კულტურას ნამდვილად ვერ დავარქმევთ, ეს უფრო ტაშ-ფანდური, შახტი-კოტე და კულტრულაილაა!**

ისე, მიხეილ გიორგაძის ეს უნიკალური მსჯელობა სხვა ნებისმიერი სფეროსთვისაც გამოდგება. ავდგეთ და, საერთოდ გავაუქმოთ ყველა სფეროში და ყველაფერში სახელმწიფო ტენდერები, ხომ ისედაც 25 წელია, ვიღაც აკეთებს ნებისმიერ სფეროში რაღაც მიმართულებით რაღაცებს და ვაკეთებინოთ ისევ იმას! ასე მარტივად. ტენდერი არა ისა!

რა ტენდერზეა საუბარი, როდესაც კულტურის მინისტრი ასეთ სისულელესაც კი ამბობს: **„მართალია, ეს ღონისძიებები ბიუჯეტიდან ფინანსდება, მაგრამ მე ვერ გეტყვით და არ მაქვს უფლება, დავასახელო ჩამოყვანილი უცხოელი ვარსკვლავების ჰონორარები, რადგან კონტრაქტში არსებობს მუხლი, რომლის მიხედვითაც მათი ანაზღაურებები გასაიდუმლოებულია“.**

ოლოლო შენ! აი, ეგრე! **ფეხებზე არ გვკიდია კანონი? მთავარი ის არის, რა ჩაწერა კონტრაქტში კულტრულაილას მინისტრმა, თორემ, კანონის მიხედვით, რომ არაფრით არ შეიძლება ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გასაიდუმლოებული იყოს, ეგ ვის აინტერესებს?**

ჩვენ ხომ ბნელები ვართ და არაფერი გვესმის „კომერციული საიდუმლოებებისა“!

**რაო? კომერციული საიდუმლოებები მხოლოდ კერძო ფირმებს შეიძლება ჰქონდეთ და, როდესაც საქმე ბიუჯეტიდან დახარჯულ ფულს ეხება, იქ არანაირი „საიდუმლო“ მუხლები არ შეიძლება არსებობდეს? ეგ ვინ თქვა? კანონმა? არა უშავს — მთავარია, რას იტყვის „ისთერნ პრომოუშენის პროფესიონალთა გუნდი“, თორემ კანონი რამდენ რამეს დაიბჟუტურებს, მაგას თუ მივაქციეთ ყურადღება, ხომ დაგვრჩება განუვითარებელი კულტურაც, ტურიზმიც და ქვეყანაც?!**

და, საერთოდ, მგონი, **დროა, კულტურის სამინისტრო გავაუქმოთ ან სულაც სახელი გადავარქვათ და „შოუბიზნესის“ ან „ჯემ-სეიშენის“, ან „ჯაზ-ფესტის“ სამინისტრო დავარქვათ!** ნუ, კაი, ჯანდაბას, თუ მაინცდამაინც, ცალკე გამოვყოთ კულტურის სამინისტრო და მინისტრად დავუნიშნოთ ვინმე ბნელი, ჩამორჩენილი, თეატრის, ფერწერის, პოეზიის, მწერლობისა და ეგეთი სისულელეების მოყვარული და თავშიც ქვა უხლიათ!

**შოუბიზნესის სამინისტროს კი უკვე ჰყავს ღირსეული მინისტრი, რომელსაც, თავის მხრივ, ჰყავს პროფესიონალთა გუნდი, რომელმაც იცის, როგორ უნდა გაასაიდუმლოოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის დინამიკა, ისიც ზუსტად იცის, როგორ უნდა დახარჯოს 29 მილიონი ტენდერებისა და რაღაც სისულელეების გარეშე!**

სხვათა შორის, „ნაცების“ პერიოდში სწორედ ის ადამიანები გაჰკიოდნენ, — რას ჩამოჰყავს მიშა სააკაშვილს ეს უცხოელი მომღერლები, გაჭირვებულ ხალხს მიხედოსო, რომლებიც დღეს „ჩექ ინ ჯორჯიას“ მთავარ მხარდამჭერებად გვევლინებიან და უკვე კურტუმოებსაც ამზადებენ მომავალ კონცერტებზე ასათამაშებლად...

**არც ის აფიქრებს ვინმეს, გაჭირვებული ხალხის მიხედვის ნაცვლად, ეს უცხოელი „ა-კლასის ვარსკვლავები“, სააკაშვილის დროსაც რომ სწორედ მიხეილ გიორგაძეს ჩამოყავდა, ახლაც მას ჩამოყავს, თანაც ახლა უფრო მაღალი სტატუსით — კულუტურის მინისტრის.**

ეგრეა! ვაზელინიანი ადამიანები მხოლოდ მაშინ კნავიან, როდესაც მათ უკანალში თავის შეყოფის საშულებას არ აძლევენ და თავის ვაზელინით გაპოხვა ამაოდ დაურჩებათ ხოლმე. ხოლო, თუკი გრძნობენ, რომ სხვა, მაგრამ არანაკლებ მომგებიან უკანალში ნარნარად ასრიალებენ ვაზელინიან თავებს, მაშინ, უკანალის პატრონთან ერთად, თვითონაც სიამოვნებით იტრუნებიან ხოლმე!

ქართული კულტრულაილა კი, როგორც ჩანს, უკვე თვითონ ფულია და, როცა უნდა, მაშინ ამოიღებს და, როცა უნდა, დახარჯავს კიდეც...

შალვა რამიშვილი ადრეც ყოფილა შემჩნეული შევიწროებაშიც და გაფართოებაშიც. მიიჩნევენ, რომ იგი მდედრობითი სქესის თანამშრომლების სამსახურში მიღებისას იყენებს თავის საავტორო საიდუმლო გამოგონებას — „შ. რამიშვილის სახელობის შევიწროება-გაფართოების დანადგარს“ და ქალ-თანამშრომლებს სამსახურისკენ მიმავალი გზაც მხოლოდ ამ დანადგარში გატარების შემდეგ გაეხსნებათ ხოლმე.

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაფართოება-შევიწროების საიდუმლოებები, ანუ რამიშვილის ექსკლუზიური დანადგარი

**გასულ კვირას მსოფლიო შეძრა მსახიობ თათია სამხარაძის უმანკო მანდილის შეურაცხყოფის ამბავმა. ყველამ იხილა კდემამოსილი მანდილოსნის — ბაია პატარაიასა და სხვათა გვერდით როგორ ღირსეულად განაცხადა „ტასო ბარნოვად“ ცნობილმა, ჭეშმარიტი ქართველი ბანოვანის იმიჯის მქონე თათია სამხარაძემ, — შალვა რამიშვილი სამსახურში სექსუალურად მავიწროებდაო.**




**გიორგი მარგველაშვილის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასაც მოეფინა ნათელი. აკი, ბოროტი ხმები ამბობდნენ, მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა და მხარდაჭერამ გაამარჯვებინაო? ნურას უკაცრავად! სინამდვილეში, აგერ, თურმე მის საარჩევნო შტაბში ორი ამხელა ბუმბერაზი ფიგურა — შალვა რამიშვილი და თათია სამხარაძე ყოფილან და მოიგებდა არჩევნებს, აბა, რა! ბიძინა არა ისა!**

რა თქმა უნდა, ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი მსწრაფლ დაინტერესდა დეტალებით და, პირველ რიგში, იმის გარკვევა დაიწყო, რა შეიძლება ეგულისხმა ტასო-თათიას „სექსუალურ შევიწროებაში“.

დიდი შრომა-გამოძიების შემდეგ ჩვენმა არც ისე სპეციალურმა კორესპონდენტმა დაადგინა შემდეგი: **თურმე სამსახურში სექსუალური შევიწროება ყოფილა სამსახურში სექსუალური გაფართოების საპირისპირო მოვლენა და ამ მეთოდს სექსუალურად „აზაბორჩენი“ უფროსები, ძირითადად, მანამდე გაფართოებული თანამშრომელი ქალების შესავიწროებლად იყენებენ.**

ამბობენ იმასაც, რომ **შალვა რამიშვილი ადრეც ყოფილა შემჩნეული შევიწროებაშიც და გაფართოებაშიც. მიიჩნევენ, რომ იგი მდედრობითი სქესის თანამშრომლების სამსახურში მიღებისას იყენებს თავის საავტორო საიდუმლო გამოგონებას — „შ. რამიშვილის სახელობის შევიწროება-გაფართოების დანადგარს“ და ქალ-თანამშრომლებს სამსახურისკენ მიმავალი გზაც მხოლოდ ამ დანადგარში გატარების შემდეგ გაეხსნებათ ხოლმე.**

ანუ, შეიძლება ითქვას, ყველაფერი დადგენილია, ერთის გარდა. მოგეხსენებათ, თათია სამხარაძემ განაცხადა, — შალვა რამიშვილმა თავისი საქციელით კარიერა დამინგრიაო. აი, სწორედ ეს იქცა როგორც ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტის, ასევე, დანარჩენი ექსპერტების თავის ტკივილად.

კერძოდ, ნეტა, რომელ „კარიერას“ გულისხმობს თათია სამხარაძე?! — **ერთადერთი, რაც მას შეეძლო, „ტასო ბარნოვად“ გარდასახვა და სულელური ტლიკინი იყო, თუმცა, პრინციპში, არც ამას სჭირდებოდა დიდი გარდასახვა. აკი, ერთ-ერთ თოქშოუში, რომელშიც იგი საკუთარ თავს წარმოადგენდა და აზრებს აფრქვევდა, ყველამ ვნახეთ, რომ გარდაუსახავი თათია სამხარაძე დიდად არაფრით განსხვავდებოდა გარდასახული ტასო ბარნოვასგან“...**

ამიტომ ახლა ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი ცდილობს, დაადგინოს, კერძოდ, რომელ კარიერაში შეუშალა ხელი შალვა რამიშვილმა თათია სამხარაძეს — შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელობას ეშურებოდა იგი თუ კულტურის სამინისტროს დეპარტამენტის თავმჯდომარეობას? ისე, სიმართლე რომ ითქვას, დღევანდელ ქართულ რეალობაში არც ერთია გამორიცხული და არც მეორე.

მეტიც, ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი აპირებს, თათია სამხარაძე-ტასო ბარნოვას შესაძლო დანიშვნის თაობაზე ინფორმაცია პრემიერმინისტრის ან პრეზიდენტის აპარატებშიც მოიძიოს, რადგან მსახიობმა ამას წინათ პირდაპირ განაცხადა, — თავის დროზე გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბში ვმუშაობდიო.

სხვათა შორის, **ამით გიორგი მარგველაშვილის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასაც მოეფინა ნათელი. აკი, ბოროტი ხმები ამბობდნენ, მარგველაშვილს ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტმა და მხარდაჭერამ გაამარჯვებინაო? ნურას უკაცრავად! სინამდვილეში, აგერ, თურმე მის საარჩევნო შტაბში ორი ამხელა ბუმბერაზი ფიგურა — შალვა რამიშვილი და თათია სამხარაძე ყოფილან და მოიგებდა არჩევნებს, აბა, რა! ბიძინა არა ისა!**

დასასრულ კი, გეტყვით, რომ ამჟამად ჩვენი არც ისე სპეციალური კორესპონდენტი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სავარაუდო საპარლამენტო სიების გადამოწმებით არის დაკავებული, — ვინ იცის, ეგებ სწორედ იქ წავაწყდეთ თათია სამხარაძე-ტასო ბარნოვას ბრწყინვალე კარიერის დამადასტურებელ კვალს.

**მასე აბარავა**

# ერთნაირსქესიანთა ქორწინება შეზღუდვებით დაკანონდება



**ერთნაირსქესიანთა ქორწინება, შესაძლოა, მხოლოდ გარკვეული პირებისთვის დაკანონდეს და ამით სამუდამოდ დაესვას წერტილი სპეკულაციებს ამ თემაზე. ამის შესახებ ჩვენმა ანონიმმა წყარომ განაცხადა, რომელიც კანონპროექტის ინიციატორის გვერდით შემთხვევით აღმოჩნდა.**

როგორც ცნობილია, თავისივე სქესის წარმომადგენელზე დაქორწინების უფლება მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, მათ ნათესავებს, ასევე, „ტაბულას“ თანამშრომლებს, რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთ წარმომადგენელსა და მათ გარშემო მყოფ პირებს ექნებათ. გავრცელებული ინფორმაციით, კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის ლიბერალ-ინტიმური კომიტეტის თავმჯდომარე ანანია მარჯვენაძე.

სპეციალურად მათთვის გათვალისწინებული იქნება ქორწინების საგზური კოჯრის აგარაკებზე, დამარბილებელი და ჰიგიენური საშუალებები, გაფილტრული წყალი, საოჯახო ქიმია, საფენები მომავალი ბავშვისთვის და ერთი ტომარა ფქვილი. თუ ქორწინება ორგიულ ხასიათს ატარებს, სახელმწიფო გაცილებით მეტ დახმარებას გაიღებს. კანონპროექტში გაწერილია ადგილმდებარეობაც, სადაც სპეციალურად აშენდება მინი ქალაქი-სახელმწიფო, ექნებათ საკუთარი ვალუტა და ეყოლებათ მეთაური. აღნიშნულ ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ ნაციონალებისთვის, რესპუბლიკელთა გარკვეული ნაწილისა და „ტაბულას“ თანამშრომლებისთვის იქნება შესაძლებელი.

ქალაქი-სახელმწიფოს ასაშენებლად შეირჩა დიდი ლილოს ტერიტორია, სადაც მოსახლეობის მხოლოდ 0.2 პროცენტი ცხოვრობს. მათ გაასახლებენ და ქალაქის ცენტრალურ უბანში გადაიყვანენ. კანონპროექტის ინიციატორთა აზრით, ამ მიდგომით შესაძლებელი იქნება, ერთი მხრივ, აგრესიული დამოკიდებულების შემცირება და, მეორე მხრივ, მოსახლეობის იმ ნაწილის დაინტერესება მატერიალური ფასეულობებით, რომელიც ფიქრობს, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაუშვებელია.

პროექტი, მიუხედავად მისი ლიბერალურობისა, გარკვეულ შეზღუდვებს მაინც მოიცავს. კერძოდ: **ერთნაირსქესიანთა ქორწილში აკრძალული იქნება ღვინის დალევა, თამადის არჩევა, დოლ-გარმონი, შალახო, ქართული ცეკვების 97 პროცენტი და ქუთაისური ჰანგების გაჟღერება. ასევე იკრძალება ქორწილის აღნიშვნა სიგნალებითა და ხმაურით. როგორც ინიციატორები ამბობენ, ამ რეგულაციებით არც საზოგადოების გაღიზიანება მოხდება და ის ერთი მუჭა ხალხი, რომელთათვისაც დაკანონდება ქორწინება, თავს გაცილებით კომფორტულად იგრძნობს.**

ამჟამად მიმდინარეობს ქალაქი-სახელმწიფოს ლიდერის კანდიდატების შერჩევა, კულუარული ინფორმაციით, განიხილება რამდენიმე „ცნობადი სახე“, თუმცა ჯერჯერობით მათი ვინაობა არ კონკრეტდება.

ამბობენ, რომ კანონპროექტის შესახებ შემთხვევით შეიტყვეს ტრადიციულ ღირებულებებზე აღზრდილმა ლომგულმა მამაკაცებმა და მისი ამოქმედების შემთხვევაში ქალაქი-სახელმწიფოს გადაბუგვით იმუქრებიან. ამ ფაქტის გამო **შეშფოთებას გამოთქვამს მესამე სექტორი. ორგანიზაცია „გამჭვირვალე ურთიერთობების“ ლიდერის — კაცია ქალიას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ერთნაირსქესიანებს რაიმე ტიპის პრობლემა შეექმნებათ,** „შარდენ ბარში“ შიშველ პერფორმანსს გამართავენ და მსოფლიოს თავიანთ პროტესტს ამ ფორმით დაანახვებენ.

ამის მოსმენის შემდეგ მალალჩინოსნებს უთქვამთ: ოღონდ ეგენი შიშვლები არ დაგვანახვოთ და თავში ქვა უხლიათო. მოკლედ, წყარო ამბობს, რომ კანონპროექტი, ფაქტობრივად, მიღებულია და მას რესპუბლიკელთა უმრავლესობის მხარდაჭერა გარანტირებული აქვს.

**ესრა სქესია**

ნოვაცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენი მოსწავლის ერთ-ერთი პროექტით დაინტერესდა ნავთობისა და გაზის კორპორაცია და ეს პროექტი რეალურად განხორციელდება. არაფორმალური განათლება ყოველთვის დგას ფორმალური განათლების ხარისხის გაუმჯობესების სადარაჯოზე. სამწუხაროა, რომ „იუჯი-ლიმესის" აკადემია ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში და ვიმედოვნებ, მალე სხვებიც გაჩნდებიან, მაგრამ ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოს და განსაკუთრებით — მედიის მხრიდან".

# «ვაპირებთ რევოლუციას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში»

## აკადემია «იუჯი-ლიმესი» მომავალს ქმნის, ანუ თვალსაჩინოებაზე დაფუძნებული განათლება

**კომპანია „ლიმესი" 2013 წელს დაარსდა. მისი უმთავრეს მიზანია ინოვაციური პროდუქტის (სერვისის) შექმნა და განვითარება. ელექტრონიკის, ელექტრონული ინჟინერიის ახალი გამოგონებებისა და ტექნოლოგიების დანერგვა მომავლისკენ გადადგმული ნაბიჯია. სწორედ ამ თემაზე გვესაუბრება რობოტოტექნიკისა და ელექტრონიკის სკოლა „იუჯი-ლიმესის" დირექტორი, ბატონი ლევან გაბისონია.**

— რობოტოტექნიკისა და ელექტრონიკის პირველი აკადემია 2014 წლის თებერვალში დავაარსეთ. კომპანია „ლიმესმა" შექმნა ყველა ის პროგრამა, რომელიც დღეს „იუჯი-ლიმესის" აკადემიაში ხორციელდება. „ლიმესი" 2014 წლის 9 სექტემბრიდან დარეგისტრირდა საქართველოში და დაიწყო სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა. შევქმენით პირველი პროგრამა „შეიმეცნე ელექტრონიკა", რომელიც გათვლილი იყო VII-XII კლასების მოსწავლეებისთვის. **ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეებს მისცემდა მოტივაციას, ესწავლათ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლაში, დაეწყოთ ინოვაციურად აზროვნება და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება. ამას სჭირდება შესაბამისი უნარები და ცოდნა და სწორედ ამ ცოდნისა და უნარების მიმცემია ჩვენი სასწავლო პროგრამები.** თავდაპირველად, გვყავდა 32 მოსწავლე. იმხანად, როდესაც ეს ნაბიჯი გადავდგით, საქართველოში, შეიძლება ითქვას, ვაკუუმი იყო, ისიც კი არ იცოდნენ, რომ მსგავსი სტუდიები ამერიკასა და ევროპაში წამყვან როლს ასრულებენ. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ სასწავლო პროგრამებს მოსწავლეებისა და ჩვენი საგანმანათლებლო სივრცისთვის — მოტივაციას გვაძლევდა მოსწავლეების ის მცირე ჯგუფი, რომელიც ჩვენთან ერთად იყო. ვუყურებდით მათი განვითარების სისწრაფეს, ხარისხს და ვხედავდით, რომ ისინი განსხვავდებოდნენ სკოლის მოსწავლეებისგან, რადგან მათ ვასწავლიდით ისე, როგორც სურდათ. **პირველი სასწავლო პროგრამა „შეიმეცნე ელექტრონიკა" დაფუძვნებულია ღია პლატფორმის პრინციპზე. იგი ჩვენი შემოღებულია და, შეიძლება ითქვას, მისი ანალოგი არ არსებობს.** ჩვენ, ასე ვთქვათ, სადენებით, ბატარეებით მიგვყავს ბავშვი, რათა თვითონ შექმნას ღილაკებიანი მოწყობილობა. აი, ამას დავარქვი ღია პლატფორმის პრინციპი და ამაზე დავაფუძნეთ ჩვენი სასწავლო პროგრამები. ოფიციალურად დადასტურებულია, რომ პროგრამა, რომელიც შევიმუშავეთ, უნიკალურია.

**— რატომ გაერთიანდით საქართველოს უნივერსიტეტთან?**

— ძალიან გვინდოდა, ეს პროცესი დაგვეკავშირებინა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელთან, მაგრამ, ჩვენი მანკიერი კანონმდებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ვერ დავიჭერდით საქმეს. რადგან კერძო ორგანიზაციას წარმოვადგენთ და სახელმწიფო უნივერსიტეტებს არ აქვთ უფლება, მსგავი პროგრამა დანერგონ, ამიტომ ვეძებდით რომელიმე კერძო უნივერსიტეტს, რომელიც დაინტერესდებოდა. სწორედ **ამ პერიოდში ტელეკომპანია „ჯიდი-ესმა'" ჩვენზე მოამზადა რეპორტაჟი, რომელიც ნახა საქართველიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და დაგვიკავშირდა. ჩვენც ძიებაში ვიყავით და, შეიძლება ითქვას, გადაწყვეტილება — საქართველოს უნივერსიტეტთან ერთად განგვეხორციელებინა ჩვენი პროგრამები, სწორი აღმოჩნდა.** ამას სჭირდებოდა აკადემიური სივრცე, რომელშიც იდეების რეალიზებას შევძლებდით. ჩვენი მოლოდინი 100%-ით გამართლდა. საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური აბრევიატურა არის „იუჯი" ხოლო ჩვენი კომპანიის სახელწოდებაა „ლიმესი". სწორედ აქედან წარმოიშვა „იუჯი-ლიმესი" და ახლა ამ სახელწოდებით ვახორციელებთ სასწავლო პროგრამებს. ეს მოხდა 2015 წელს. იმავე წელს დავამატეთ პროგრამა V-VI კლასელებისთვის და ამანაც გაამართლა.

**— რამდენი ბავშვი სწავლობს ამ პროგრამით?**

— ამ პროგრამაში ჩართულია 400-ზე მეტი მოსწავლე. სასწავლო პროცესი აწყობილია ისე, რომ V-XII კლასების მოსწავლეები დადიან კვირაში ერთ დღეს, VII-XII კლასის მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესი გრძელდება 2 საათნახევარი, V-VI კლასელებისთვის — საათ-ნახევრი-ორი საათი. კვირაში ერთ დღეს მეცადინეობა არის ის ნორმა, რომელიც V-VI კლასელს სჭირდება. იგი საკმარისია სწავლებისთვის. სასწავლო პროგრამა პრაქტიკაზეა დაფუძნებული, თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია ყველა საჭირო კომპონენტით, რომლებიც გათვალისწინებულია სწავლის გადასახადში და ამ ეტაპზე შეადგენს 80 ლარს. ჩვენი მკაცრი პოლიტიკაა, რომ ბევრს შეეძლოს ჩვენთან სწავლა. VII-XII კლასელებისთვის ორსაათ-ნახევარიანი სწავლება გულისხმობს იმას, რომ, ბავშვი როდესაც მოდის გაკვეთილზე და იწყებს რაღაცის კეთებას, ისე უნდა დაასრულოს, რომ თავისი პროექტი ლოგიკურ დონემდე მიიყვანოს. ერთი დღე გაცილებით კომფორტულია მათთვის — შაბათს ან კვირას დადიან და მეცადინეობენ.

**— რა პრინციპით ტარდება გაკვეთილები?**

— გაკვეთილები ტარდება შემდეგი პრინციპით: ჯგუფში არის 16 მოსწავლე და 2 ან 3 მასწავლებელი — ერთი წამყვანი და ორი დამხმარე. როდესაც უკვე იწყებენ აწყობას, მაგალითად, ელექტროსქემის ან რომელიმე მოწყობილობის, ორი დამატებითი მასწავლებელი ეხმარება, რათა უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი. ჩვენთან ყველა მასწავლებელი არის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის ან მაგისტრატურის სტუდენტი. **სწავლების მაღალ ხარისხს საქმისადმი გულმოდგინე მიდგომით, კარგი სახელმძღვანელოებით, გარემოთი და კარგი მასწავლებლებით მივაღწიეთ.** მასწავლებლები კონცენტრირებულნი არიან გაკვეთილების დაგეგმვაზე, მის ხარისხზე და სწორედ ამიტომაა, რომ ყველაფერი ხარისხიანად კეთდება.

**— რა მიღწევები გაქვთ?**

— მილენიუმის ნახევარფინალში ქვეყნის მასშტაბით გავიდა 28 გუნდი. 9 პროექტში ჩვენი მოსწავლეები გადანაწილდნენ და ცხრავე პროექტი გავიდა ნახევარფინალში. ფინალში კი გავიდა სულ 10 პროექტი, მათგან სამი ჩვენი იყო. რამდენიმე კვირის წინათ ერთ-ერთმა პროექტმა ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა საერთაშორისო კონკურსზე აილო პირველი ადგილი. ახლა მოდის კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი"', რომელშიც მივიღებთ მონაწილეობას. **ჩვენი მოსწავლის ერთ-ერთი პროექტით დაინტერესდა ნავთობისა და გაზის კორპორაცია და ეს პროექტი რეალურად განხორცილდება. არაფორმალური განათლება ყოველთვის დგას ფორმალური განათლების ხარისხის გაუმჯობესების სადარაჯოზე. სამწუხაროა, რომ „იუჯი-ლიმესის" აკადემია ჯერჯეროზით ერთადერთია საქართველოში და ვიმედოვნებ, მალე სხვებიც გაჩნდება. ამისათვის ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოს და განსაკუთრებით — მედიის მხრიდან.** ხაზი მინდა გავუსვა, რომ მედიამაც უნდა ეძებოს მსგავსი ახალგაზრდები, უნდა დაწეროს, რა მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოებაზე დაფუძნებულ სწავლებას.

**— რას გეგმავთ მომავალში?**

— ვაპირებთ რევოლუციას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში, „ლიმესის" და, რა თქმა უნდა, საქართველოს უნივერსიტეტის სახელით. სექტემბრისთვის ველოდებით დაახლოებით 800-მდე მოსწავლეს, შესაბამისად, უკვე იანვარში დავიწყეთ მწვრთნელების მომზადების პროგრამა. ასევე, გვსურს, რამდენიმე სკოლაში დავნერგოთ ჩვენი პროგრამა. სურვილი გვაქვს, რეგიონებშიც გავიდეთ, რაც მთავარია, გავიაროთ ავტორიზაცია და დავიწყოთ პროგრამების ექსპორტი. სექტემბრიდან გავხსნით საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიურ საშაბათო-საკვირაო სკოლას VII-X კლასის მოსწავლეებისთვის, სადაც ისინი შეისწავლიან ფიზიკა-მათემატიკას. სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან მაღალი დონის მასწავლებლები და ვაპირებთ სხვადასხვა ლაბორატორიის გამოყენებას. შაბათს, ცხრა საათზე, მოვა ბავშვი და სამ საათამდე იმეცადინებს. ეს იქნება საშაბათო-საკვირაო ტექნოლოგიური სკოლა, სადაც მიღება იქნება შეზღუდული. ამ ეტაპზე 64 მოსწავლეზე მეტს ვერ ავიყვანთ. წინასწარი მიღება კი მაისიდან დაიწყება. ამას გარდა, გვინდა გავაკეთოთ ჩვენი მოსწავლეების მიერ დამზადებული რობოტების საჩვენებელი ოთახი, ნებისმიერს ექნება შესაძლებლობა, მოვიდეს და დაათვალიეროს მოსწავლეების ნამუშევრები.



ლევან გაბისონია



**ლაშა თელია, მოსწავლე, 15 წლის:**

— ამ სკოლაში დაარსების დღიდან ვსწავლობ. მეგობრისგან შევიტყვე ამ სკოლის შესახებ და სურვილი გამიჩნდა, სიღრმისეულად შემესწავლა ელექტრონიკა, შემდეგ მეც რომ შემძლებოდა მოწყობილობების დამზადება.

**— რა მიღწევები გაქვს?**

— მე და ჩემმა ორმა მეგობარმა შევქმენით მოწყობილობა „იუნივერსალ მეტერი". ამით დაინტერესდა ნავთობისა და გაზის კორპორაცია, რომელიც გეგმავს მის დამონტაჟებას მილსადენზე, მისი უსაფრთხოების უზრულველყოფის მიზნით, ანუ ავარიის შემთხვევაში მოწყობილობა სიგნალს გამოსცემს. აღნიშნული მოწყობილობა, აგრეთვე, შეიძლება დამონტაჟდეს ხიდებსა და მეწყერსაშიშ ზონებში.

**«ჩვენი მიზანი იყო, შეგვექმნა ისეთი გარემო, რომელიც მოსწავლეებს მისცემდა მოტივაციას, ესწავლათ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სკოლაში. დაეწყოთ ინოვაციურად აზროვნება და თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება. ამას სჭირდება უნარები და ცოდნა და სწორედ ამ ცოდნისა და უნარების მიმცემია ჩვენი სასწავლო პროგრამები»**

ესაუბრა
**თათია ჯაფარიძე**

„მერკელმა განაცხადა, რომ გერმანიაში სარეკორდო რაოდენობით ლტოლვილების შემოსვლა ქვეყანას შეცვლისო. მას იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი კარგისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. რადგან მიგრანტებმა ქაოსი შემოიტანეს ქვეყანაში — ქურდობენ, ხშირად აუპატიურებენ გერმანელ ქალებს და ბევრ სხვა დანაშაულსაც სჩადიან“.

შორია შუახისტანამდე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ მიდიან ახალგაზრდები საქართველოდან

**ქართველი ახალგაზრდები საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობით უკმაყოფილონი არიან. ისინი ხშირად ვერ ახერხებენ სწავლის საფასურის გადახდას. ქვეყანაში არ არის სტუდენტური დასაქმების პროგრამა, რომელიც ქართველ სტუდენტებს დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობას მისცემდა... ქართველი ახალგაზრდების პრობლემებსა და გერმანიაში სწავლისა და ცხოვრების პირობებზე გერმანიის ქალაქ დუსელდორფის უნივერსიტეტის 25 წლის სტუდენტი ნინა ლაგოშვილი გვესაუბრება.**

## «მიგრანტებმა ქაოსი შემოიტანეს გერმანიაში — ქურდობენ, ხშირად აუპატიურებენ გერმანელ ქალებს და ბევრ სხვა დანაშაულს ჩადიან»

**— ნინა, რა მიზნით წახვედით უცხოეთში?**

— ევროპული განათლების მიღება მსურდა. მინდოდა, გამეცნო ევროპული კულტურა. ვერ გეტყვით, ძალიან განვიცადე წასვლა-მეთქი, პირიქით — გახარებული ვიყავი, რომ ვტოვებდი უმოქმედო ქვეყანას და მივდიოდი იქ, სადაც ნამდვილად იციან დროის ფასი. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი. საქართველო არ არის ქვეყანა, რომელშიც შევძლებდი ეკონომიკურად გაძლიერებას. **ორი წელია, აქ ვარ და, რაც დრო გადის, ვხვდები, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე.** ვადარებ კიდეც ადრინდელ და დღევანდელ ნინას. დღეს გაცილებით განვითარებული ადამიანი ვარ და პირობებიც მაქვს იმისთვის, რომ ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინო. **როდესაც გერმანიაში ჩამოვედი, გამიკვირდა, რომ თითქმის ყველა ახალგაზრდა წიგნს კითხულობდა.** მიუხედავად იმისა, რომ კითხვა ძალიან მიყვარს და საქართველოშიც ბევრს ვკითხულობდი, აქ უფრო მეტად გავეცანი უცხოურ ლიტერატურას. სულ რომ არ გიყვარდეს წიგნი, ისეთი გარემოა, დაინტერესდები. **ქართველი ახალგაზრდებისგან განსხვავებით, გერმანელებს ვერ წარმოუდგენიათ წიგნის გარეშე განვითარება.** ცნობილმა იტალიელმა დრამატურგმა **კარლო გოლდონმა** თქვა: „ადამიანი კარგი წიგნით ხელში არასოდეს იქნება მარტოო“, და მართლაც ასეა.

**— უამრავი ქართველი ახალგაზრდა მიდის უცხოეთში სასწავლებლად. მათგან ბევრი უჩივის იქაურ საცხოვრებელ და სამუშაო პირობებს. ზოგს ისეთ რთულ პირობებში უწევს ცხოვრება, რომ იძულებულია, საქართველოში დაბრუნდეს. თქვენ როგორ პირობებში გიწევთ ცხოვრება?**

— რესტორანში ვმუშაობ მიმტანად და იქ საკმაოდ ნორმალური პირობებია მომუშავე სტუდენტისთვის. გერმანელებს საკმაოდ კარგი დამოკიდებულება აქვთ ჩემ მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ, როდესაც ვამბობ საქართველოდან ვარ-მეთქი, წარმოდგენა არ აქვთ, რომელ ქვეყანას ვგულისხმობ. როგორც უცხოელი, კარგად მიმიღო გერმანელმა საზოგადოებამ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ინტეგრაცია არ გამჭირვებია. **მას, ვისაც უჭირს დამოუკიდებლად ცხოვრება და სამუშაო პირობებსაც ემდურის, ვეტყვი, რომ დრო არ დაკარგოს და ეძებოს უკეთესი პირობები.** თავდაპირველად მეც მიჭირდა უცხო ქვეყანაში ფეხის მოკიდება, მაგრამ შევძელი, რადგან ვიცოდი, რისთვისაც ჩამოვედი — უკეთესი ცხოვრებისთვის. **გერმანია საათივით აწყობილი ქვეყანაა. გერმანია — ეს, პირველ რიგში, არის ხარისხიანი**



> **«მასპინძელ ოჯახში, რომელთანაც ჩავედი, მძიმე სიტუაცია დამხვდა. უსამართლოდ მექცეოდნენ — იმაზე დიდხანს მაიძულებდნენ მემუშავა, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული — რამდენიმე საათს დამატებით მამუშავებდნენ. სამწუხაროდ, ხშირია ასეთი შემთხვევები და მსგავსი არასასიამოვნო სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით კარგი იქნებოდა, შეიქმნას მაკონტროლებელი ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება უცხოეთში ჩასულ სტუდენტებს»**

**განათლება. სასწავლებლებში ძველი საუნივერსიტეტო ტრადიციები ჰარმონიულად ერწყმის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს.**

**— თქვით, თავიდაპირველად მეც გამიჭირდა ფეხის მოკიდებაო, რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდით?**

— მე ე.წ. ოპერის პროგრამით წავედი გერმანიაში. ერთ ოჯახში ვცხოვრობდი და შემდეგ გავხდი სტუდენტი. **მასპინძელ ოჯახში, რომელთანაც ჩავედი, მძიმე სიტუაცია დამხვდა. უსამართლოდ მექცეოდნენ — იმაზე დიდხანს მაიძულებდნენ მემუშავა, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, რამდენიმე საათს დამატებით მამუშავებდნენ. სამწუხაროდ, ხშირია ასეთი შემთხვევები და ასეთი არასასიამოვნო სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით კარგი იქნებოდა, შეიქმნას მაკონტროლებელი ორგანიზაცია, რომელიც დაეხმარება უცხოეთში ჩასულ სტუდენტებს.** მასპინძელი ოჯახებიც იძულებულები იქნებიან, უსამართლოდ აღარ მოიქცნენ და კონტრაქტის პირობებს დასჯერდნენ. ასე იმიტომ არ მომექცნენ, რომ პატარა ქვეყნიდან ვიყავი, ანალოგიურად ეპყრობიან იტალიელებსაც და სხვა დიდი ქვეყნიდან ჩასულ სტუდენტებსაც. **დღეს გერმანიაში დაძაბული სიტუაციაა. ლტოლვილები შემოვიდნენ ახლო აღმოსავლეთიდან, მათ გერმანელები ხვდებოდნენ საჩუქრებით, და რას აღარ უკეთებდნენ, მაგრამ აღარ შეწყდა მათი ნაკადი.** ამის შემდეგ გერმანელებმა დაიწყეს საპროტესტო აქციები ლტოლვილებისა და მიგრაციული პოლიტიკის ავტორის, გერმანიის კანცლერის — **ანგელა მერკელის წინააღმდეგ. მერკელმა განაცხადა, რომ გერმანიაში სარეკორდო რაოდენობის ლტოლვილების შემოსვლა ქვეყანას შეცვლისო, მას იმედი ჰქონდა, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან მიგრანტებმა ქაოსი შემოიტანეს გერმანიაში — ქურდობენ, ხშირად აუპატიურებენ გერმანელ ქალებს და ბევრ სხვა დანაშაულს ჩადიან.** ფაქტია, რომ ძალიან უკულტურო, გაუნათლებელი ხალხია. ევროპაში უფრო მარტივია კრიმინალის ჩადენა, რადგან ხელმისაწვდომია ყველაფერი და ისინიც დაძვრებიან სახლებში, მაღაზიებში, იპარავენ და ა.შ.

**— როგორი პირობები უნდა შექმნას საქართველოს ხელისფულებამ იმისთვის, რომ დაბრუნდე სამშობლოში?**

— საქართველოში არ მექნება სამსახური, რომლიდანაც ისეთ ანაზღაურებას მივიღებ, რომ დამოუკიდებლად ვიცხოვრო. მინდა, სწავლის საფასური თვითონ გადავიხადო, მაგრამ საქართველოში ამას ვერ მოვახერხებ. მთელი ცხოვრება ვერ ვიცხოვრებ მშობლების კისერზე, მათ სახლში. დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, ცალკე მსურს ყოფნა, მინდა ჩემით ავიწყო ცხოვრება და ამიტომ იძულებული ვარ, აქ ვიყო — გერმანიაში. გარდა იმისა, რომ ვმუშაობ, ვსწავლობ და ვცდილობ, ავიმაღლო პროფესიული დონე. საქართველოში კი რომელ დამოუკიდებელ ცხოვრებაზეა საუბარი, როდესაც **ქვეყანას სტუდენტების დასაქმების პროგრამაც კი არ აქვს. რა ქნას ახალგაზრდამ, რომელსაც სურს სწავლა, მაგრამ მის მშობლებს არ აქვთ საშუალება, სასურველი განათლება მიაღებინონ. ასეთ შემთხვევაში რჩება ერთი გზა — იმუშაო და თვითონ გადაიხადო სწავლის საფასური, მაგრამ სამსახურიც რომ არ არის?** სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს პროგრამა, რომელიც სტუდენტების დასაქმებას შეუწყობს ხელს. განათლებული ახალგაზრდა ძლიერი სახელმწიფოს გარანტია, სწორედ განათლებული ახალგაზრდობა ქმნის ქვეყნის მომავალს და ეს ხომ უნდა იცოდეს ხელისუფლებამ? აუცილებლად უნდა გამოყონ ფინანსები სტუდენტური დასაქმების პროგრამის განსახორციელებლად. **კონსტანტინე გამსახურდიამ** თქვა, ახალგაზრდობას აფუჭებს ცუდი აღზრდა, კარგ სურათს უგემური მიშტერება, კარგ ჩაის — ცუდი ჭურჭელი და კარგ წიგნს — ცუდი მკითხველიო.

**— როგორია შორიდან დანახული საქართველო და როგორი გსურს, იყოს?**

— **ევროპიდან საქართველო ძალიან საცოდავი ჩანს და გული მტკივა ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო.** ვისურვებდი, რომ საქართველო მენახოს განვითარებული და გაბრწყინებული, ამისთვის კი ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს. სხვისი ცხოვრებით ცხოვრებასა და სხვის განსჯას დაანებონ თავი. მესმის, რთულია, ცხოვრობდე ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებაც უმოქმედოა, მაგრამ, თუ მოინდომებ, ვერავინ შეგიშლის ხელს განვითარებაში. თუ სამშობლოში ვერ შეძლებ, სხვაგან შეეცდები შენი გზის პოვნას. ახალგაზრდობამ უნდა გააცნობიეროს, რომ გაუნათლებლობა საშიში სენია და ყველა უბედურება მას მოაქვს.

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

## ბრიუსელის ტერაქტების ერთ-ერთი მონაწილე ევროპარლამენტში მუშაობდა

**ერთ-ერთი თვითმკვლელი ტერორისტი, რომელმაც 22 მარტს ბრიუსელში ტერაქტი მოაწყო, მცირე პერიოდის განმავლობაში ევროპარლამენტში დამლაგებლად მუშაობდა. ამის თაობაზე ევროპარლამენტის წარმომადგენლმა ჟაუმე დაჩ გუილომ განაცხადა.** ევროპარლამენტის წარმომადგენელს ტერორისტის ვინაობა არ დაუკონკრეტებია. ევროკავშირის სტრუქტურების წარმომადგენელი ვარაუდობს, რომ შესაძლოა აღიშნული პიროვნება ნაჯიმ ლააშრაუი იყოს, რომელმაც ბრიუსელის აეროპორტში თავი აფეთქა.

შეგახსენებთ, რომ 22 მარტს ბრიუსელის აეროპორტსა და მეტროს სადგურზე მოწყობილ მასშტაბურ ტერაქტებში 32 ადამიანი დაიღუპა.



## ეს უნდა იცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პაბლო ლუსიო ვასკესმა დაკითხვისას აღიარა, რომ წვეულებიდან წამოსვლის შემდეგ გზად მიმავალს „ეშმაკის ხმა“ ჩაესმა და ბიჭის მკვლელობა უბრძანა. ვასკესმა ლითონის მილი თავში ჩაარტყა ბიჭს, შემდეგ ყელი გამოსჭრა და სისხლი დალია. 12 წლის მოზარდის გვამი ზემოაღწერილი შემთხვევიდან 5 დღის შემდეგ მიყრუებულ ადგილას იპოვეს.**

**გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში —კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.**

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## შოკისმომგვრელი «ლედის დღე»

**ინგლისის ქალაქ ეინტრიში ტრადიციული ყოველწლიური ზეიმი ჩატარდა — ლედის დღე, რომელიც ნაციონალური დოლის შემდეგ იმართება ხოლმე და ათიათასობით მაყურებელი ჰყავს. ამ ღონისძიების ამსახველი ფოტოები გამოაქვეყნეს პოპულარულმა ბრიტანულმა გამოცემებმა: „დეილი მეილმა“, „მირორმა“ და „გარდიანმა“.** ამ დღეს ბრიტანელი ქალები ცდილობენ, ექსტრავაგანტური სამოსელით გაიბრწყინონ და გარშემო მყოფებზე შთაბეჭდილება დატოვონ, მაგრამ დღის ბოლოს ალკოჰოლით გაბრუებულებს ავიწყდებათ, რომ ქალბატონები არიან და პაპარაცების სამიზნეში ექცევიან.













## პოლიციელმა 12 წლის გოგონა ჭიდაობის ილეთით ბეტონის იატაკზე დაანარცხა

**ინტერნეტში გამოქვეყნდა ვიდეო, რომელშიც ასახულია, როგორ მოისროლა ჭიდაობის ილეთით 12 წლის გოგონა ამერიკელმა პოლიციელმა. ინციდენტი მოხდა ქალაქ სან ანტონიოში (ტეხასის შტატი).**

გოგონას დედის თქმით, სამართალდამცველს ეგონა, რომ მოზარდი თანაკლასელთან ჩხუბს აპირებდა, მაგრამ მას მხოლოდ თანატოლთან გასაუბრება სურდა. სამართალდამცველი კი ამტკიცებს, რომ გოგონა მასზე თავდასხმას აპირებდა, თუმცა, ეს მართლი რომც ყოფილიყო, პოლიციელი ასე არ უნდა მოქცეულიყო — მან გოგონა ხელში აიყვანა, წელში გადაღუნა და ბეტონის იატაკზე სახით დაანარცხა.

## ნორვეგიელმა პოლიტიკოსმა მოითხოვა, ქვეყნიდან არ გააძევონ ლტოლვილი, რომელმაც გააუპატიურა

**ნორვეგიელმა პოლიტიკოსმა კარსტენ ნორდალმა საჯაროდ ილაპარაკა ნორვეგიული ტელეარხის ეთერში, რამდენიმე წლის წინათ როგორ გააუპატიურა ლტოლვილმა სომალიდან.**

მამაკაცის თქმით, გაუპატიურების შემდეგ ის გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მოძალადის დნმ-ი დაადგინეს. ნახევარი წლის შემდეგ კი სამართალდამცველებმა დააპატიმრეს სომალელი მიგრანტი, რომელიც ამტკიცებს, რომ სექსუალური აქტი ორმხრივი თანხმობით მოხდა, მაგრამ სასამართლომ მას მაინც 4,5 წლით აღუკვეთა თავისუფლება.

განაჩენის გამოცხადებამდე კარსტენ ნორდალმა შეიტყო, რომ სომალელს ქვეყნიდან დეპორტაციასა და სომალიში გაგზავნას უპირებენ და ცრემლად დაიღვარა: **„თავს დამნაშავედ ვგრძნობ. მე ვარ მიზეზი იმისა, რომ მას ნორვეგია დაატოვებინონ. მას გაურკვეველი მომავალი ელის სომალიში. ის უკვე იჯდა ციხეში და აღარ არის საჭირო მისი კიდევ უფრო მეტად დასჯა, თანაც ახლა უფრო მკაცრად“**, — განუცხადა ნორვეგიელმა პოლიტიკოსმა „ენ-ერ-კას“ ჟურნალისტს და დასძინა, რომ მოძალადე არ სძულს, რადგან ის სამყაროში არსებული უსამართლობის პროდუქტია, რომელსაც ცხოვრე-



ბის საშინელმა პირობებმა და ომმა დაღი დაასვა.

## ვამპირმა მკვლელმა 12 წლის ბიჭი სიცოცხლეს გამოასალმა



**6 აპრილს ამერიკის ქალაქ ჰანტსვილში სიკვდილით დასაჯეს ტეხასელი პაბლო ლუსიო ვასკესი, რომელმაც 1998 წლის აპრილში ყელი გამოსჭრა 12 წლის დევიდ კარდენას და მის სისხლს სვამდა, ვიდრე ბიჭმა სული არ განუტევა. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში ვასკესი ალკოჰოლითა და ნარკოტიკით იყო გაბრუებული.**

როგორც ამერიკული გამოცემა „იუ-ეს-ეი თუდეი“ იუწყება, **პაბლო ლუსიო ვასკესმა** დაკითხვისას აღიარა, რომ წვეულებიდან წამოსვლის შემდეგ გზად მიმავალს „ეშმაკის ხმა“ ჩაესმა და ბიჭის მკვლელობა უბრძანა. ვასკესმა ლითონის მილი თავში ჩაარტყა ბიჭს, შემდეგ ყელი გამოსჭრა და სისხლი დალია. 12 წლის მოზარდის გვამი ზემოაღწერილი შემთხვევიდან 5 დღის შემდეგ მიყრუებულ ადგილას იპოვეს. სასამართლომ უარყო ადვოკატების მოსაზრება, რომ ვასკესი დანაშაულის ჩადენის მომენტში შეურაცხადი იყო და დამნაშავეს ორგანიზმში შხამის შეყვანით სიკვდილი მიუსაჯა.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**ახალი საარტილერიო დანადგარი „კოალიცია სვ“ ისვრის გაცილებით შორს, ზუსტად და სწრაფად, ვიდრე მისი მსგავსი დანადგარები, რომლებითაც შეიარაღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არმია. ამასთანავე, მასზე დამონტაჟებული 152 მმ-იანი ქვემეხის მართვა შეუძლია არა მხოლოდ ეკიპაჟს, არამედ სამეთაურო პუნქტსაც — დისტანციურად.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰაუბიცა «კოალიცია სვ» — საუკეთესო საარტილერიო დანადგარი მსოფლიოში



**„კოალიცია სვ“ — ეს არის უნიკალური საარტილერიო დანადგარი, რომლის დანიშნულება ტაქტიკური ბირთვული იარაღის, საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეის, ტანკებისა და სხვა დაჯავშნილი ტექნიკის, აგრეთვე, ცოცხალი ძალის განადგურებაა.**

ამ თვითმავალი ჰაუბიცის საცდელი ნიმუშები წარმოდგენილი იქნა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ მოსკოვში გამართულ სამხედრო აღლუმზე 2015 წელს.

„კოალიცია სვ“-ს ერთ-ერთი განსაკუთრებული მახასიათებელი არის ის, რომ ეკიპაჟი (3 კაცი) იზოლირებულ დაჯავშნილ კაფსულში თავსდება, რაც მის უსაფრთხოებას ზრდის, რადგან სიცოცხლისათვის სახიფათო ვითარებაში ადამიანებს შეეძლებათ სწრაფად დატოვონ სამხედრო მანქანა და სიცოცხლე შეინარჩუნონ.

ჰაუბიციდან სროლის სიშორე 70 კმ-ია, ამიტომ დამიზნება თანამგზავრული სანავიგაციო სისტემის მიერ გადაცემული კოორდინატების მიხედვით ხორციელდება, სროლა კი — მართული ყუმბარებით.

ახალი საარტილერიო დანადგარი „კოალიცია სვ“ ისვრის გაცილებით შორს, ზუსტად და სწრაფად, ვიდრე მისი მსგავსი დანადგარები, რომლებითაც შეიარაღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის არმია.

ამასთანავე, მასზე დამონტაჟებული 152 მმ-იანი ქვემეხის მართვა შეუძლია არა მხოლოდ ეკიპაჟს, არამედ სამეთაურო პუნქტსაც — დისტანციურად.

„კოალიცია“ თავისი მახასიათებლებით საუკეთესოა მსოფლიოში“ — განაცხადა ამ თვითმავალი ჰაუბიცის დამამზადებელი ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ალექსეი ნოსოვმა.

აღსანისნავია, რომ „კოალიცია სვ“ თავისი ტექნიკური მახასიათებლებით გაცილებით სჯობს ამერიკულ „მ109“-ს.

# უდიდესი ჰიდროპლანები



„ბლოჰმ უნდ ვოსი“

**მფრინავი ნავების ევოლუცია 1929 წელს აგებული „დორნიე დო იქსიდან“ დაიწყო — ეს იყო 40 მ სიგრძის გერმანული ფირმა „დორნიეს“ სამგზავრო მფრინავი ნავი, რომელიც ჰაერში 12 ძრავას აჰყავდა. წყალზე გადასაადგილებლად კი ფიუზელაჟის ქვეშ კიდევ ერთი ძრავა ჰქონდა. ამ ჰიდროპლანს 189 მგზავრის გადაყვანა შეეძლო.**

1935 წელს საფრანგეთმა დაამზადა ჰიდროპლანი **„ლატეკოერ-521“**, რომელმაც რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მეორე მფრინავმა ნავმა **„ლეიტენანტმა“** მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ოთხი რეისი შეასრულა ნიუ იორკამდე. ფრენას სულ 34 საათი დასჭირდა. ჰიდროპლანი გერმანელებმა 1944 წელს უკანდახევისას დაწვეს.

შემდეგი გიგანტი ჰიდროპლანი კი 1942 წელს ააგეს ამერიკელებმა. ეს იყო საოკეანო საპატრულო თვითმფრინავი **„მარტინ ჯი-ერ-ემ მარსი“**, რომელსაც „მფრინავი დრედნოუტი“ შეარქვეს (დრედნოუტი — „უშიშარი“ — ეს არის ლინკორის კლასის ამერიკული ხომალდი).

პირველი საბჭოთა ჰიდროპლანი **„ანტ-22“** 1934 წელს დაამზადეს. მისი დანიშნულება იყო საზღვაო ფლოტისთვის სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება და მტრის ციტადელების დაბომბვა. ამას გარდა, „ანტ-22“-ს შეეძლო დიდგაბარიტიანი ტვირთის გადატანაც — მცირე ზომის წყალქვეშა ნავებისა და სატორპედე კატერების.

ყველაზე მძიმე ჰიდროპლანად აღიარებულია გერმანული **„ბლოჰმ უნდ ვოსი“** (ზღვის დრაკონი), საფრენი აპარატი აღჭურვილი იყო 16 ტყვიამფრქვევითა და ორი 20-მილიმეტრიანი ქვემეხით.

ყველაზე დიდი გაბარიტების მქონე მფრინავი ნავი კი ამერიკელებმა დაამზადეს. **„ჰაიგეს H-4 ჰერკულესის“** ფრთების სიგრძე 90 მ-ს აღწევდა. 8-ძრავიანი და 180 ტონა მასის მქონე ჰიდროპლანს „ნაძვის ბატი“ შეარქვეს, რადგან ხისგან იყო დამზადებული. მას 170 სამხედროს გადაყვანა შეეძლო. ჰიდროპლანი დღეს მოთავსებულია მაკმინვილის (ორეგონის შტატი) საავიაციო მუზეუმში, რომელსაც ყოველ წელიწადს 300 ათასამდე ტურისტი სტუმრობს.

2016 წლის მარტში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარდლობამ თავის შეიარაღებაში მრავალფუნქციური თვითმფრინავი ამფიბიის — **„A-40 ალბატროსის“** მიღების შესახებ განაცხადა. ბერიევის სახელობის საკონსტრუქტორო ბიურომ ჯერ კიდევ სსრკ-ის დანგრევამდე დაამზადა რეაქტიული ჰიდროპლანები. ახალი „ა-40 ალბატროსის“ მრავალი მახასიათებელი საგრძნობლადაა გაუმჯობესებული და ის ამჟამად მსოფლიოში ყველაზე დიდ ჰიდროპლანად ითვლება.



„მარტინ ჯი-ერ-ემ მარსი“



„A-40 ალბატროსი“



# რუსეთის არმია ბრძოლისუნარიანობით 10-ჯერ აღემატება ნატოს ჯარებს



**თავდაცვის კვლევის გაერთიანებული სამეფო ინსტიტუტის ექსპერტებმა დაადგინეს, რომ რუსეთის არმია ბრძოლისუნარიანობის მიხედვით 10-ჯერ აღემატება ნატოს ჯარებს. ექსპერტთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, რუსეთის ფედერაციას შეუძლია, ოთხ დღეში საბრძოლველად გაამზადოს 47 ათასი „სამხედრო ელემენტი“ (სამხედრო პირი და ტექნიკა), ნატოს კი ანალოგიურ პერიოდში მხოლოდ 5 ათასი ჯარისკაცის გამოყვანა შეუძლია, ანუ თითქმის 10-ჯერ ნაკლების.**

ხოლო 2-3 კვირის განმავლობაში რუსეთის შეიარაღებული ძალების 60 ათასი სამხედრო ნაწილი და ქვედანაყოფი საბრძოლველად მზად იქნება. რუსეთის საომარი ტექნიკის ნაწილი ერთ დონეზეა დასავლეთის ტექნიკასთან, მეორე ნაწილი კი მას სხვადასხვა მაჩვენებლით აღემატება.

რუსეთს შეუძლია, დისტანციურად დაბომბოს ლონდონის ტერიტორია ვესტმინსტების სასახლიდან ტრაფალგარის მოედნამდე ან ტემზის ნაპირიდან სენ-ჯეიმს პარკამდე. მანამდე, 2015 წლის დეკემბერში ბრიტანეთის პარლამენტმა მთავრობას წარუდგინა მოხსენება ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც რუსეთი „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ერთად მთავარ საფრთხედ იყო მოხსენიებული.

## ლეგენდარული იარაღი

# «ზიგ-ზაუერი პ 226»




**ამ პისტოლეტს რჩეულთა იარაღს უწოდებენ და, უკვე მრავალი წელია, ბევრი ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურები მსოფლიოს საუკეთესო პისტოლეტებს შორის ასახელებენ.**

ეს იარაღი 1981 წელს დაამზადა იარაღის მოქმედმა ორმა ფირმამ — შვეიცარიულმა „ზიგმა“ და გერმანულმა „ზაუერმა“. სპეციალისტები ამ იარაღში ყველაზე მეტად სროლის მაღალ სიზუსტეს აფასებენ.

**ტექნიკური მახასიათებლები: მასა — 802 გრ, სიგრძე — 196 მმ, ლულის სიგრძე — 112 მმ, ვაზნები — 9X19 მმ, მჭიდი — 12 ან 13-ვაზნიანი**

მოამზადა **ნიკა კორნითელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1990-იანი წლების დასაწყისში ზემო მაჩხაანის გიგანტი კოლმეურნეობის დოვლათი ყვავ-ყორნებმა დაიტაცეს და სხვადასხვა კუთხეში დაუწყეს ძიძგნა. დარჩა მხოლოდ შირაქის თვალუწვდენელი მინდვრები, რომლებიც სოფლიდან 30-40 კილომეტრით იყო დაშორებული. უტრანსპორტოდ, უტექნიკოდ დარჩენილ მოსახლეობას თითო ჰექტარზე ოდნავ მეტი მიწა მიუზომეს და უთხრეს, — თავში ქვა გიხლიათო.**

**სტალინის მიმართ ტელეკრანიდან გადმოფრქვეულმა სრულიად დაუმსახურებელმა ბრალდებამ ქართული საგანძურის საქართველოსთვის დაბრუნების საკითხზე ისე გამალიზიანა, რომ საკმაო დრო დავუთმე არქივებსა და წიგნსაცავებში მუშაობას, რათა მზის სინათლეზე გამომეტანა ლეგენდებზე დამყარებული „ისტორიული კვლევის მასალები“ ქართული განძისა და მისი მოგზაურობისა ბათუმიდან ჯერ მარსელამდე, შემდეგ — პარიზამდე და ბოლოს — პარიზიდან თბილისამდე. კვლევის შედეგები დაიბეჭდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“(№7-12, 2015 წ) და ახლახან გამოქვეყნებულ ჩემს წიგნში — „სტალინი“ (2016 წელი, გვ. 349-375).**

# სტალინური «კოლხოზი» და კაპიტალისტური მუნიციპალიტეტი

ტელეეკრანზე იუმორისტულ ფერებში არაერთხელ დახატულმა სტალინურმა „კოლხოზმა“ კვლავაც დამაყენა განწყობაზე, „რკინის ქალამნები ჩამეცვა, ხელში რკინის ჯოხი დამეკავებინა“ და სტალინური „კოლხოზების“ დასათვალიერებლად გზას დავდგომოდი.

გულმა კახეთისკენ გამიწია, რადგან **1980-იანი წლების დასაწყისში ვმუშაობდი ქიზიყის ხოდაბუნებში, სადაც, ევროპაში რომ არ დაესიზმრებოდათ, ისეთ დონეზე იყო ასული სამრეწველო რელსებზე გადაყვანილი სოფლის მეურნეობა და სტალინური „კოლხოზის“ წევრი თავს მიიჩნევდა ქვეყნის ბატონ-პატრონად, რომლის ხელშიც იმდენი დოვლათი იყრიდა თავს, თვითონაც არ იცოდა, სად წაეღო ან სად დაებინავებინა.**

სამიზნეში სახელგანთქმული წითელწყაროს რაიონის ლენინის ორდენოსანი ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა ამოვიღე. უზუნდარას რომ გავცდი და მარცხნივ შევუხვიე, კვლავ მარცხნივ მომიწია შეხვევა და მალე სოფელ არბოშიკის ცენტრში აღმოვჩნდი. თავშეყრის ცენტრალურ ადგილზე მოხუცებს მოეყარათ თავი და „აბირჟავებდნენ“. მანქანა შევაჩერე და ყასიდად, თითქოს არ ვიცოდი, ზემო მაჩხაანის გზა ვიკითხე. მანქანისკენ ჭაღარა ბრგე კაცი გამოემართა და, როგორც კი მანქანაში შემოიხედა, გაკვირვებულმა მკითხა:

— ბატონო გრიშა, ნუთუ ზემო მაჩხაანის გზა დაგავიწყდა?

ხელი ჩამოვართვი, მოვიკითხე, — რას შვრებით, რას შვება სოფელი-მეთქი.

— აბა, ჩემო გრიშა, სადღაა სოფელი. დაიცალა. ხალხი აღარ არის, ერთ-ორ ახალგაზრდას თუ შეხვდები. სკოლის პირველ კლასში ორად-ორი მოწაფე გვყავს. ტექნიკა ჩვენ არა გვაქვს და შხამქიმიკატები. ღმერთი რასაც მოგვცემს, ესაა და ეს.

იმის მიუხედავად, რომ გლეხკაცს სათქმელი ბევრი ჰქონდა, მაინც ავჩქარდი და ათიოდე წუთში მივადექი ზემო მაჩხაანში დათქმულ ადგილს, სადაც სამი ყოფილი კოლმეურნეობის თავმჯდომარე მელოდებოდა, სამივე ჩემი ახლობელი და მეგობარი: **ელგუჯა ნატროშვილი, გივი ბიკაშვილი** და **მურთაზ ნატროშვილი.**

თავდაპირველად იმ მძიმე მემკვიდრეობას გავიხსენებ, რომელიც ქიზიყმა და ქიზიყთან ერთად სრულიად საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო წარსულისგან.

როგორც ისტორიკოსები გვარწმუნებენ, სიტყვა „გეორგია“ მიწასთან არის დაკავშირებული და ქართველი კაცის მიწისადმი სიყვარულიც სწორედ აქედან უნდა მომდინარეობდეს. მიწისა და მიწათმოქმედებისადმი ქართველი კაცის დაუოკებელი სწრაფვა ანტიკურ ხანაშიც ჩანს. არქეოლოგები გვიმტკიცებენ, რომ უნიკალური სარწყავი არხებისა და თიხისაგან გაკეთებული სარწყავი მილების გეოდეზიური განლაგება ჩვენი წინაპრების გენიალურობაზე დაფიქრების უფლებას გვაძლევს.

სწორედ ჩვენი დიდი წინაპრების დაუღალავმა სწრაფვამ მიწის დამუშავების ხერხებისა და მეთოდების გამოყენებისადმი ჩააწერინა ძველ ბერძენ ისტორიკოს **ჰეროდოტეს** თავის დღიურში უძველესი სკვითური თქმულება, რომ თითქოს ზეციდან ჩამოვარდნილი ოქროს გუთანი ქართველთა ერთ-ერთი ტომის — კოლაელთა (კოლაქსაის) მამამთავარს ეპოვნოს. ბერძენ მწერალთა თხზულებებში კი აღნიშნულია, რომ კოლხეთში (ლაზიკაში) არაჩვეულებრივად მტკიცე ლითონისგან (ფოლადის) დამზადებულ სახნავ იარაღებს იყენებდნენ.

სახნავი იარაღებიდან, როგორც დიდი **ივანე ჯავახიშვილი** შენიშნავს, უნდა აღინიშნოს ქართული გუთანი. იგი, როგორც გაუმჯობესებული იარაღი XI-XII საუკუნეებიდან გვხვდება: „გუთანი პირველად საქართველოში საკუთრივ ლიხთ-ამერეთში უნდა იყოს გაჩენილი და აქედან გავრცელებული მეზობელ ერთა შორის“.

სწორედ ამ გუთნით მოვედით შორეული წარსულიდან XX საუკუნის 30-იან წლებამდე. თუმცა მივიწყებული ქართული გუთანი დღესაც გამოიტანეს ფარდულებიდან თუ ნესტიანი სარდაფებიდან და, რაც ჯართში ჩაბარებას გადაურჩა, გაწმინდეს, გაამაგრეს და კვლავ იმავე გუთნის ამარად დარჩა ქვეყნის მარჩენალი ქართველი გლეხი.

მენშევიკების მიერ გაპარტახებულ და მიტოვებულ საქართველოში 1923 წელს ბოლშევიკურმა მთავრობამ სასოფლო-სამეურნეო იარაღების აღწერა ჩაატარა. აღმოჩნდა:

**1. ხის გუთანი — 7 406 ცალი.**

**2. ხის კავი — 162 947 ცალი.**

**3. რკინის გუთანი — 17 785 ცალი.**

**4. ადგილობრივი (ხის) ფარცხი — 54 752 ცალი.**

**5. რკინის ფარცხი — 302 ცალი.**

ამავე აღწერის მიხედვით, **საქართველოში იყო 388 480 მეურნე (ოჯახი), მათგან სახნავი იარაღები არ ჰქონდა 210 092-ს; სატრანსპორტო ინვენტარს მოკლებული იყო 235 674; ისეთ სატრანსპორტო საშუალებაზე, როგორიც ურემია, ხელი არ მიუწვდებოდა 125 261 მეურნეს.**



ელგუჯა ნატროშვილი (მარცხნივ), გრიგოლ ონიანი, გივი ბიკაშვილი და მურთაზ ნატროშვილი

**ზემო მაჩხაანის სამი ბაგა-ბაღიდან დღეს ერთიღა სუნთქავს. დაწვეს სკოლა და მიწასთან გაასწორეს კოლმეურნეობის კანტორა. სრულიად მოისპო სოფლის სავაჭრო ქსელი. ცეცხლი წაუკიდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს. არ ფუნქციობს პურის საცხობი და კინოთეატრი**

1924 წელს საქართველოში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამქირავებელი 60 პუნქტი, რომლებშიც ხალხისთვის დასარიგებლად შეიტანეს 1 786 ერთეული მანქანა-იარაღი.

რაც შეეხება ტრაქტორებს, მათი შემოყვანა 1926 წელს დაიწყო. პირველივე წელს შემოიყვანეს 75 ტრაქტორი, 1927 წელს — 44 ერთეული, 1928 წელს — 35, ხოლო 1929 წელს — 226 (მონაცემები აღებულია აკადემიკოს პაატა გუგუშვილის წიგნიდან „ეკონომიკური ნარკვევი“, 1967 წელი. გვ. 162-163). თუ როგორი ცხოვრების დონე იქნებოდა იმხანად საქართველოში სოფლად და ქალაქად, მკითხველი თვითონვე გააცნობიერებს.

1935 წლის წლიური ბალანსის მიხედვით, წითელწყაროს (ამჟამად დედოფლისწყაროს) რაიონის სოფელ **ზემო მაჩხაანს** საგაზაფხულო ხვნა 100 ჰექტარზე ჩაუტარებია, საგაზაფხულო კულტურების თესვა — 40 ჰექტარზე. თავთავიანი კულტურები აუღიათ 100 ჰექტარზე და მოუწევიათ 199 ტონა მარცვალი. დაუთესავთ ლობიო 2 ჰექტარზე, სიმინდი — 12 ჰექტარზე, ქერი — 81 ჰექტარზე, მზესუმზირა — 114 ჰექტარზე, კარტოფილი — 2 ჰექტარზე. სულ ნათესი ფართობი კოლმეურნეობაში შეადგენდა 857 ჰექტარს, ამ ფართობიდან მცირე მოსავალი მიუღიათ.



ნიკო მამიაშვილი

ადრე სოფელ ზემო მაჩხაანს არც გზა ჰქონდა და არც სასმელი წყალი. ადგილობრივ მცხოვრებლებს დღესაც ახსოვთ ძველი გამონათქვამი: „მაჩხაანზე ავიარე, წყალი იყო მეტად ძვირი“. მაჩხაანელი გლეხი 30-40 კილომეტრზე გუდანაბადმოკიდებული თვეობით მიდიოდა იმ ადგილებში, სადაც თავისი კალო-საბძელი ჰქონდა და საქონელი ჰყავდა. ქიზიყში და, კერძოდ, შირაქში მძიმე ნიადაგია და, თუ 10-12 უღელი ხარ-კამეჩი არ გასწევს გუთანს, მიწას ხარისხიანად ვერ მოხნავ, ამის საშუალება კი გლეხს, აბა, საიდან უნდა ჰქონოდა. ამიტომაც ნიადაგი ზერელედ მუშავდებოდა და, შესაბამისად, მოსავალიც ძალზე მცირე მოდიოდა.

ამ უზარმაზარ სოფელს ერთი სავაჭრო დუქანი და ერთიც ორკლასიანი სკოლა ჰქონდა დაქირავებულ სახლში მოწყობილი, მეტი არაფერი გააჩნდა.

**1935 წელს კი სტალინმა მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ და ამ ლოზუნგმა ზემო მაჩხაანამდეც მოაღწია.** სოფლის საბჭოს თავმჯდომარე **ნიკო მამაიაშვილი** სოფელმა კოლმეურნეობის (ახლა როგორც ლიბერასტები ეძახიან, — „კოლხოზის“) თავმჯდომარედ აირჩია.

ოცამდე უღარიბესმა გლეხმა, რომლებსაც 100 ჰექტრამდე მიწა, 3 ცალი გუთანი, 7 უღელი ხარი და ერთი სალეწი მანქანა ჰქონდათ, გადაწყვიტა, კოლექტიურად ეშრომა. ახლა კი ვნახოთ, რა ჰქნა ოქტომბრის მზით განათებულმა შირაქის ველმა და, კერძოდ, ზემო მაჩხაანმა:

***1975 წელს სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ საშემოდგომო ხორბალი დათესა 2 818 ჰექტარზე, ესე იგი, 1935 წელთან შედარებით მარცვლეულის ნათესები გაიზარდა 2 678 ჰექტრით, ხოლო მარცვლეულის წარმოებამ შეადგინა 74 078 ცენტნერი, საშუალოდ თითოეულ ჰქტარზე (ურწყავ ფართობზე) მიღებული იქნა 26 ცენტნერი მარცვალი. მზესუმზირის ნათესები გაიზარდა 114-დან 1 384 ჰექტრამდე და მიღებული იქნა 16 721 ცენტნერი მოსავალი. გაშენდა ვენახები 937 ჰექტარზე და მიიღეს 25 817 ცენტნერი ყურძენი. მერძეული ძროხების რაოდენობა 1936 წელთან შედარებით გაიზარდა 1912 სულით და 1975 წელს ერთ მეწველ ძროხაზე მიიღეს 2 291 კილოგრამი რძე. კოლმეურნეობას ჰყავდა 31 043 სული ცხვარი და თხა, 3 276 სული — ღორი.**

*1980 წლისთვის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა 8 000 ტონაზე მეტ ყურძენს აწარმოებდა, ხორბალს — 10 000 ტონას, ქერს — 2 500 ტონას, შვრიას — 700 ტონას, მზესუმზირას — 1500 ტონას, მსხვილფეხა საქონლის რაოდენობამ 3 500 სულს მიაღწია, მათ შორის, ძროხა იყო 1 200 სული, ცხვარი და თხა — 3 500 სული, ღორი — 4 000 სული, მათგან დედა ღორი — 2 000 სული, კოლმეურნეობას ემსახურებოდა 112 ტრაქტორი, ყველა სახეობის ავტომანქანა — 122 ცალი, კომბაინი — 24 ცალი, მისაბმელი მოწყობილობა — 600 ცალი. სოფელში ცხოვრობდა 1 500 კომლი, მათ შორის — 1 200 მუშახელი.

***სოფელში გაყვანილი იქნა სასმელი წყალი, მოეწყო სტადიონი, აიგო კულტურის სასახლე, აშენდა კოლმეურნეობის კანტორა, ბიბლიოთეკა, სამი ბაგა-ბაღი, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, პურის საცხობი, აბანო, შინმოუსველეთა მუზეუმი, ორი წისქვილი, ზეთსახდელი, მოეწყო რადიოკვანძი და სატელეფონო სადგური, აშენდა მაღაზიები და სოფლისათვის საჭირო სხვა ნაგებობები, შედეგად, სოფელს მთლიანად შეეცვალა იერი.**

მუშახელი სოფლიდან მინდორში სამუშაოდ სპეციალური მანქანებით გადაჰყავდათ. მინდვრად გასულ მექანიზატორებს საშემოდგომო და საზაფხულო ხვნა-თესვისა და თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების პერიოდში ცხელი კერძით უფასოდ კვებავდნენ, მათ განკარგულებაში იყო გათბობა-განათებით უზრუნველყოფილი მოძრავი საცხოვრებელი ვაგონები, რომლებშიც იდგა საწოლები, რადიო და ტელე-

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1980 წლისთვის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობა 8 000 ტონაზე მეტ ყურძენს აწარმოებდა, ხორბალს — 10 000 ტონას, ქერს — 2 500 ტონას, შვრიას — 700 ტონას, მზესუმზირას — 1500 ტონას, მსხვილფეხა საქონლის რაოდენობამ 3500 სულს მიაღწია, მათ შორის, ძროხა იყო 1 200 სული, ცხვარი და თხა — 3 500 სული, ღორი — 4 000 სული, მათგან დედა ღორი — 2 000 სული, კოლმეურნეობას ემსახურებოდა 112 ტრაქტორი, ყველა სახეობის ავტომანქანა — 122 ცალი, კომბაინი — 24 ცალი, მისაბმელი მოწყობილობა — 600 ცალი. სოფელში ცხოვრობდა 1 500 კომლი, მათ შორის, 1 200 მუშახელი.**





ასეთი იყო ზემო მაჩხაანის კულტურის სახლი. ასეთია დღეს

◀ ვიზორი. უფასოდ ეძლეოდათ სპეცტანსაცმელი. მეცხოველეობის ფერმებში და მინდვრად მომუშავეებს რეგულარულად მიეწოდებოდათ ჟურნალ-გაზეთები.

**ბოლო წლებში საზოგადოებრივი ცხოვრება ისე განვითარდა, რომ კოლმეურნეები შრომადღის გათვალისწინებით უხვად ილებდნენ ყველს, კარაქსა და ხორცს. რაც შეეხება რძეს, კოლმეურნეობას საშუალება ჰქონდა, კოლმეურნისთვის ყოველდღიურად მიეყიდა იმდენი, რამდენიც მას სჭირდებოდა — 10 კაპიკად.**

ცხადია, ასეთ პირობებში კოლმეურნეებისთვის პირად საკუთრებაში პირუტყვის ყოლა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა, ამიტომაც განაცხადეს კოლმეურნეებმა ძროხების შესასყიდად გამოყოფილ კრედიტზე უარი.

Lლეგენდარული კოლმეურნეობის ლეგენდარული თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნიკო მამაიაშვილი** ახალგაზრდების შესანიშნავი აღმზრდელიც იყო. სწორედ მისი აღზრდილები იყვნენ ჩემი მასპინძლები: **ელგუჯა ნატროშვილი**, რომელიც კოლმეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსად მუშაობდა წლების განმავლობაში, შემდეგ კი — ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ; **გივი ბიკაშვილი** სულ ახალგაზრდა ამოიყენა ბატონმა ნიკომ მხარში და მოადგილედ დანიშნა, ხოლო როდესაც დამსახურებულ პენსიაზე გავიდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა მას ჩააბარა; **მურთაზ ნატროშვილი** კი, რომელიც მთავარ აგრონომად მუშაობდა, ჯერ ოზაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გახლდათ, შემდეგ კი — წითელწყაროს რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

**ელგუჯა ნატროშვილი** მიყვება:

„ერთხელ სახელმწიფოსთვის მარცვლის ჩაბარებას რომ მოვრჩით, მისი გადანაწილება დავიწყეთ კოლმეურნეობის წევრებზე. მარცვლეულის საფასურს ხელფასიდან ვუქვითავდით. აღსანიშნავია, რომ ხელფასზე გაცილებით მეტი პრემია ჰქონდათ. მოსახლეობას მოსავალი საწყობებიდან არ გაჰქონდათ, ჩვენ კი შესანახი ადგილები გვიჭირდა. ბატონმა ნიკო მამაიაშვილმა კოლმეურნეობის საერთო კრებაზე ძალიან მკაცრად მოსთხოვა კოლმეურნეობის წევრებს, მარცვლეული საწყობებიდან გაეტანათ. რამდენიმე კაცმა თავმჯდომარეს განუცხადა, მარცვლეული წავიღეთ და შევინახეთ, მეტი ადგილი აღარ გვაქვს და, თუ კოლმეურნეობასაც არ შეუძლია შენახვა, ჩავაბაროთ სახელმწიფოს და მომავალ წელს შესაბამისი რაოდენობით დაგვიბრუნოსო“.

**გივი ბიკაშვილი:** „ერთხელ საწყობებში ბევრი ყველი დაგვიგროვდა. ყველს კი სპეციფიკური შენახვა სჭირდება. გაბრაზებულმა ბატონმა ნიკომ დამავალა, — თუ ყველი ნებით არ მიაქვთ, დატვირთე თვითმცლელი და ეზოში ჩამოუცალეთო. ასე მივუტანე ფერმის ერთ-ერთ მუშას 3 ტონა ყველი, რომელიც პრემიის სახით ეკუთვნოდა, მაგრამ არ მიჰქონდა. როდესაც კარზე მივადექით და მძღოლს თვითმცლელის ძარის აწევა ვუბრძანე, მაშინღა იკადრა, — ცოტა ხანს მადროვე, — მეზობლები მოვიხმაროო. რამდენიმე მეზობლის დახმარებით ერთი საათის განმავლობაში ცლიდნენ ყველით სავსე მანქანას და დროებით აივნის ქვეშ გაშლილ ბრეზენტზე აწყობდნენ.

იყო, ბატონო გრიშა, ძლიან ბევრი ქონება იყო, ხალხი მის დაბინავებას ვერ აუდიოდა. ოჯახში წყლის ჭურჭელიც კი ღვინით ივსებოდა, როდესაც ღვინის განაწილებას ვიწყებდით შრომადღის მიხედვით. მზესუმზირის ზეთი, თაფლი და კარაქი ხომ აუარებელი იყო. კოლმეურნეობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ომში დაღუპულთა ოჯახების მიმართ. სოფელში ღარიბი ოჯახი არ აღირიცხებოდა“.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ სულ სხვა მზე „ამოაბრწყინა“ ქიზიყში და, კერძოდ, ზემო მაჩხაანში. სტალინური „კოლხოზებიდან“ ხალხის გათავისუფლებისთვის ბრძოლის დროშა კამბეჩოვანში (ქიზიყში) **ნოდარ ნათაძემ** და **პაატა კოლუაშვილმა** აღმართეს, რომელთა სინდისზეც არის ერთ-ერთი აყვავებული და ნამდვილ კომუნიზმად ქცეული ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოციალისტური შრომის გმირის — **ნიკო ყოჩიაშვილის** უეცარი გარდაცვალება. მან ვერ გაუძლო ქვეყნისა და საერთო საქმის მტრების აღვირახსნილ თარეშს და, როდესაც ამ ავანტიურისტებმა საკოლმეურნეო დოვლათის ხელაღებით დარიგება დაიწყეს, გული გაუსკდა. მათ სინდისზეა ფშავ-ხევსურეთისა და ქედელთა სინდის-ნამუსის, პატიოსნების ეტალონის — **არსენ კობაიძის** ოჯახის დაქცევა და განადგურება, რომელსაც მიაყოლეს ზემო ქედელების მიერ წლების განმავლობაში შექმნილი მთელი საკოლმეურნეო დოვლათი (ამაზე მეორე წერილში უფრო ვრცლად მოგიყვებით).

„განმათავისუფლებლები“ ხალხში დადიოდნენ და აგიტაციას ატარებდნენ, ეს **ქონება, რომელიც კოლმეურნეობაშია და თავმჯდომარეები პატრონობენ, თქვენ გეკუთვნით, შეგიძლიათ შეხვიდეთ ფერმებში და, რომელი ძროხაც მოგეწონებათ, სახლში წაიყვანოთ, ზვრებში ყურძენი დაკრიფოთ და სახლში დაწუროთ, ასევე, სახლში წაიღოთ მარცვლეული, რომელსაც საწყობები ვერ იტევს.**

ასე დაიწყო ხალხის „განთავისუფლება“ სტალინური „კოლხოზებისგან“ ხალხის მხსნელმა ეროვნული მოძრაობის ზოგიერთმა ტვინნაღრძობმა მეთაურმა, რომლებიც ქვეყნის საუბედუროდ (ზოგიერთი) საკანონმდებლო ორგანოებში და თანამდებობებზეც კი მოხვდნენ. ჩვენ კი, ვინც შევეწინააღმდეგებოდით ხალხის ქონების ასეთ ქაოსურად გადანაწილებას, „ციციკორეებად“ გვნათლავდნენ.

**1990-იანი წლების დასაწყისში ზემო მაჩხაანის გიგანტი კოლმეურნეობის დოვლათი ყვავ-ყორნებმა დაიტაცეს და სხვადასხვა კუთხეში დაუწყეს ძიძგნა. დარჩა მხოლოდ შირაქის თვალუწვდენელი მინდვრები, რომლებიც სოფლიდან 30-40 კილომეტრით იყო დაშორებული. უტრანსპორტოდ, უტექნიკოდ დარჩენილ მოსახლეობას თითო ჰექტარზე ოდნავ მეტი მიწა მიუზომეს და უთხრეს, — თავში ქვა გიხლიათო.**

გაყიდული, ჯართში ჩაბარებული და გასაჩუქრებული ტექნიკისა და ტრანსპორტის გარეშე 40 კილომეტრით დაშორებულ მიწას ფასი არ ჰქონდა ქიზიყელი გლეხისთვის, რის გამოც ზოგიერთმა კუთვნილი მიწა მეზობელს აჩუქა ან მიჰყიდა. უშემოსავლოდ დარჩენილ გლეხს სწრაფად გამოელია კოლმეურნეობისდროინდელი სარჩო-საბადებელი, გაუცვდა ძველი ნიფხავ-პერანგი და სანდლები, გაუთავდა საკვები. მიწის საყიდელი ფული კი არა, სიგარეტის ფულიც ვეღარ მოიძია, ამიტომ მიწაც და საქონლის სადგომიც შირაქში, ელდარში, ტარიბანაზე თუ ენამთაზე გადამთიელმა იყიდა. ქიზიყელი ცხვრის მოვლას მოსწყვიტეს და საბერძნეთში მოხუცებულის მოსავლელად გაამგზავრეს.

**დღეს ზემო მაჩხაანის სამი ბაგა-ბაღიდან ერთიღა სუნთქავს. დაწვეს სკოლა და მიწასთან გაასწორეს კოლმეურნეობის კანტორა. სრულიად მოისპო სოფლის სავაჭრო ქსელი. ცეცხლი წაუკიდეს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს. არ ფუნქციობს პურის საცხობი და კინოთეატრი.**

უპატრონოდ არის მიგდებული შინმოუსვლელთა მემორიალი, რომელიც ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი იყო არა მხოლოდ ქიზიყელთათვის, არამედ უცხოეთიდან ჩამოსული ტურისტებისთვისაც. მათთვის შინმოუსვლელთა მემორიალი, ფიროსმანის მუზეუმის შემდეგ, მეორე ადგილი იყო. დიდ სამამულო ომში დაღუპული ყველა ზემო მაჩხაანელის სახელზე სათუთად მოვლილი თითო ვაშლის ხე იდგა და ზედ მიკრულ თითბრის ფირფიტაზე გვარი, სახელი და მამის სახელი იყო ამოტვიფრული.

**გამაოგნებელია დღევანდელი მდგომარეობა სოფლის ცენტრში აღმართული უნიკალური კულტურის სასახლისა, რომელიც 700 ადგილზე იყო გათვლილი, ოქროს ვარაყში მოქცეული სასახლის მთელი დარბაზი იავარქმნილია. კედლები ჩამორეცხილი, „პარკეტი“ აყრილი, ძვირფასი სკამები დამტვრეული და მიყრილი.**

ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში, სადაც მუშაობდა 1 222 შრომისუნარიანი ქალი და კაცი, 84 მწველავი იყო, 50 — მწყემსი, 18 — მეხბორე, 188 — მეცხვარე, 40 ადამიანი კი მეღორეობის ფერმაში იყო დასაქმებული.

კოლმეურნეობა წელიწადში 12 მილიონი მანეთის ღირებულების პროდუქციას აწარმოებდა და ფონდში 10 577 406 მანეთი ჰქონდა. დღეს კი ეს ციფრები ნულის ტოლია. კოლმეურნეობას 50 უმაღლესი განათლების მქონე მაღალკვალიფიციური კადრი ემსახურებოდა. თუ ამას სოფლის ინტელიგენციასაც დავუმატებთ, სოფლად დასაქმებული კვალიფიციური კადრების რაოდენობა 200 კაცს აღწევდა. დღეს კი დანგრეული კულტურის სახლის ერთ პატარა ოთახში 4 თანამშრომელია შეყუჟული. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, **გიორგი იაკობიშვილი,** ერთობ კულტურული და განათლებული ახალგაზრდაა და თავი ისე უჭირავს, თითქოს ზემო მაჩხაანს თავს დატეხილი უბედურება მისი ბრალი იყოს. არადა, როდესაც ამ სოფელში და სხვაგანაც ეს გაუგონარი მეხთატეხა მოხდა, გიორგი დაბადებულიც არ იყო.

მიკვირს, როდესაც ტელეეკრანიდან გვმოძღვრავენ ხოლმე, — კომუნისტების პერიოდში ცენტრალიზებული და დიქტატორული მართვა იყო და ხალხს არავინ არაფერს ეკითხებოდაო. **დავიჯერო, ნიკო მამაიაშვილის პერიოდში ზემო მაჩხაანელებს არაფერს ეკითხებოდნენ, როდესაც კოლმეურნეობა სოფლის კეთილმოსაწყობად ყოველწლიურად მილიონ მანეთს ხარჯავდა, და ახლა ეკითხებიან?** დღეს ადგილობრივი ხელისუფლების ახალგაზრდა წარმომადგენელ გიორგი იაკობიშვილს ერთი თეთრიც არ აქვს განსაკარგავად, თუ უამრავი შეკითხვისა და განკითხვის შემდეგ არ გადმოუგდებენ მიზერულ თანხას.

იქნებ დავბერდი და ამიტომ მეჩვენება ყველაფერი უკულმა, მაგრამ ახალგაზრდობასაც რომ ასე ეჩვენება?

მკითხველო, ვერ წარმოიდგენთ იმ სიცარიელეს, რომელიც ხალხითა და საყოველთაო დოვლათით ოდესღაც სავსე სოფელში ამჟამად სუფევს:

**„არსაიდან ხმა,**
**არსით ძახილი!..**
**მშობელი შობილს**
**არრას მეტყოდა,**
**ზოგჯერ კი ტანჯვით**
**ამოძახილი**
**ქართვლის ძილშია**
**კვნესა ისმოდა!“**

ასეთია სტალინური „კოლხოზისა“ და კაპიტალისტური მუნიციპალიტეტის ცხოვრების წესი და შინაარსი.

მანქანა-ტრაქტორთა პარკი დღეს





საყოფაცხოვრებო კომბინატის შენობის ნანგრევები

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო მშვენივრად იცხოვრებს ამერიკის გარეშეც (როგორც ამჟამად ცხოვრობს ძველი რომის გარეშე), მაგრამ აშშ მსოფლიოს გარეშე ვერ იცხოვრებს. ამერიკამ, უბრალოდ, თავი უნდა დაანებოს საკუთარი თავით აღტაცებას. მან ბევრი უნდა ისწავლოს და ნაკლებად ასწავლოს სხვებს. ამერიკა ხშირად არ უნდა ჩაერიოს სიტუაციაში და დატოვოს ისეთი, „როგორიც არის“ — არ დაანგრიოს ის, რაც მუშაობს. ასე გაცილებით უკეთესი იქნება ყველასთვის — მსოფლიოსთვისაც და თვით ამერიკისთვისაც.**

# მსოფლიოს ჰეგემონის ჰემოროი

**ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მსოფლიო აკვირდებოდა აშშ-ის საოცარ გარდაქმნას: სანამ არსებობდა საბჭოთა კავშირი, აშშ ძლიერი იყო და წინ მიიწევდა, მაგრამ, როდესაც სსრკ დაიშალა, აშშ-მა უცებ დაიწყო დასუსტება. და რაც მთავარია, ამას თვითონ ამერიკელებიც აღიარებენ.**

**რატომ** არის 1980-1990-იან წლებში გადაღებული ამერიკული ფილმები 2000 წლის შემდეგ გადაღებულზე უკეთესი, მიუხედავად იმისა, რომ XXI საუკუნეში კინოში შეიტანეს კომპიუტერული გრაფიკა და ფილმები უფრო შთამბეჭდავი გახდა, და კარგი მსახიობებიც ბევრია ჰოლივუდში?

**რატომ** დამარცხდა აშშ-ის არმია 1957-1975 წლების ვიეტნამის ომში, რომელშიც 50 ათასი ჯარისკაცი დაკარგა, და რატომ იწვნია მარცხი ერაყშიც 2003-2011 წლის ომში, სადაც მხოლოდ 5 ათასი ჯარისკაცი დაეღუპა?

**რატომ** შეეძლო ადრე აშშ-ს მთვარეზე კოსმოსური ხომალდის გაგზავნა დამოუკიდებლად, ახლა კი რატომაა იძულებული, კოსმოსურ თანამგზავრამდე ტვირთის ატანაში დახმარება რუსეთს სთხოვოს?

**რატომ** ჰყავდა აშშ-ს ადრე 15 ავიამზიდი და ახლა რატომ ჰყავს 12?

არის კიდევ ბევრი „რატომ“, რომლებზეც პასუხი თვით აშშ-ის ქმედებაში იმალება.

**ვიდრე სსრკ არსებობდა, აშშ არ იყო მსოფლიოს ერთადერთი ძლიერი ძალა, ამიტომ წინ მიისწრაფვოდა — უკეთესობისკენ, მაგრამ 1991 წლიდან, როდესაც სსრკ დაიშალა, ამერიკა მსოფლიოში ერთადერთი დაუმარცხებელი ძალა გახდა.**

**და ამერიკა დაიბნა.**

**როგორ უნდა მოიქცე, როცა ყველაფერი შეგიძლია?**

კომპიუტერებისა და ინტერნეტის სწრაფად განვითარებამ 1990-იან წლებში, როდესაც აშშ უპირობო ლიდერი იყო, კიდევ ერთხელ დაამტკიცა ამერიკელთა უპირატესობა მსოფლიოში.

და ამერიკელები გაამაყდნენ. ეს ნელ-ნელა მოხდა, **წლიდან წლამდე გროვდებოდა განსაკუთრებულობის განცდა და კიდევ იმის, რომ აშშ ყოველთვის მართალია. ეს მსოფლმხედველობა აშშ-ში 1990-იან წლებში ჩამოყალიბდა, შედეგად, ახალ ათასწლეულში აშშ შევიდა, როგორც №1, სახელმწიფო ყველა ნიშნის მიხედვით.**

მაგრამ სიამაყე ხომ ცოდვაა, ანუ ცუდია რელიგიის თვალსაზრისით. ამერიკული ოცნების არსი ასეთია: „ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი შექმნა“ — ეს არის ამპარტავნობის ცოდვის მოკლე შინაარსი. ამპარტავნობა — „ეს ფუჭი გზაა დიდებისკენ მიმავალი“, ე.ი. მცდარი, უაზრო, არასწორი გზა დიდებისა და წარმატების.

**აშშ-ს დაავიწყდა, რომ მისი სიმდიდრე დაფუძნებულია ოქროს, ურანის, რკინის, ქვანახშირის, ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის უზარმაზარ მარაგებზე, მშვენიერ ველებზე, თბილ კლიმატზე, ზღვასთან სიახლოვეზე და იმაზე, რომ ამ ქვეყანაში დიდი სისხლისმღვრელი ომი არასოდეს ყოფილა. დიახ, აშშ-ს თავისი არსებობის განმავლობაში არასოდეს დაუკარგავს 1 მლნ-ზე მეტი ჯარისკაცი ომებში, მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ კი ბევრჯერ გამოიარა სისხლიანი კონფლიქტების საშინელება.**

აშშ-ში იღებენ ფილმებს, რომლებშიც მთავარი გმირი ყველას და ყველაფერს ანადგურებს, კლავს „ცუდ ბიჭებს“, არადა, ამ ცუდ ბიჭებსაც ხომ ჰყავთ ოჯახი და ნათესავები, რომლებსაც დააკლდებათ მამა, შვილი, მეგობარი?.. და ხომ შეიძლება, რომ ამ „ცუდი ბიჭებიდან“ ყველა ისეთი ცუდი არ იყოს, აუცილებლად სიკვდილს რომ იმსახურებდეს?! მაგრამ სცენარისტისა და რეჟისორისგან დაცული მთავარი გმირი მიდის გამარჯვებისკენ, როგორც უკვდავი და ძლევამოსილი.

ცხოვრებაში კი ასე არ ხდება.

**სწორედ იმიტომ, რომ აშშ-ს არასოდეს გამოუვლია სისხლისმღვრელი ომები, ამერიკელებს სრულად ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათ სხვა ქვეყნებში „ბომბდამშენებით“ მიაქვთ არა მხოლოდ დემოკრატია, არამედ ომებიც, რომლებიც კლავს თვით დემოკრატიის იდეას.**

სიამაყე — ეს არის გზა ეგოიზმისკენ, რომელიც კლავს თვითკრიტიკას. **სენეკა** ამბობდა: „მეფისთვის ბევრი რამ ნებადართულია იმიტომ, რომ მისთვის ყველაფერია ნებადართული“.

აშშ-ს თითქმის ყველაფერი შეუძლია, ამიტომ თვითონ უნდა შეიზღუდოს საკუთარი თავი, სხვებისთვის სამაგალითო რომ იყოს, მაგრამ ამერიკა ასე არ იქცევა. 2000-იანი წლებიდან აშშ-მა საკუთარი თავი დაარწმუნა, რომ განსაკუთრებულია და მიისაკუთრა უფლება, თვითონ გადაწყვიტოს, რა არის კარგი და რა — ცუდი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მსოფლიო კი დიდია და ყველგან არის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტასაც აშშ თავისი რეცეპტით ცდილობს და არ ესმის, რას ეუბნებიან ისინი, ვინც აშშ-ს არ ეთანხმება.

„ის, ვინც ებრძვის ურჩხულს, უნდა გაფრთხილდეს, რომ თვითონ არ იქცეს ურჩხულად. და თუ დიდხანს იყურები უფსკრულში, მაშინ უფსკრულიც გიყურებს შენ“ **(ნიცშე).**




**წარუმატებლობებმა აშშ-ს უკვე ჩამოგლიჯა უცოდველობის შარავანდედი და, აქედან გამომდინარე, ამ ქვეყანამ დაკარგა თავისი უმთავრესი უპირატესობა — სხვების რწმენა, რომ აშშ სწორი გზით მიდის**



შევაფასოთ მსოფლიოში აშშ-ის მოქმედება ბოლო ოცი წლის განმავლობაში:

**1. ბრძოლა დემოკრატიისთვის**

აშშ დემოკრატიის დასამკვიდრებლად იბრძოდა იუგოსლავიაში, ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, სირიაში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობა დღეს საშინელ დღეშია. საერთო ჯამში, დემოკრატიის ექსპორტის საკითხებში აშშ-ს წარმატება არ აქვს.

**2. ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ**

ჯერ კიდევ 1990-იან წლებში აშშ-ის მთავარი მიზანი იყო „ალ ქაიდა“, შემდეგ აშშ-ის მოწინააღმდეგედ იქცნენ „თალიბანი“ და „ისლამური სახელმწიფო“ (არაბ. — დაიში). ეს ტერორისტული ორგანიზაციები აკრძალულია რუსეთსა და ამერიკაშიც, მაგრამ ეს არ არის მთავარი — **საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში აშშ-ს წარმატება არ აქვს: „ალ ქაიდა“ კვლავაც განაგრძობს არსებობას ისევე, როგორც „თალიბანი“ ავღანეთში. ომებისგან დანგრეულ ერაყსა და სირიაში კი აღმოცენდა ახალი ტერორისტული ორგანიზაცია — ადრე არსებულზე გაცილებით ძლიერი და აგრესიული — „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც კიდევ არაერთხელ დაგვანახვებს თავის საშინელ ძალას.**

და ეს არის სისტემა, ამერიკული წარუმატებლობების სისტემა!

**აშშ ნელა, მაგრამ მაინც მიექანება ციცაბო სიბრტყეზე, ქვემოთ, უფსკრულისკენ, რადგან წარუმატებლობის რაოდენობა ყოველთვის გადადის ხარისხში: „შენ წარუმატებელი და ხელმოცარული ხარ!“**

თუმცა აშშ-ს კიდევ შეუძლია წამოდგომა, წინ და ზევით სვლა, თანაც ამერიკა ძლიერი და მდიდარი ქვეყანაა. მაგრამ **წარუმატებლობებმა აშშ-ს უკვე ჩამოგლიჯა უცოდველობის შარავანდედი და, აქედან გამომდინარე, ამ ქვეყანამ დაკარგა თავისი უმთავრესი უპირატესობა — სხვების რწმენა, რომ აშშ სწორი გზით მიდის.**

სსრკ დაიშალა იმიტომ, რომ ირწმუნა აშშ-ის, დაიჯერა, რომ გზა, რომლითაც მიდიოდა აშშ, ერთადერთი და სწორი იყო, მაგრამ რუსეთს უკვე აღარ სჯერა ამერიკისა, სწორედ ამიტომ რუსეთის ფედერაცია არავითარ შემთხვევაში არ დაიშლება.

***ავღანელები ამერიკელებთან ერთად იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ, მაგრამ სსრკ წავიდა და ავღანეთი პირისპირ აღმოჩნდა აშშ-თან. რა გამოვიდა აქედან? — აშშ-მა კიდევ ერთი მტერი შეიძინა.**

***2003 წელს აშშ-მა ერაყი მიწასთან გაასწორა, ქვეყნის განადგურებით კი საფუძველი ჩაუყარა ბევრი ტერორისტული დაჯგუფების აღმოცენებას. რა მიიღო შედეგად? 2003 წლამდე ერაყი გაცილებით ნაკლებ საფრთხეს უქმნიდა აშშ-ს, ვიდრე დღეს „ისლამური სახელმწიფო“.**

***აშშ-მა და ევროკავშირმა სირიას სამოქალაქო ომისკენ უბიძგეს. ვის აძლევს ეს ხელს? არა მგონია, რომ ევროპელებს, რადგან ევროკავშირში მნიშვნელოვნად მოიმატა ტერორიზმის დონემ.**

**და ვინ არის დამნაშავე? ვინც გინდა ის, ოღონდ არა ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან, თვით ამერიკის თვალსაზრისით, ის შეუმცდარია.**

როგორ უნდა წარიმართოს მოლაპარაკება მასთან, ვინც თავიდანვე თვლის, რომ მართალია, ხოლო მოლაპარაკების მაგიდასთან მჯდომ პარტნიორი — მტყუანი? როგორ უნდა აუხსნა რამე მას, ვისაც არაფრის გაგონება არ სურს? როგორ უნდა აუხსნა რამე მას, ვინც ხედავს, მაგრამ უარყოფს იმას, რასაც ხედავს?

ამ კითხვებზე ისტორიას მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — ეს არის ძალადობა.

აშშ-ის ამპარტავნობა, რომელიც კლავს თვითკრიტიკას, მსოფლიოში ძალადობას ამკვიდრებს, მაგრამ ამას ოკეანეებით, ძლიერი არმიითა და სპეცსამსახურებით დაცული აშშ ჯერჯერობით ვერ აცნობიერებს.

მსოფლიო დიდია. მსოფლიო მშვენივრად იცხოვრებს ამერიკის გარეშეც (როგორც ამჟამად ცხოვრობს ძველი რომის გარეშე), მაგრამ აშშ მსოფლიოს გარეშე ვერ იცხოვრებს. ამერიკამ, უბრალოდ, თავი უნდა დაანებოს საკუთარი თავით აღტაცებას. მან ბევრი უნდა ისწავლოს და ნაკლებად ასწავლოს სხვებს. ამერიკა ხშირად არ უნდა ჩაერიოს სიტუაციაში და დატოვოს ისეთი, „როგორიც არის“ — არ დაანგრიოს ის, რაც მუშაობს.

ასე გაცილებით უკეთესი იქნება ყველასთვის — მსოფლიოსთვის და თვით ამერიკისთვისაც.

**კონსტანტინე შემელინინი**
**„სეგოდნია.რუ“**

მეხუთე შესაძლებლობის რეალიზება ვერ მოხერხდა 2010 წელს, როდესაც ნატოს წევრი ქვეყნები აშშ-ს მოუწოდებდნენ, ევროპის ტერიტორიაზე არსებული 180 ამერიკული ბირთვული ბომბი კონტინენტიდან გაეტანა. ნაცვლად იმისა, რომ გაეზიარებინა ეს მოწოდება, ამერიკის დელეგაციამ ნატოელი ქორების მხარე დაიჭირა. განცხადებებმა, რომლებიც გაისმა იმავე წელს ლისაბონში გამართულ სამიტზე, ისევე, როგორც ნატოს ბოლო სამიტებზე, დაადასტურა ბირთვული იარაღის მნიშვნელოვანი როლი ალიანსის საერთო სტრატეგიაში.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ობამამ ნობელის პრემია უნდა დააბრუნოს!»

## 5 შესაძლებლობა, რომლებიც აშშ-ის პრეზიდენტმა ხელიდან გაუშვა

**გამოცემა „ნეიშენელ ინტერესტის“ მიმომხილველის აზრით, აშშ-ის პრეზიდენტის ფართოდ რეკლამირებული ძალისხმევა ბირთვული განიარაღების პრობლემის შესახებ ჩაფლავდა.**

პრეზიდენტ ობამას პრეტენზია აქვს დაფნის გვირგვინზე, რადგან ჰგონია, რომ მსოფლიოს ბირთვული საფრთხე აააცილა. სინამდვილეში, მისმა ადმინისტრაციამ 8 წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე პატარა ნაბიჯი გადადგა ამ რისკების გასანეიტრალებლად, ამასთანავე, აამუშავა დანახარჯების მიხედვით უპრეცენდენტო პროგრამა ბირთვული იარაღის მოდერნიზაციისა.

2009 წელს პრაღაში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლამ მშვიდობის დამყარებასა და გლობალურ უსაფრთხოებაზე ყველა აალელვა და უზრუნველყო მისთვის (ობამასთვის — რედ.) ნობელის პრემიის მინიჭება მშვიდობის დარგში. მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტს დაავიწყდა, განემარტა, როგორ აპირებდა ამ მაღალი მიზნის მიღწევას. უნდა ემოძრავა თუ არა აშშ-ს რუსეთთან შემხვედრ გზაზე თუ მრავალმხრივი მოლაპარაკებები გაემართა? ეს მოლაპარაკებები გაეროს ეგიდით უნდა გამართულიყო თუ სხვა ფორუმის სახით?

სტრატეგიული მიდგომის არარსებობის გამო ამერიკელი მაღალჩინოსნები განაგრძობდნენ რუსეთთან ორმხრივ ურთიერთობას, რომელმაც მოლაპარაკების პროცესი სტრატეგიული ბირთვული იარაღის არსენალის ორმხრივ შემცირებაზე მესამე შეთანხმებამდე მიიყვანა (ამ შეთანხმებას ხელი მოეწერა 2010 წელს, 2011 წლის 5 თებერვლიდან კი ამოქმედდა — რედ.). ეს იყო ძალიან მოკრძალებული წარმატება, რომლის შედეგადაც შორი მოქმედების რუსული და ამერიკული ბირთვული იარაღის რაოდენობა უმნიშვნელოდ შემცირდა და არ შეხებია ბირთვული იარაღის სხვა სახეობებს, აგრეთვე, სხვა ქვეყნებში ასეთი იარაღის არსენალს.

**მეორე შესაძლებლობა** ობამამ ხელიდან გაუშვა 2009 წელს, როდესაც მოიწვია გაეროს უშიშროების საბჭო და ჩამოაყალიბა სამუშაო ჯგუფი „ბირთვული იარაღის გარეშე მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად“. ამ შემთხვევაშიც პრეზიდენტი მხოლოდ ლამაზი სიტყვებით შემოიფარგლა და კონკრეტულად არაფერი მოუმოქმედებია.

**მესამე** და **მეოთხე შესაძლებლობა** გაჩნდა ვაშინგტონის მიერ ახალი ბირთვული დოქტრინის შემუშავებისას, მაგრამ ამ დოქტრინის მიხედვით, არა მხოლოდ კვლავაც არის დასაშვები აშშ-ის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენება გარკვეულ სიტუაციებში, არამედ რეზერვში არსებული ბირთვული ქობინების რაოდენობაც კი არ შემცირებულა.

ეს გონივრული ცალმხრივი ზომა იქნებოდა, რადგან გავლენას ვერ იქონიებდა აშშ-ის თავდაცვისუნარიანობაზე, თუმცა შეამცირებდა ბირთვული არსენალის მოდერნიზაციის ამჟამად მიმდინარე პროგრამის ხარჯებს.

**მეხუთე შესაძლებლობის** რეალიზება ვერ მოხერხდა 2010 წელს, როდესაც ნატოს წევრი ქვეყნები აშშ-ს მოუწოდებდნენ, ევროპის ტერიტორიაზე არსებული 180 ამერიკული ბირთვული ბომბი




კონტინენტიდან გაეტანა. ნაცვლად იმისა, რომ გაეზიარებინა ეს მოწოდება, ამერიკის დელეგაციამ ნატოელი ქორების მხარე დაიჭირა. განცხადებებმა, რომლებიც გაისმა იმავე წელს ლისაბონში გამართულ სამიტზე, ისევე, როგორც ნატოს ბოლო სამიტებზე, დაადასტურა ბირთვული იარაღის მნიშვნელოვანი როლი ალიანსის საერთო სტრატეგიაში.

ობამას სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ 2015 წელს ირანთან დადებული ატომური გარიგება, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი წარმატება იყო. უმაღლეს დონეზე გამართულმა შეხვედრებმაც ხელი შეუწყო მსოფლიოში ბირთვული მასალების შემცირებას, მაგრამ ყველა ეს მიღწევა ფერმკრთალდება ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებისა და ამერიკული ბირთვული არსენალის მოდერნიზაციის პროგრამის ფონზე. სრული რეალიზაციის შემთხვევაში, ეს პროგრამა პრეზიდენტ რეიგანისდროინდელ ბირთვული შეიარაღების პროგრამასაც კი გადააჭარბებს.

არა, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ვერ გაუმკლავდით ბირთვულ პროგრამას. ზრდილობა მოითხოვს, რომ დააბრუნოთ ნობელის პრემია მშვიდობის დარგში!

**ბერი მ. ბლეკმანი**
„ნეიშენელ ინტერესტი“

**2009 წელს პრაღაში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლამ მშვიდობის დამყარებასა და გლობალურ უსაფრთხოებაზე ყველა აალელვა და უზრუნველყო მისთვის (ობამასთვის — რედ.) ნობელის პრემიის მინიჭება მშვიდობის დარგში, მაგრამ, სამწუხაროდ, პრეზიდენტს დაავიწყდა, განემარტა, როგორ აპირებდა ამ მაღალი მიზნის მიღწევას. უნდა ემოძრავა თუ არა აშშ-ს რუსეთთან შემხვედრ გზაზე თუ მრავალმხრივი მოლაპარაკებები გაემართა? ეს მოლაპარაკებები გაეროს ეგიდით უნდა გამართულიყო თუ სხვა ფორუმის სახით?**

# აშშ ნატოს უკანონო ომების პოლიტიკურ საფარველად იყენებს




**ნატოს არსებობის საჭიროების დამცველთა არგუმენტები უნებლიეთ მიგაპყრობინებს ყურადღებას ძალიან დიდი პრობლემებიდან ერთ-ერთზე, რომელიც დაკავშირებულია ბოლო 20 წელიწადში ალიანსის მოღვაწეობასთან.**

ნატოს მხარდამჭერთა აზრით, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აშშ-ს კანონიერ შესაძლებლობას აძლევს, განახორციელოს სამხედრო ინტერვენცია გაეროს ნებართვის გარეშე. როგორც ისინი ამტკიცებენ, ნატო სიგნალს აძლევს ამერიკისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობას, რომ აშშ არის არა უბრალოდ ძალა, არამედ თავისუფალი სამყაროს ლიდერი.

რა თქმა უნდა, **აშშ ნატოს იყენებს იმ მიზნით, რომ თავის უკანონო და არასაჭირო ომებს საბურველი ჩამოაფაროს, თუმცა ეს ამ ომებს უფრო მეტ ლეგიტიმურობას არ სძენს. ასეთი პრაქტიკა სასურველი არ არის აშშ-ისთვის და სახიფათოა თვით ალიანსისთვის — იმის გამო, რომ ნატო უადვილებს აშშ-ს იმ ომების დაწყების შესაძლებლობას, რომლებშიც არ უნდა მონაწილეობდეს, ალიანსი თავისი წევრების მხრებზე არარსასურველ ტვირთს დებს.**

როდესაც ევროპის სახელმწიფოების მთავრობები იძულებულნი არიან, მხარი დაუჭირონ აშშ-ის მიერ უცხოეთში გაჩაღებულ ომებს, რათა დაამტკიცონ, რომ ღირსნი არიან ნატოს წევრობისა და ფასი დაადონ თავიანთ მოკავშირეობას (როგორც იქცეოდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ბევრი ქვეყანა ერაყის ომის პერიოდში), ისინი უკანონო თუ არასაჭირო ომში მონაწილის საშინელ როლში აღმოჩნდებიან ხოლმე, რომელსაც საერთო არაფერი აქვს მათ უსაფრთხოებასთან. საწინააღმდეგო შემთხვევაში მთავრობებს შეიძლება ურთიერთობა გაუფუჭდეთ ვაშინგტონთან.

როდესაც აშშ ნატოს ეგიდით არღვევს საერთაშორისო სამართალს, როგორც ეს მოხდა კოსოვოში, ეს ალიანსს ამ დარღვევების მონაწილედ ხდის, მაგრამ ეს ვერ ეხმარება აშშ-ს, სხვა ქვეყნების თვალში უკეთესად გამოიყურებოდეს, უბრალოდ, მისი მოკავშირეები გამოიყურებიან ცუდად.

ბოლო 15 წლის განმავლობაში ნატო, ძირითადად, ფუნქციობდა, როგორც ახალი ომის დაწყების საშუალება აშშ-ისთვის და ამ ომებში მოკავშირეებს ითრევდა.

ბოლო ორი ათეული წელია, აშშ-მა უარი თქვა ნატოს, როგორც თავდაცვითი კავშირის, თავდაპირველ მისიაზე.

**დენიელ ლარისონი**
„ამერიკენ კონსერვატე“

**აშშ ნატოს იყენებს იმ მიზნით, რომ თავის უკანონო და არასაჭირო ომებს საბურველი ჩამოაფაროს, თუმცა ეს ამ ომებს უფრო მეტ ლეგიტიმურობას არ სძენს. ასეთი პრაქტიკა სასურველი არ არის აშშ-ისთვის და სახიფათოა თვით ალიანსისთვის — იმის გამო, რომ ნატო უადვილებს აშშ-ს იმ ომების დაწყების შესაძლებლობას, რომლებშიც არ უნდა მონაწილეობდეს, ალიანსი თავისი წევრების მხრებზე არასასურველ ტვირთს დებს**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, 2013 წელს საქართველოში დიაბეტით დაავადებული იყო 100 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის, დაახლოებით 37 ათასმა არ იცოდა, რომ დაავადებულია, დიაგნოზი არ ჰქონდა დასმული. შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა აჭარაში (2583), იმერეთში (2136), შიდა ქართლში (2008) და რაჭა-ლეჩხუმში (1950).**

# ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია: კაცობრიობა დიაბეტით არის დაავადებული

**დიაბეტის პრობლემამ მსოფლიო მოიცვა, 2014 წელს ეს დაავადება 400 მლნ-ზე მეტ ადამიანს ჰქონდა. ყველაზე მეტი შემთხვევა აღრიცხულია დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის ქვეყნებში, განსაკუთრებით — მამაკაცებში.**




დიაბეტი აღარ არის მდიდარი ადამიანების დაავადება, ის ახლა უკვე სრულიად მსოფლიოს სნეულებად იქცა. 2014 წელს 422 მლნ ადამიანი იტანჯებოდა ნივთიერებათა ცვლის დარღვევის გამო. ასე აფასებს დიაბეტის გავრცელებით შექმნილ ვითარებას ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. მოხსენება იძლევა საშუალებას, დავასკვნათ, რომ 1980 წლიდან დღემდე დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობამ 4-ჯერ მოიმატა — 1980 წელს დიაბეტით დაავადებული იყო 108 მლნ ადამიანი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოხსენებას საფუძვლად დაედო პროფესიულ გამოცემა „ლანცეტში" გამოქვეყნებული კვლევის მონაცემები. ექსპერტებმა 4,4 მლნ რესპონდენტი გამოჰკითხეს და 146 ქვეყნის მონაცემები გააანალიზეს.

**ძირითადი მომენტები:**

***გერმანია** ტოპათეულიდან ამოვარდა: თუკი 1980 წელს **გერმანია, იტალია** და **დიდი ბრიტანეთი** შედიოდნენ ათეულში იმ ქვეყნებისა, რომლებშიც ყველაზე მეტი დიაბეტიკი იყო, 2014 წელს ათეულში შევიდა **ინდონეზია პაკისტანი** და **მექსიკა.** გერმანიამ მე-6 ადგილიდან მე-14-ზე გადაინაცვლა. ამის მიზეზი არ არის ქვეყანაში ვითარების რადიკალურად გაუმჯობესება. დადებითი დინამიკა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში დაავადებულთა რაოდენობის მკვეთრი მატებითაა გამოწვეული.

***მსოფლიოს მასშტაბით დაავადების შემთხვევათა 40% მოსახლეობის მატებითა და დაბერებით არის გამოწვეული; ჭარბი წონით — 28%, დანარჩენი 32% — ზემოხსენებული ორივე ფაქტორით.** უფრო მეტი შემთხვევა მოდის დიაბეტის მე-2 ტიპზე.

*შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა ნახევარი 5 ქვეყანაში ცხოვრობს: **ჩინეთში, ინდოეთში, აშშ-ში, ბრაზილიასა და ინდონეზიაში.** სწორედ ამ ხუთ ქვეყანაში ცხოვრობს პლანეტის მოსახლეობის ნახევარი.

*დიაბეტით დაავადების რისკი, აგრეთვე, დამოკიდებულია კეთილდღეობის დონეზეც. ქვეყნებში, სადაც მაღალია შემოსავლის დონე, ძირითადად, ავადდებიან ღარიბები, ღარიბ ქვეყნებში პირიქით — მდიდრები.

**ევროპა, როგორც მაგალითი:**

ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები და გერმანიაც კი, გამოთვლების თანახმად, სანიმუშო სახელმწიფოების სიაში მოხვდნენ, თუმცა გერმანიაში დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობამ მოიმატა — თუკი 1980 წელს ეს მაჩვენებელი 3,4 მლნ იყო, 2014 წელს 5,1 მილიონს მიაღწია, მიზეზი — მოსახლეობის დაბერება. აღსანიშნავია, რომ **გერმანიის მოსახლეობამ ბოლო ათწლეულში მხოლოდ 2,8 მილიონით მოიმატა და ახლა იქ 81,2 მლნ კაცი ცხოვრობს.**

**პრობლემური ზონები: ოკეანეთი, ჩრდილოეთი აფრიკა და შუა აზია.**

***თითქმის ყველა ქვეყანაში დიაბეტით დაავადების რისკი ცხოვრების წესის შეცვლითა და გარემოს ზემოქმედებითაა გამოწვეული. ეს ყველაზე მეტად შეეხო საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობას.**

***დიაბეტით დაავადების საფრთხე ყველაზე ნაკლებად ემუქრება ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ ევროპის მოსახლეობას, ყველაზე მეტად — შუა აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მოსახლეობას.**

**მოიმატა დიაბეტით დაავადებული მამაკაცების რაოდენობამ:**

*თუ 1980 წელს დიაბეტით დაავადებულთა შორის ქალები სჭარბობდნენ, ამჟამად ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა — 1980-2014 წლებში დიაბეტით დაავადებული მამაკაცების რაოდენობამ 3,6-დან 88%-მდე მოიმატა, ქალებისამ — 4,7-დან 8,2-მდე, თუმცა ქალები საშუალოდ უფრო მეტ ხანს ცხოვრობენ, ვიდრე მამაკაცები და წლების მატებასთან ერთად, შესაბამისად, დიაბეტით დაავადების რისკიც იმატებს.

***მამაკაცებში დიაბეტით დაავადების რისკფაქტორებია სიგარეტის მოწევა და ჭარბი წონა.**

**თუკი დიაბეტს არ შევებრძოლებით და ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც 2000-იანი წლების დასაწყისში, 2025 წლისთვის მსოფლიოში 700 მილიონი ადამიანი დიაბეტით იქნება დაავადებული**




**სისხლში შაქრის მაღალი დონე სიკვდილის მიზეზია:**

***2014 წელს სისხლში დიდი რაოდენობით შაქრის შემცველობის გამო 3,7 მლნ ადამიანი გარდაიცვალა. მათ შორის, 1,6 მლნ, ანუ 43% 70 წლის არ ყოფილა. გარდაცვალების შემთხვევები მამაკაცებში უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალებში.**

**ინფარქტის, ინსულტის, მხედველობის დაკარგვის თავიდან აცილება შესაძლებელია:**

*20-დან 69 წლამდე გარდაცვლილი მამაკაცების 7 %-ს სისხლში შაქრის მაღალი შემცველობა აღენიშნებოდა, ქალებში ეს მაჩვენებელი 8%-ია.

***თუ სისხლში შაქრის მაღალი დონე დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება, იმატებს ისეთი დაავადებებით დასნეულების რისკი, როგორიცაა ინფარქტი, ინსულტი, თირკმელების უმოქმედობა, მხედველობის დაკარგვა, ნერვული აშლილობა. ნაადრევი სიკვდილის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი ანალიზების მეშვეობით გამოვავლენთ დაავადების სიმპტომებს და ჩავიტარებთ პროფილაქტიკურ პროცედურებს.**

**ადრეულ სიმპტომებს მიეკუთვნება: წყურვილი, დაუნაყრებლობის განცდა, ხშირი შარდვა, წონის დაკარგვა, მხედველობის პრობლემები და დაღლილობა.**

მეორე ტიპის დიაბეტის სამკურნალოდ რეკომენდებულია: მოძრაობა, დაბალანსებული კვება, სიგარეტის მოწევაზე უარის თქმა. სიახლე აქ არაფერია, მაგრამ ბოლო წლების ტენდენცია გვიჩვენებს, რა რთულია ზემოაღწერილის შესრულება.

**ის, რომ ევროპელებს, შედარებით უკეთესად აქვთ საქმე, სავარაუდოდ, განპირობებულია არა მხოლოდ მათი სამაგალითო ქცევით, არამედ ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონითაც.**

„როგორც გაირკვა, დიაბეტის თავიდან ასაცილებლად საკმარისია, ამოვიცნოთ ამ დაავადების მაღალი რისკის მქონე ადამიანები და შევძლოთ მათი მოტივირება, დაიწყონ აქტიური, მოძრავი ცხოვრება, ჯანმრთელი კვება და განსაზღვრული მედიკამენტების მიღება. მიზანი — ეს ყველაფერი ხელმისაწვდომი იყოს ადამიანების მაქსიმალური რაოდენობისთვის მსოფლიოში", — წერს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომელი **ეტიენ კრუგი.**

მკვლევარების დასკვნა აჩვენებს, რა დიდია დიაბეტის პრობლემა მსოფლიოში. ის, აგრეთვე, მიუთითებს ამ პრობლემასთან წარმატებით დაპირისპირების უზარმაზარ პოტენციალზე. თუკი დიაბეტს არ შევებრძოლებით და ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც 2000-იანი წლების დასაწყისში, 2025 წლისთვის მსოფლიოში 700 მილიონი ადამიანი დიაბეტით იქნება დაავადებული.

**ირენე ბერესი,**
**დავუდ ოჯდა**
„შპიგელი"

**თუ სისხლში შაქრის მაღალი დონე დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნდება, იმატებს ისეთი დაავადებებით დასნეულების რისკი, როგორიცაა ინფარქტი, ინსულტი, თირკმელების უმოქმედობა, მხედველობის დაკარგვა, ნერვული აშლილობა. ნაადრევი სიკვდილის თავიდან აცილება შესაძლებელია, თუკი ანალიზების მეშვეობით გამოვავლენთ დაავადების სიმპტომებს და ჩავიტარებთ პროფილაქტიკურ პროცედურებს. ადრეულ სიმპტომებს მიეკუთვნება: წყურვილი, დაუნაყრებლობის განცდა, ხშირი შარდვა, წონის დაკარგვა, მხედველობის პრობლემები და დაღლილობა**

**ცნობისათვის:**

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ 2013 წლის ნოემბერში გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ყოველწლიურად დიაბეტის 10 ათასზე მეტი ახალი შემთხვევა ვლინდება.

საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, 2013 წელს საქართველოში დიაბეტით დაავადებული იყო 100 ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის, დაახლოებით 37 ათასმა არ იცოდა, რომ დაავადებულია, დიაგნოზი არ ჰქონდა დასმული. შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა აჭარაში (2583), იმერეთში (2136), შიდა ქართლსა (2008) და რაჭა-ლეჩხუმში (1950).

**კემერონი პოსტიდან გადაყენების საფრთხის წინაშეა, ბრიტანელებს კი კიდევ ერთი არგუმენტი გაუჩნდათ — მხარი არ დაუჭირონ თავიანთი ქვეყნის ევროკავშირში დარჩენას, თუმცა მხოლოდ ეს არ იქნება პრობლემა. კემერონის შემდეგ პრემიერის პოსტს, სავარაუდოდ, დაიკავებს ჯერემი კორბინი, რომელიც ბრიტანელებს ნატოდან გამოსვლასა და ბირთვული შეიარაღების შემცირებას დაჰპირდა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლონდონის ექსმერი: ბრიტანეთის პრემიერი ფარისეველი და ქურდია, ის ციხეში უნდა იჯდეს!

**ლონდონის ყოფილმა მერმა კენ ლივინგსტონმა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი დევიდ კემერონი ფარისევლობასა და ქურდობაში დაადანაშაულა. საქმე ის არის, რომ ბრიტანეთის პრემიერის მამა იან კემერონი, რომელიც 2010 წელს გარდაიცვალა, პანამის ოფშორული ზონების გავლით ფულს ათეთრებდა. ლივინგსტონი ამტკიცებს, რომ კემერონმა იცოდა მამის დანაშაულის შესახებ, მაგრამ დუმდა, ამასთანავე, უსაფუძვლოდ ადანაშაულებდა ლივინგსტონს გადასახადების გადახდისგან თავის არიდებაში.**



„ვფიქრობ, კემერონი ყველაზე ფარისეველი პრემიერმინისტრია მათ შორის, ვინც კი ოდესმე მინახავს. ის მაშინვე უნდა გადამდგარიყო, როგორც კი პრემიერის სავარძელში ჩაჯდა. დიდი ბრიტანეთი ამ კორუფცირებული პრემიერის მმართველობის საშინელ შედეგებს იმკის. ის არა მხოლოდ თანამდებობიდან უნდა გადადგეს, არამედ ციხეში უნდა ჩავსვათ“, — განაცხადა ლონდონის ყოფილმა მერმა.

ნიშანდობლივია, რომ **დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის პოსტზე დევიდ კემერონის ყოფნის პერიოდში მნიშვნელოვნად მოიმატა სოციალურმა უთანასწორობამ, პრემიერის მმართველობას დადებითი შედეგები კი მხოლოდ მისივე გარემოცვის მისნაირივე კორუფცირებულების მდგომარეობაზე აისახა.**

ლონდონის ექსმერის განცხადებით, დევიდ კემერონის ოჯახი თავის დანაშაულებრივ კაპიტალს ასეული წლების განმავლობაში აგროვებდა — წარსულში კემერონების საგვარეულოს მთავარი შემოსავალი მონებით ვაჭრობა იყო.

**„როგორ უნდა ენდონ ადამიანები პრემიერის არგუმენტებს ევროკავშირიდან გამოვლის თაობაზე, როცა მისი ქონებრივი დეკლარაციისაც კი არავის სჯერა?“** — სვამს კითხვას კენ ლივინგსტონი.

როგორც ჩანს, ამერიკელების მიერ ცუდად მომზადებული კომპრომატები მათივე საწინააღმდეგოდ ამუშავდა. ამერიკელებს სურთ, დიდი ბრიტანეთი ევროკავშირში დარჩეს. ვაშინგტონელი პოლიტიკოსები ლონდონს სანქციებითაც კი დაემუქრნენ, თუ ბრიტანეთი ევროკავშირის დეზინტეგრაციის გზას დაადგებოდა.

აშშ-ს ევროპის მართვა ტრანსატლანტიკური პარტნიორობის მეშვეობით სურს და ამიტომ სჭირდებათ დიდი ბრიტანეთი ევროკავშირის შემადგენლობაში, მაგრამ ახლა ამერიკელთა გეგმები ინგრევა.

კემერონი პოსტიდან გადაყენების საფრთხის წინაშეა, ბრიტანელებს კი კიდევ ერთი არგუმენტი გაუჩნდათ, მხარი არ დაუჭირონ თავიანთი ქვეყნის ევროკავშირში დარჩენას. თუმცა მხოლოდ ეს არ იქნება პრობლემა. კემერონის შემდეგ პრემიერის პოსტს, სავარაუდოდ, დაიკავებს ჯერემი კორბინი, რომელიც ბრიტანელებს ნატოდან გამოსვლასა და ბირთვული შეიარაღების შემცირებას დაჰპირდა.



## აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე: რაკეტებისთვის რუსული ძრავები გვჭირდება

**აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ რობერტ კორკმა განაცხადა, რომ პენტაგონი უახლოესი 6 წლის განმავლობაში უარს ვერ იტყვის რუსი მეცნიერებისა და სპეციალისტების შექმნილ სარაკეტო ძრავებზე.**

კორკის თქმით, აშშ-მა 6 წლის განმავლობაში რუსეთისგან 18 ერთეული „რდ-180“ (თხევადი საწვავის დახურული ციკლის სარაკეტო ძრავა, რომლის ღირებულება 2010 წელს 9 მლნ დოლარი იყო — რედ.) უნდა იყიდოს სამხედრო თანამგზავრების კოსმოსში გასაყვანი რაკეტებისთვის. 6 წლის შემდეგ კი აშშ თავისი სარაკეტო ძრავების წარმოებას გეგმავს. „ჩვენ, უბრალოდ, ვერ ვხედავთ, როგორ უნდა შევქმნათ ახალი ძრავა 6 წელზე ნაკლებ დროში, ჩვენ გვჭირდება „რდ-180“, სულ 18 ერთეული“, — განაცხადა კორკმა.

## გერმანელი პოლიციელი: მიგვითითეს, რომ ანგარიშებიდან ამოგვეღო სიტყვა «გაუპატიურება»

**გერმანული მედია კელნში აფრიკული და არაბული გარეგნობის მამაკაცების მიერ ქალებზე მასობრივი თავდასხმის ახალ დეტალებზე წერს. გერმანიის ხელისუფლება შეეცადა, დაემალა 2016 წლის 1 იანვარს მომხდარი გაუპატიურების ფაქტები. ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ბრალდება უარყო, მაგრამ აღიარა, რომ ამ საკითხზე თათბირი ჩატარდა.**



„ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწის შინაგან საქმეთა მინისტრმა პოლიციელებს აუკრძალა კიოლნში ახალი წლის ღამით ქალებზე განხორციელებული მასობრივი ძალადობის შესახებ ანგარიშებში ჩაეწერათ სიტყვა „გაუპატიურება“, — განაცხადა მასმედიის წარმომადგენლებს პოლიციის სამმართველოს თანამშრომელმა.

„დილის ცვლის დასრულების შემდეგ სისხლის სამართლის პოლიციის კომისარი ტელეფონზე ლაპარაკობდა. მე გვერდით ვიჯექი. კომისარმა მითხრა, რომ პოლიციის ცენტრალური სამმართველოდან მოვიდა მითითება, მომხდარის თაობაზე ანგარიშის დაწერისას არ გამოგვეყენებინა სიტყვა „გაუპატიურება“. როგორც სამმართველოს წარმომადგენლებმა განაცხადეს, განკარგულება მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან. კომისარმა აუწყა ცენტრალურ სამმართველოს, რომ იმ მომენტისთვის ცნობილი ფაქტები სრულიად შეესაბამება განსაზღვრებას „გაუპატიურება“ და ამ ფაქტებზე უკვე ჩატარდა გინეკოლოგიური ექსპერტიზა“, — განაცხადა პოლიციელმა.

მინისტრის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ ფაქტების დამალვის მცდელობა არ ყოფილა, თუმცა აღიარა, რომ ჩატარდა „პროფესიული მსჯელობა“, როგორი კვალიფიკაცია უნდა მიეცათ ახალი წლის ღამეს კელნში მომხდარი ძალადობისთვის.

შვედი ჟურნალისტი **ჩანგ ფრიკი** წერს, რომ გერმანია თავისი მიგრაციული პოლიტიკის შედეგებს იმკის.

„ფაქტების მიჩქმალვის მცდელობა დაუშვებელია, რადგან მათი გახმაურება ყოველთვის გამოიწვევს დიდ სკანდალს. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მინისტრი უნდა გადადგეს. ეს ძირითადი საკითხია. შვედეთმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ ზნეობის სანიმუშო ქვეყნად გადაქცეულიყო. ახლა კი სურათი ძირფესვიანად იცვლება. ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკა მცდარია, უეფექტო და უამრავ პრობლემას წარმოშობს. კელნის და, საერთოდ, გერმანიაში განვითარებული მოვლენების შემდეგ შვედეთშიც გამოთქვამენ ანალოგიურ თვალსაზრისს“, — წერს ჟურნალისტი.

## ბრიუსელში ისლამისტები ბაქტერიოლოგიური იარაღის დამზადებას ცდილობდნენ

**ბრიუსელის კომუნა სკარბეკში დაკავებული ისლამისტი აბდერახმან ამერუდი ბაქტერიოლოგიურ იარაღს ამზადებდა.**




22 მარტის ტერაქტებიდან სამი დღის შემდეგ ბრიუსელში დაკავებული ალჟირელი აბდერახმან ამერუდი ექსპერიმენტებს ატარებდა ბოტულიზმის ან ლისტერიოზის ბაქტერიის მისაღებად.

38 წლის ამერუდი საფრანგეთში დაკავებული ტერორისტის — რედ კრიკეს საქმის გამოძიებისას აიყვანეს. დაკავების მომენტში ამერუდი მძევლების აყვანას შეეცადა, მაგრამ პოლიციელებმა ფეხში დაჭრეს და გააუვნებლეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამერუდი 2005 წელს გაასამართლეს ავღანეთში ანტითალიბანური მოძრაობა „ჩრდილოეთის ალიანსის“ მეთაურის — **ახმედ შაჰ მასუდის** მკვლელობაში მონაწილეობისთვის.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველები ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, ვერ გაიყვეს ქონება, უფლებები, თანამდებობები, ერთმანეთს დაერივნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ახლა ამბობენ, ყველაფერი რუსეთის ბრალიაო — ერთმანეთს იმან გადაგვკიდაო, დაპირისპირებულ მხარეებს იარაღი დაურიგაო. თუ უცხომ ჩვენივე ხელით დაგვანგრევინა ჩვენი ქვეყანა, არაფრის პრეტენზია არ უნდა გვქონდეს.**

# სულგაყიდული მთავრობა და დაბნეული ქვეყანა

**ხალხი და მთავრობა ერთმანეთს ჰგავს. წყლის ავზიდან ამოღებული სინჯი იგივეა, რაც ავზში ასხია. იქნებ ხალხის შეურაცხყოფა იყოს მასთან დღევანდელი მთავრობის შედარება, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუვალთ: ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არიან, არჩევნების გზით მოვიდნენ. არჩევანში შევცდით? შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ რამდენჯერ უნდა შეგვეშალოს?!**



ვინმეს არ ეგონოს, გაბრაზებული ვწერდე ამ სტრიქონებს. ჩემდა სამწუხაროდ, გაბრაზებამ კარგა ხანია, დამივიწყა. იქნებ ეს კარგიც იყოს. ადამიანებს ხშირად დამშვიდებას ურჩევენ ხოლმე, მაგრამ გაბრაზების უნარის დაკარგვა სულ სხვა რამ არის. გაბრაზებული კაცი ჯერ კიდევ არ არის უბედური, ვინაიდან შეიძლება ვითარება შეიცვალოს და ბრაზი გაუქრეს, მაგრამ, თუ ადამიანი, ვითარების უცვლელობის გამო, უარყოფითი მოვლენებისადმი რეაგირების უნარს კარგავს, მის სულში სასოწარკვეთა ისადგურებს. სასოწარკვეთას კი ხელის ჩაქნევა და ყველაფრისადმი მორჩილება მოსდევს. ღმერთმა ნუ ქნას, აქამდე მივიდეთ.

ახლა ყველას პირზე აკერია „თავისუფლება" და „დემოკრატია". ჩვენ ამგვარი ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდით. დღემდე ისიც ვერ გაგვიგია, ჯერ თავისუფლება უნდა მოგვეპოვებინა თუ ცხოვრების დემოკრატიული წესები შემოგვეღო. და ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ლამის ყოველი მეორე პირი ქადაგად არის ქცეული და ჭკუას გვასწავლის. **ამპარტავნობამ ამოგვართვა სული. ამპარტავანთა დემოკრატია და თავისუფლება კი არის ძალადობა დემოკრატიის სახელით და აღვირახსნილობა თავისუფლების ნიღბით.**

წყობილების შეცვლას მენტალიტეტის შეცვლა უნდა მოჰყვეს. ეს ცვლილება ადამიანის გონებაში ერთბაშად ვერ მოხდება, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის დაჩქარება სიმახინჯესა და გაუგებრობას იწვევს (გაიხსენეთ ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა"). ეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** შეძლო — უცებ აუწყო ახალ ცხოვრებას ფეხი. ეგ იმიტომ, რომ, როგორც წინასაარჩევნო კამპანიისას განაცხადა, „პლასტელინის კაცია". ასეთი „პლასტელინ-კაცი" სჭირდებოდა პრეზიდენტად მილიარდერ **ბიძინა ივანიშვილს**, მაგრამ მარგველაშვილმა, როცა თავისი გაინაღდა, ფხა გამოაჩინა, ივანიშვილის „პლასტელინ-კაცი" სხვის ხელში აღმოჩნდა და ახლა სხვები ძერწავენ მისგან გროტესკულ ფიგურას.

დღეს ვაი-უშველებელია ატეხილი ფარული ჩანაწერების გამომზეურების გამო. საქმე ეხება მაღალი თანამდებობების პირთა მორალური ცხოვრების ამსახველი კადრების სააშკარაოზე გამოტანას. მე თუ მკითხავთ, არ ვარ მომხრე ასეთი მეთოდით ადამიანთა დაშანტაჟებისა, მაგრამ **მაკვირვებს ის ისტერიკა, რომელიც მრავალგზის გათხოვილ-გამოთხოვილმა და ტელეეკრანებიდან უმანკო გოგო-ბიჭების გარყვნილებისკენ მომწოდებელმა ქალებმა ატეხეს. მათ გასაგონად ვამბობ: ჯანდაბამდე გზა გქონიათ და აკეთეთ ის, რასაც ცხოველური ინსტიქტები გკარნახობთ, ოღონდ ვერ გამიგია, რამ აგაფორიაქათ?! თუ გრცხვენიათ, ესე იგი, იცით, რომ სამარცხვინო საქმეს აკეთებთ, და თუ იცით, რატომ იქცევით სამარცხვინოდ ან რატომ ეწევით ასეთი საქციელის პროპაგანდას? იქნებ სირცხვილის განცდა არც გაქვთ და მხოლოდ ის გაწუხებთ, რომ დედ-მამის, ნათესავების, მეუღლისა და ხალხის მოტყუება გამოგიმზეურეს.**

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კი დაგიცვათ: მრუშობა სულაც არ არისო საძრახისი საქციელი და მაგალითი მოიყვანა, — მე მდიდარი სექსი მქონდაო წარსულში, ახლაც მაქვს და მომავალშიც მექნებაო.

მდიდარი სექსიო, — რომ დაიტრაბახა, ალბათ, მრავალ კახპასთან გორაობას გულისხმობდა და არავინ იცის, მომავალში როგორ მოიქცევა ამგვარ ორგიებს ნაჩვევი კაცი. სხეული ბერდება, ავი კაცის ვნებები კი იგივე რჩება.

**ცუდი აზრები მომდის, პრეზიდენტო, მაგრამ ჩემი რა ბრალია, კახპების გასამხნევებლად თქვენმა უპასუხისმგებლო და ბრიყვულმა ნათქვამმა მომგვარა ასეთი უცენზურო ფიქრები. განა შეიძლება მრუში და ოჯახის მოღალატე კაცი სახელმწიფო საქმეებში უმწიკვლო იყოს?**

არ დაგიმალავთ და, **ყოველივე ამის შემდეგ მეგონა, ქართველი ხალხი ალყას შემოარტყამდა თქვენს რეზიდენციას და გადადგომას გაიძულებდათ, მაგრამ ყველაფერმა**

**ხალხი ფხიზლად უნდა იყოს და არ შეუწყოს ხელი არჩევნების გაყალბებას. კაცს როცა უჭირს, ადვილია მისი მოსყიდვა, მაგრამ ერთ ტომარა ფქვილზე და რამდენიმე კილოგრამ შაქარზე გაყიდული ხმა წინ უბედურებად შემოგვეყრება. ახლა საარჩევნო ყუთებთან გვაქვს დიდგორის ომი გადასატანი. თუ ხალხმა ამჯერადაც ვერ შეძლო მთავრობაში ეროვნული ძალების მოყვანა, მაშინ მშვიდობით, საქართველოვ!**

**დუმილით ჩაიარა და თქვენი უზნეო გამოსვლის გამო ჯერ დისკომფორტი არ შეგქმნიათ.** ნუ იქნებით მშვიდად. ნუ მიიჩნევთ ხალხის დუმილს შეგუებისა და წაყრუების ნიშნად. ხალხის სული ოკეანესავით არის, დიდი ქარიშხლის წინ გატრუნული რომ გვეჩვენება.

თითქოს დრომ მოიტანა და აუცილებელი შეიქნა თვალსაზრისის შეცვლა და ღირებულებების გადაფასება. ბუნებაც ხომ ცვალებადობის კანონს ემორჩილება, მაგრამ უკეთესობიდან უარესობაში გადასვლა არაბუნებრივია. საზოგადოება ვითარდება მაშინ, როცა კარგს აუმჯობესებს და უკეთესს ხდის. ახალ თაობას ყოველთვის ეძლევა შესაძლებლობა, წინამორბედთა განვლილი გზა გააანალიზოს, შეისწავლოს და სამომავლოდ უფრო ჯანსაღად გამოიყენოს ის დადებითი მოვლენები, რომლებიც უწინ იყო. მათ აქვთ ცხოვრების წესებში ცვლილებების შეტანის უფლება, მაგრამ არის შეურყეველი და უცვლელი ცნებები, რომლებსაც ემყარება სინდისიერება, პატიოსნება, ზნეობრიობა... ქალი ვერასდროს გახდება კაცი და ვერც კაცი იქცევა ქალად.

ჩვენ **ადვილად ავიტაცეთ ევროპული „თავისუფლების" ის ნაწილი, რომელიც ხორციელ სიამოვნებას გვანიჭებს, მაგრამ სულს კლავს. ყოველთვის გვაფრთხილებდნენ წმინდა მამები, რომ უნდა განვერიდოთ მაცდუნებელ გარემოებებს.** აი, რას წერს წმინდა ეგნატე პარიზში რელიგიურ საქმეებზე ჩასულ ბერებს: „თქვენ პარიზში ხართ, ამსოფლიური სწავლულობისა და, შეიძლება ითქვას, ბნელეთისა და ცოდვის დედაქალაქში. მაშ, ამ ცოდვისა და ბნელეთის დედაქალაქში ერიდეთ დაბნელებას, ერიდეთ ცოდვას... გაფრთხილდით, სული არ წააგოთ, ეს კი შეიძლება მოხდეს, და განა ცოტას დამართნია? გაიხსენეთ, რომ თქვენც მოგიწევთ ამა სოფლით განსვლა კუბოს კარით და წარსდგომა ღვთის სამსჯავროზე"...

**ჩვენი პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ არ მოუწევს ამა სოფლით განსვლა და ღვთის სამსჯავროზე წარდგომა. მას საქმეებში რამდენიმეჯერ მოვკარით თვალი, მაგრამ, ალბათ, ბუნებით ათეისტია და ხალხის თვალის ასახვევად დადის ტაძარში, თორემ გაუგებარია, როგორ უთავსებს ერთმანეთს ფსალმუნებსა და თავის მკრეხელურ აზრებს. ქვეყნის სათავეში კაცი „ტანჯვის ქვეყნიდან" უნდა მოვიდეს, ვინაიდან მას მილიონთა ბედი აბარია. საუბედუროდ, როგორც ვხედავთ, უმაღლეს ეშელონებში სალაღობოდ და თავიანთი მერკანტული მიზნების განსახორციელებლად მოდიან.**

ბევრი რამ გაუგებარი და ამოუხსნელი ხდება ჩვენ გარშემო. **ვინ იტყვის, რა კრიტერიუმით შეირჩნენ შეიარაღებული ძალების მინისტრისა და მისი მოადგილის პოსტებზე დედაკაცები? გენდერული თანასწორობის დაცვაზე ფიქრი აქ სრულიად უადგილოა. ღმერთმა მშვიდობაში გვაცხოვროს, მაგრამ, თუ ომი დაიწყო, საკითხავია, რა ცოდნა-გამოცდილებით წარმართავენ საომარ მოქმედებებს ეს ლამაზმანები. ფუი ეშმაკს და, ტყვედ რომ ჩავარდნენ, ხომ მოგვეჭრა თავი ქართველებს?!**

პოლიტიკოსები ხშირად ახსენებენ **„მეგობარ ქვეყნებს"**. მაგრამ განა **ოდესმე ჰყოლია საქართველოს მეგობარი ქვეყანა ან, საერთოდ, არსებობენ კი მეგობარი ქვეყნები?** შეიძლება სხვადასხვა სახელმწიფო რაღაც ინტერესებმა გააერთიანოს, მაგრამ, თუ ეს ინტერესები უინტერესო გახდა, ადვილი მოსალოდნელია, ისინი საომარ ვითარებაში აღმოჩნდნენ.

**ჩვენ მიერ შექმნილი „მეგობრები" ტყვიას არ გვესვრიან, ზოგჯერ გვიღიმიან კიდეც და სამათხოვროდ გაწვდილ ქუდში შეიძლება ხურდაც ჩაგვიყარონ, მაგრამ როგორ დავხუჭოთ თვალი იმაზე, რას ითხოვენ ამ მოწყალების სანაცვლოდ? მათ არ მოსწონთ ჩვენი ადათ-წესები. არ მოსწონთ, რომ ქალი ქალად მიგვაჩნია და კაცი — კაცად. არ მოსწონთ, რომ ვკრძალავთ ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. არ მოსწონთ, რომ მამათმავლობის აგიტაციის საშუალებას არ ვაძლევთ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ვდევნით, ღირსეულ მოქალაქეედ მაინც არ ვთვლით და ამიტომ თურმე მათ უფლებებს ვარღვევთ.**

შეერთებულ შტატებთან და ევროპულ ქვეყნებთან ერთად თურქეთიც „მეგობარი" გაგვიხდა; მე **მეშინია თურქების მეგობრობის, ვინაიდან არ მჯერა, რომ მან ხელი აიღო შავიზღვისპირეთისა და მთლიანად კავკასიის დაპყრობაზე.**

ორიოდე სიტყვა ჩვენს პატარა მეზობლებზეც უნდა ვთქვათ: **სომხეთი ხომ ჩვენი ისტორიული მეგობარია? ყოველ შემთხვევაში ასე გვასწავლიდნენ აქამდე. განა ამ „მეგობარმა" სომხეთმა არ წაგვართვა ლორე? განა აშკარად არ იბრძვის ჯავახეთის მიერთებაზე? სომხეთი არ გვედავება 365 ეკლესიას საქართველოში? სომხები არ იბრძოდნენ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ?..**

ახლა მეორე მეზობელზეც ვთქვათ: განა **აზერბაიჯანმა** არ წაგვართვა კახის, ზაქათალისა და ბელაქანის რაიონები? აზერბაიჯანელები არ გამოთქვამდნენ პრეტენზიას ბოლნის-მარნეულის რაიონებსა და რუსთავზე? როგორ გგონიათ, საქართველოში გამავალმა გაზსადენმა და ნავთობმა საბოლოოდ გადაჭრა ეს პრობლემა თუ დროებით მიაჩუმათა?

**რუსეთმა ჩამოგვაჭრა აფხაზეთი და სამაჩაბლო. ჩვენ ნატოს ჯარს ვუხმობთ ჩვენს მიწაზე და ამიტომ გვსჯის რუსეთი, ნატო კი ფეხს ითრევს. ამერიკელები გვეუბნებიან: ჩვენ ვცნობთ თქვენს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ თქვენი გულისთვის რუსებს ომს ვერ გამოვუცხადებთ და თქვენი საქმე თქვენვე მოაგვარეთო. პილატემ მაცხოვრის დასჯა რომ გადაწყვიტა, ხელები დაიბანა, აქაოდა, ბრალი მე არ მიმიძღვისო...**

ჩემი ღრმა რწმენით, ისე არ სურს რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული ძალების მოსვლა, რომ წინდახედული, ნიჭიერი და გონებადაუნჯებული დიპლომატების ხელში ეს შეიძლებოდა პოლიტიკური ვაჭრობის საგანი გამხდარიყო, მაგრამ ჩვენში ასეთი, სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა, გაორებული ბუნების, ცხელთავიანებისა და შიზოფრენიკების გარდა. შევარდნაძეს ჰქონდა გარკვეული გამოცდილება პოლიტიკური საქმიანობისა, მაგრამ მან ვერ შეძლო რუსეთთან მოლაპარაკება, ვინაიდან ორი ბატონის მსახური, საბოლოოდ, ორ პანღურს მიიღებს მხოლოდ. პოლიტიკური თამაშები დიდ ქვეყნებს გამოსდით, პატარა ქვეყნების თამაში კი საკუთარ კარში გატანილი ბურთით მთავრდება მუდამ. ცალკე რუსეთს ეფერებოდე და აქეთ ბუშის, ბეიკერისა და გენშერის შეკვეთებს ასრულებდე, რისი იმედი უნდა გქონდეს? **რაც დრო გადის, მით უფრო გვშორდება აფხაზეთი და სამაჩაბლო. ძველები დაბერდნენ** ▶

**ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, ქვეყანა გარედან იმართება და ადგილობრივი მთავრობა უცხო ქვეყნების ნების გამტარებელიაო. თითქოს ბევრს არ უნდა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაგრამ თანამდებობისა და პრივილეგიების დაკარგვის ეშინია. სიკეთეს, პატიოსნებას, ზნეობას არავინ აფინანსებს. ფულს ღალატის, გარყვნილებისა და გადაგვარებისთვის იძლევიან. სულგაყიდულ მთავრობას გაუტკბა ცოდვის პურის ჭამა და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**და ასპარეზზე გამოდის ახალი თაობა, რომელსაც საქართველოს შემადგენლობაში არ უცხოვრია.**

საქართველოში ისევ „გოდოს“ ელიან. როცა იქნება, მოვა „გოდო“ და ხელის ერთი დაკვრით გახსნის გორდიას ნასკვს. ნატო გვიგზავნის ჩექმებს, ჟილეტებს, კონსერვებს, იარაღს, მაგრამ თვითონ არ მოდის, — რუსეთის „ერიდება“.

**რუსეთში გამდიდრებულმა მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა, ქვეყნის სათავეებიდან მოეშორებინა ანტიქართული, პროამერიკული და პროდასავლური ძალები, მაგრამ ისევ უკან დააბრუნა (თუ დააბრუნებინეს) რესპუბლიკური პარტია, რომელიც არაფრით განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობისგან“. რუსეთში გამდიდრებული და შემდგომ საფრანგეთის მოქალაქეობამიღებული ივანიშვილიც შუაზე გაიყო და ორკუდიანი არსება აღმოჩნდა, რომელიც ერთი კუდით რუსეთშია დაბმული, მეორეთი — დასავლეთში.**

საგულისხმოა, რომ თავდაპირველად რუსეთმა ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ყაზბეგში უმაღლეს დონეზე შედგა ორი ქვეყნის პრეზიდენტთა (გამსახურდიასა და ელცინის) შეხვედრა და მთელ რიგ საკითხებზე მიაღწიეს შეთანხმებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველაფერი თავდაყირა დადგა. **ქართველები ვერ მორიგდნენ ერთმანეთში, ვერ გაიყვეს ქონება, უფლებები, თანამდებობები, ერთმანეთს დაერივნენ სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ახლა ამბობენ, ყველაფერი რუსეთის ბრალიაო, — ერთმანეთს იმან გადაგვკიდაო, დაპირისპირებულ მხარეებს იარაღი დაურიგაო. თუ უცხომ ჩვენივე ხელით დაგვანგრევინა ჩვენი ქვეყანა, არაფრის პრეტენზია არ უნდა გვქონდეს.** სხვას არ უნდა დავაბრალოთ ის ტრადიციული სენი, რომელიც შორეული წარსულიდან მოგვდგამს. **როცა ერთმანეთი გვძულს, როცა არ შეგვიძლია საერთო ენის გამონახვა და სახელმწიფოს ინტერესების პირად სურვილებზე მაღლა დაყენება, სხვისკენ ნუ გავიშვერთ თითს. თუ შენი ქვეყნის ორგული და დამქცევარი ხარ, სხვას როგორ ან რატომ უნდა მოსთხოვო ერთგულება?**

საბჭოთა კავშირის პერიოდში პასპორტში ეროვნება მეწერა. დამოუკიდებელი საქართველოს მიერ გაცემულ პირადობის მოწმობაში ეროვნება არ არის მითითებული. ეროვნების გასწვრივ სამი წერტილია დასმული. მამის სახელიც არ მიწერია. დანომრილი კი ვარ, მაგრამ არ ვიცი, ვინ ვარ.

პრესის ფურცლებიდან ვიგებთ, რომ საქართველოსკენ დაიძრა ებრაელ ინვესტორთა ლაშქარი, რომლის მიზანია, მცხეთა გახდეს მეორე იერუსალიმი და „ახალი ისრაელის“ დედაქალაქი. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ფაქტია, რომ საქართველოს სულიერმა მოძღვარმა, მისმა უწმინდესობამ — **ილია მეორემ** ისრაელის პრეზიდენტ **შიმონ პერესთან** შეხვედრისას განაცხადა: ქართველები და ებრაელები სისხლით მახლობლები ვართო. მიუხედავად ებრაელი ხალხისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, ებრაელთა შთამომავლად ვერ წარმომიდგენია თავი და, ქართველი თუ მართლაც ებრაელია, მირჩევნია ქუჯის წინარე ხანაში დავბრუნდე და მეგრელობას შევაფარო თავი.



**ჩვენი პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ არ მოუწევს ამა სოფლით განსვლა და ღვთის სამსჯავროზე წარდგომა. მას სამებაში რამდენიმეჯერ მოვკარით თვალი, მაგრამ, ალბათ, ბუნებით ათეისტია და ხალხის თვალის ასახვევად დადის ტაძარში, თორემ გაუგებარია, როგორ უთავსებს ერთმანეთს ფსალმუნებსა და თავის მკრეხელურ აზრებს. ქვეყნის სათავეში კაცი «ტანჯვის ქვეყნიდან» უნდა მოვიდეს, ვინაიდან მას მილიონთა ბედი აბარია. საუბედუროდ, როგორც ვხედავთ, უმაღლეს ეშელონებში სალაღობოდ და თავიანთი მერკანტული მიზნების განსახორციელებლად მოდიან**

რა დროება უდგას დღეს საქართველოს? უამრავი უბედურებიდან თვალში საცემია ჟამი საყოველთაო გარყვნილებისა. თურმე ქვეყნის პატრონობის თავი არ გვაქვს, მას ნაწილ-ნაწილ გვართმევენ. არც საკუთარი თავის რჩენის უნარი გაგვაჩნია — ან ვიპარავთ, ან ვმათხოვრობთ. თაღლითობით თავის გატანაც ლამის ჩვეულებად გვექცა. ბაზარში ზუსტად არავინ არაფერს აგიწონის, საკუთარი სასწორი უნდა დაგქონდეს; ყველში ქვას ჩაგიდებენ, ლობიოს მარცვლებში კენჭებს ჩაგიყრიან, ყავას სოიოს გემო დაჰკრავს, რძეში წყალს გაურევენ (ამას კიდევ არა უშავს, წყალი და რძე კაცს არ ავნებს) და ა.შ.

**არაფრის წარმოების თავი და სურვილი არ გვაქვს. ამ ხნის განმავლობაში 5-თეთრიანი ასანთის გამოშვებაც ვერ შევძელით. საკვირველია, როგორ მოვაღწიეთ აქამდე. ასეთი ქვეყნის შვილებს ახლა ევროპისკენ გზა გვეხსნება. წავალთ სხვის დაწყობილ ქვეყნებში, იქაური ყოფით მოვიხიბლებით და უკან არც კი მოვიხედავთ. თუ „მოვიხედეთ“, ჭკუის მასწავლებლად ჩამოვალთ და აქ დარჩენილებს ვეტყვით, პაპუასები ხართო.**

საომარი მოქმედებები განახლდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. აზერბაიჯანის უკან თურქეთი დგას, სომხეთს რუსეთის იმედი აქვს. ორივე ქვეყნის მაშველმა ძალებმა ყარაბაღამდე რომ მიაღწიონ, საქართველოს ტერიტორია უნდა გაიარონ. არავინ იცის, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა. არის კი მათ რიგებში ვინმე, ვინც რეალურად შეაფასებს მოსალოდნელ საფრთხეს და თავიდან აიცილებს მას? საეჭვოა, იქ ვინმეს მომავლის გონივრული განჭვრეტის თავი ჰქონდეს. **ახლა, წინასაარჩევნოდ, აღვირახსნილობაში ერთმანეთის მამხილებელი ვიდეოფირების მოპოვება-გამომზეურებით არიან დაკავებულნი და წყალდიდობას მაშინ შეამჩნევენ, როცა წყალი შინ შეუვარდებათ.**

ხალხი მომავლის იმედით ცხოვრობს. ქვეყანას რაც უნდა მძიმე პერიოდი ჰქონდეს, მაინც ფიქრობს, რომ ცუდი უკეთესობით შეიცვლება. თუ მამებმა ვერ შეძლეს სიძნელეების დაძლევა, შვილებმა უნდა შეძლონ. ყოველ შემთხვევაში სურვილი ასეთია და ამიტომაც არის ნათქვამი: ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ ჯობდეს მამასაო. ჩვენდა სამწუხაროდ, ახალგაზრდების გარკვეული ნაწილი ადვილად აჰყვა ცდუნებას, ვერ ამჟღავნებს იმ თვისებებს, რომლებიც ქვეყანას სამომავლოდ გამოადგება. არასწორია, ყველაფერი ძველი უვარგისად გამოაცხადო და მათგან არაფერი გამოიყენო. ამ პრინციპით რომ ეცხოვრათ თაობებს, ვერც ერთი ნაბიჯით წინ ვერ წაიწევდნენ და ღირებულს ვერაფერს შექმნიდნენ.

ამას წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებმა საპროტესტო მიტინგი გამართეს და საკუთარი მოთხოვნები წაუყენეს ხელმძღვანელობას. ჩვენი მიზანი არ არის მათი მოთხოვნების გაანალიზება და მტყუანმართლის გარჩევა. უბრალოდ, იმ ვნებათაღელვასა და პროტესტის გამოხატვის კულტურაზე მსურს ორიოდე სიტყვის თქმა. უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებს ტელევიზია აშუქებდა და **სრულიად საქართველომ ნახა ისევ ის, რასაც ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ხედავდა: აუდიტორიაში შეჭრა, ფანჯრიდან გადაძრომა, ერთმანეთის მხრებზე შედგომა, გინება, ზიზღი, მტრობა, გაწევ-გამოწევა... ეს ყველაფერი ცოდნის ისეთ ტაძარში, როგორიც უნივერსიტეტია, ძალზე დამაღონებელი იყო.** მათ რომ ვხედავდი, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები მახსენდებოდა, როცა **ზვიად გამსახურდია** სტუდენტებს ეწვია და გარკვეულმა ნაწილმა უდიერი საქციელით გამოიჩინა თავი. მას შემდეგ ნუთუ არაფერი შეიცვალა?! ნაკლოვანებების გამოსწორება აუცილებელია, მიტინგების გამართვა — დასაშვები, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს წესები და მოვალენი ვართ, ვიმოქმედოთ წესების ფარგლებში. ამას იმიტომ ვწერ, რომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ბევრი მიტინგი ვნახე, ხშირად სისხლიც ილვრებოდა ამ მიტინგებზე და ძალიან მინდა, მომავალი თაობა პროტესტის გამოხატვისას მამებზე უკეთ გამოიყურებოდეს.

**ხშირად მოისმენთ მოსაზრებას, ქვეყანა გარედან იმართება და ადგილობრივი მთავრობა უცხო ქვეყნების ნების გამტარებელიაო. თითქოს ბევრს არ უნდა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაგრამ თანამდებობისა და პრივილეგიების დაკარგვის ეშინია. სიკეთეს, პატიოსნებას, ზნეობას არავინ აფინანსებს. ფულს ღალატის, გარყვნილებისა და გადაგვარებისთვის იძლევიან. სულგაყიდულ მთავრობას გაუტკბა ცოდვის პურის ჭამა და მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს.**

ხალხში არსებობს ერთი უცენზურო ანდაზა: ზარმაცი და უსაქმური კაცი გართობის მიზნით „ერთ ადგილას“ მახათს იყრიდაო. ცხადია, ის კაცი ღატაკი იყო და გართობის სხვა საშუალება არ ჰქონდა, თორემ მახათის ჩხვლეტისგან რა სიამოვნება უნდა მიეღო?!

აი **მილიარდერი ივანიშვილი კი სხვაგვარად ერთობა. ამ წარმავალ წუთისოფელში დროის შეჩერებას ცდილობს და თავისთვის ედემის ბაღის მოწყობა გადაუწყვეტია. ოკეანიდან ამოაყვანინა ზვიგენი, ანტარქტიდიდან პინგვინი მოჰგვარეს, აფრიკიდან თუ ავსტრალიიდან — ჟირაფი, ზებრა და სხვა ჩლიქოსანი თუ ფრთოსანი (კიდევ კარგი, რომ დინოზავრები გადაშენდნენ). ივანიშვილს აკრძალული ხის ნაყოფი ადამთან ერთად კი აქვს ნაჭამი, მაგრამ, როგორც ჩანს, ღმერთს ამისთვის არ დაუსჯია, ვინაიდან ბოროტებისა და სიკეთის შეცნობის უნარები ერთმანეთში აერია.** ახლა უკვდავების ხეს ეძებს, იპოვა კიდეც და თავის მამულში გადაიტანა, მაგრამ დრო მაინც მიდის, ბატონო ბიძინა, და წასვლის ჟამი ყველასთვის ახლოვდება. იმქვეყნად კი არავის არაფერი წაუღია. ღმერთმა ქნას, იმ თქვენი მოწონებული ხესავით ორასი წელი იცოცხლოთ, მაგრამ მეორასე წლის შემდეგ ვერაფერს ჩაავლებთ ხელს, ვინაიდან წარსული სიზმარია. **ყველაზე დიდი სიმდიდრე გაკეთებული სიკეთეა, ხალხისთვის სიმართლის თქმა და არა მოტყუება. იქნებ კოჰაბიტაცია გგონიათ სიკეთე და შემწყნარებლობა? „ბილწს არ შეეკვრი ზავითა“-ო, — ბრძანა ვაჟა-ფშაველამ. მიუტევებენ იმას, ვისაც სინანულის განცდა გააჩნია. გველი პერანგს იცვლის და არა თვისებას.**

ნება თქვენია, **იცხოვრეთ ისე, როგორც გაგიხარდებათ, მაგრამ ნუ მართავთ ქვეყანას შუშის კოლბიდან. ნუ გაიხადეთ მთავრობა და პარლამენტი ნაზირ-ვეზირებად. დაუთმეთ ქართველ ხალხს საქართველო და მიეცით მას თავისი ნების გამოხატვის უფლება.**

არჩევნები კარგს მოგვადგა. ეს არჩევნები გადამწყვეტი იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. დაფაცურდნენ რბილ სავარძელს მიჩვეული კარიერისტები, დაიწყეს პარტიული სიების „გადახალისება“, გვარ-სახელების გადაჯგუფ-გადმოჯგუფება, მაგრამ ხალხმა იცის, რომ, ოთახის დაგვისას ნაგავს კი არ ჩხრეკენ, ყველაფერს ერთად აგროვებენ და გარეთ ყრიან.

ხალხი ფხიზლად უნდა იყოს და არ შეუწყოს ხელი არჩევნების გაყალბებას. კაცს როცა უჭირს, ადვილია მისი მოსყიდვა, მაგრამ ერთ ტომარა ფქვილზე და რამდენიმე კილოგრამ შაქარზე გაყიდული ხმა წინ უბედურებად შემოგვეყრება. ახლა საარჩევნო ყუთებთან გვაქვს დიდგორის ომი გადასატანი. თუ ხალხმა ამჯერადაც ვერ შეძლო მთავრობაში ერნოვნული ძალების მოყვანა, მაშინ მშვიდობით, საქართველოვ!

**გიორგი სიჭინავა,**
მწერალი

გესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დემოკრატიამ მთელ მსოფლიოში რომ გაიმარჯვოს, რა უნდა ქნას „უფლებადამცველთა“ მთელმა არმიამ?! მათ მხოლოდ ის იციან, რომ ამხილონ ტოტალიტარული რეჟიმების ბნელი ძალები. რა უნდა გააკეთონ ლიბერალურმა ჟურნალისტებმა? ვის დაჰკარგვიან, ვინ მოძებნის, ვის დასჭირდება? ვინ მისცემს პრემიებს მამხილებელი წერილების გამოქვეყნებისთვის? ეყოლებათ კი ვინმე სამხილებელი, როცა ყველა საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა ერთგული და ჰუმანიზმის თავგადაკლული მომხრე იქნება? რით დაკავდება ევროკომისართა მუქთახორა ნახირი, როცა ყველა მათსავით ერთი აზრის მომხრე და მქადაგებელი გახდება?**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-13 (330-342)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზი$ი: როგორ კეთდება?

## რატომ ვერასოდეს გაიმარჯვებს დემოკრატია მსოფლიოში?

*თუ ყოველთვის მხოლოდ შენ ილაპარაკებ, ყოველთვის მართალი იქნები.*

*ონორე დე ბალზაკი*

საშინლად უსიამოვნო რამ არის ფული. რატომ? იმიტომ, რომ ყველას სჭირდება: თავისუფლებისთვის მებრძოლებსაც და უფლებადამცველებსაც, ჟურნალისტებსაც, მოსამართლეებსაც და ადვოკატებსაც კი. ეს სამწუხარო ფაქტი არღვევს იდილიას. ზოგჯერ უყურებ და უსმენ ტელეეკრანიდან მოსაუბრე სათნო სახის პოლიტოლოგს ან ჩვენი უფლებებისთვის თავგამოდებულ ფუმფულა მებრძოლს: საუბრობს კარგად, დამაჯერებლად და გიჩნდება მუხანათური შეკითხვა: სად და ვისგან იღებს ფულს ეს ყოვლად ღირსეული ადამიანი? ფულის ნიშნების მიღების ბანალური სურვილით ხომ არ არის განპირობებული მისი პათოსი და ძალა მამხილებელი? და მყისვე იცრიცება მებრძოლის ათინათი, შარავანდი მის თავზე ქრება.

**ფული შლის და ბილწავს ყველაფერს.**

სასიამოვნო და იოლია ისეთ სამყაროში ცხოვრება, რომელშიც ყველაფერი აწყობილი და იოლად გასაგებია! არსებობს ამქვეყნად სიკეთის ძალები — დასავლეთში, ცხადია. იმპერიაც არის სიკეთის, რა თქმა უნდა, ამერიკის შეერთებული შტატებით წარმოდგენილი. **ამ, სიკეთით სავსე ქვეყანას, რომელიც მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვაზე ზრუნავს და მხოლოდ ამითაა შეწუხებული, უამრავი მეგობარი ქვეყანაც ჰყავს — ყველა ზრდილი, პოლიტკორექტული და ერთი სურვილით გამსჭვალული — დედამიწაზე ყველა ადამიანმა უნდა იცხოვროს მშვიდობიან გარემოში, შეძლებულად და ბედნიერად.**

ამიტომ არის, რომ **ყველას, ვისაც არ სურს, იცოცხლოს მშვიდობიან გარემოში, შეძლებულად და ბედნიერად, სიკეთის იმპერია და მისი მეგობრები ბომბავენ მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღარ იყვნენ ცუდები და ბოლოს კარგები გახდნენ, იცხოვრონ მშვიდობიანად, შეძლებულად და ბედნიერად.**

ყველაფერი მარტივი და გასაგებია. დაფიქრება საჭირო არ არის, გაანალიზებაც არ არის საჭირო, მაგრამ როგორ გავარჩიოთ კარგი და ცუდი? საქმე რომ არ გართულდეს, ცუდებს დამოუკიდებელი ტელევიზიებით აჩვენებენ და იტყვიან, რომ საზიზღრები არიან. მათზე მოუთხრობენ თავისუფალი გაზეთები, სრულიად დამოუკიდებელი რადიო და მავანთა მიერ დაუფინანსებელი პრიალა ჟურნალები. დასავლელი ობივატელი უპრობლემოდ გაერკვევა, ვინ არის ცუდი: ყველაფერს აჩვენებენ, ყველაფერს აუხსნიან. კრიტერიუმიც კარგი აქვთ მოგონილი: ცუდ სახელმწიფოებში დემოკრატია არ არის ან ცოტაა, ან — არასაკმარისი. და რადგან ეს სახელმწიფოები ცუდია, მაშინ პასუხი შეკითხვაზე — ვინ სჩადის ყველაფერ საშინელს, რაც ჩვენს პლანეტაზე ხდება, თავისთავად გაცხადდება: თავიდათავი ყველა უბედურებისა ცუდი ქვეყნებია.

**როცა ძველი შტამპები გახუნდება, გაზეთებსა და ტელეეკრანებზე ჩნდება ახლები, რომლებიც თვით იმ დასავლელი პოლიტიკოსებისთვისაც გაუგებარია... პასუხი არ აქვთ, როგორც ნატოს გენერალურ მდივანს, რომელსაც ჰკითხეს, მაგალითად, რას ნიშნავს მეობა(არსობა)დაკარგული ქვეყნები, კლიშე, რომელსაც ხშირად იყენებენ მათთვის არასასურველი ქვეყნების დასახასიათებლად, მან არათუ ვერ განმარტა, რას გულისხმობს ეს ახალგამომცხვარი შტამპი და საიდან მოდის ასეთი „სიტყვამოსწრებულობა“, არამედ თავის დაძვრენა (როგორც ამგვარ სიტუაციაში სჩვევიათ ხოლმე) შეკითხვის შებრუნებით სცადა: „... ჩვენ ვხედავთ, რაც ჩრდილოეთ კორეაში ხდება, სარაკეტო ტექნოლოგიის განვითარების მოწმენი ვართ, მაგრამ მინდა განმიმარტონ, აქვს თუ არა რუსეთს იმის შეგრძნება, რომ ეს საშიშია, მე უნდა გავითვალისწინო ეს შეგრძნება. მაგრამ ვერავინ ამიხსნა, რით ემუქრება რუსეთს პოლონეთში ათი არაბირთვული რაკეტის განლაგება?“**

ნატოს გენერალურ მდივანს ეკითხებიან, — როგორ არკვევთ, ვინ არის თქვენი მტერი, როგორ ამჩნევთ მისი მხრიდან მოსალოდნელ საფრთხესო, ის კი — ფხენიანში რა ხდება, ამიხსენითო.

**ბრმა ყრუს ელაპარაკებოდაო, ამაზეა ნათქვამი.**

დასავლეთის გაზეთების გვერდებიდან და „მათი“ ტელეეკრანებიდან კი იღვრება და იღვრება ძველი ზღაპარი ახალ ხმოვანებაზე აწყობილი ბოროტი გობლინების შესახებ, რომლებიც მხოლოდ ხელს გვიშლიან. და რადგან ასეა, უნდა დაიბომბონ და დაიბომბონ იქამდე, სანამ ბოროტი, ტოტალიტარული გობლინები სასწაულებრივ კეთილ, დემოკრატიულ ელფებად არ გადაიქცევიან. ხოლო როცა ბოლო ცუდ ქვეყანაში გაიმარჯვებს კარგი დემოკრატია, კაცობრიობას ოქროს ხანა დაუდგება.

დემოკრატია სრულიად მსოფლიოში უეჭველად გაიმარჯვებს — უსაყვარლესი მისამღერია ამ მოყირჭებული სიმღერის. მღერიან ქოროთი და სოლოდ. ისე, რომ არც დაუფიქრდებიან ჭეშმარიტებას — ფიზიკურად შეუძლია კი 6-7 მილიარდ მოსახლეს ჩვენი პლანეტისა, იცხოვროს თანამედროვე დასავლელი მომხმარებლის უმაღლესი სტანდარტების დონეზე? პლანეტა ვერ გაუძლებს, არ აქვს ისეთი ოდენობის მარაგი, რომ ყველა ადამიანმა სამ წელიწადში ერთხელ ახალი ავტომანქანა იყიდოს და სამ თვეში ახალი ფიჭური ტელეფონი შეიძინოს.




**დემოკრატიას არ შეუძლია მთელ მსოფლიოში გამარჯვება. მეტიც — დემოკრატიამ არ უნდა გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში, არავითარ შემთხვევაში! თორემ ყველასთვის აშკარა გახდება, რომ იგი არც აშშ-ის, არც მისი მეგობრების მიზანი არ არის. პირიქით, იგი არის საშუალება საკუთარი უღრუბლო ცხოვრების შესაქმნელად დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე. მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვებაზე უარესი დასავლეთისთვის არაფერია**

მაშ, რა გამოდის? **დემოკრატია ყველგან გაიმარჯვებს, მაგრამ ყველგან ერთნაირად კარგად ცხოვრებას ახდენა არ უწერია?! და მაშინ ყველასთვის ნათელი გახდება, რომ საზოგადოებრივ წყობილებას ცხოვრების დონესთან საერთო არაფერი აქვს? დემოკრატია იქნება ყველასთვის, კარგად ცხოვრება კი შეეძლება მხოლოდ მათ, ვინც აკონტროლებს ნავთობის, გაზის საბადოებს და სხვა ბუნებრივ რესურსებს.** ეს ამჟამადაც თვალში საცემია. არის უამრავი დემოკრატიული სახელმწიფო, რომლებიც მთელ „ცივილიზებულ“ მსოფლიოს ასეთად მიაჩნია. აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აზიაში კი სასარგებლო წიაღისეული არ აქვთ, ან სხვა სახელმწიფოები აკონტროლებენ და ამიტომ ამ ქვეყნის მოქალაქენი არ შედიან ე.წ. ოქროს მილიარდში. დემოკრატია თითქოს არის, კეთილდღეობა კი ვერა და ვერ დამდგარა. თუკი სადმე მაინც არსებობს ერთეული გამონაკლისი, მისი შემჩნევა აუცილებელი არაა. უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება ავხსნათ მსოფლიო ბოროტებასთან ბრძოლის სირთულით.

**როცა დემოკრატია ყველგან დამყარდება, მაშინ მსოფლიოსთვის აშკარა შეიქნება, რომ კარგი ცხოვრების გათანაბრება პარტიების რაოდენობასთან ერთი დიდი ტყუილია.**

**ათწლეულების განმავლობაში პოლიტოლოგებისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ნასყიდი აგენტების ურდოები ჩასჩიჩინებდნენ მილიონობით ადამიანს, რომ მხოლოდ დემოკრატიის გამარჯვებით მოიპოვება აყვავება და კეთილდღეობა... და გაიმარჯვა დემოკრატიამ. მაგრამ კარგად უწინდებურად კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და იაპონიაში ცხოვრობენ, ცუდად — მოზამბიკში, ვიეტნამსა და კოლუმბიაში.**

რით ავხსნათ ასეთი უცნაურობა?!

მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი რომ იყოთ, საჯაროდ გამოაცხადებდით, რომ მეფე შიშველია? გამოიყვანდით ქუჩაში ყველას დასანახავად?

არა, ამას არ გააკეთებდით. მისი უდიდებულესობა, იტყოდით თქვენ, ძალიან დაკავებულია და ამიტომ არ შეუძლია, წარდგეს ხალხის წინაშე. დემოკრატიისთვის იბრძვის, გულმოწყალე, და თავისუფალი დრო არ აქვს.

დასკვნა: **დემოკრატიას არ შეუძლია მთელ მსოფლიოში გამარჯვება. მეტიც — დემოკრატიამ არ უნდა გაიმარჯვოს მთელ მსოფლიოში, არავითარ შემთხვევაში!**

**თორემ ყველასთვის აშკარა გახდება, რომ იგი არც აშშ-ის, არც მისი მეგობრების მიზანი არ არის. პირიქით, იგი არის საშუალება საკუთარი უღრუბლო ცხოვრების შესაქმნელად დანარჩენი მსოფლიოს ხარჯზე. მსოფლიოში დემოკრატიის გამარჯვებაზე უარესი დასავლეთისთვის არაფერია.** ამიტომ იგი (დასავლეთი), ვინც დემოკრატიის დროშას აფრიალებს, ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რათა მან (დემოკრატიამ) არასოდეს გაიმარჯვოს, რათა მსოფლიოში ყოველთვის იყვნენ ბნელი ძალები, რომლებიც დროებით სიძნელეებს ქმნიან კაცობრიობის საყოველთაო დემოკრატიაზე გადასვლის გზაზე.

მოძრაობა ყველაფერია, მიზანი — არაფერი. **დემოკრატიისკენ მარადიული მოძრაობა უზრუნველყოფს ანგლოსაქსებისა და მათი დამქაშების მარადიულ დომინირებას პლანეტაზე, მათი ცხოვრების მუდმივად მაღალ დონეს.** სასიამოვნო და საპატიოა, როცა მთელი ცხოვრება დემოკრატიის გამარჯვებისთვის იბრძვი, იღებ ხელფასს მყარი ვალუტით და მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, რომელიც ამ ბრძოლას შეალიე, გაისეირნებ ბრიუსელის მყუდრო ქუჩაბანდებში, ან ბარბექიუს შეიწვავ სადმე, ლოს ანჯელესის სანახებში. ცოტა უფრო ნაკლებ სიამოვნებას მიიღებ, როცა თანამედროვეობის მოწინავე ადამიანად მიგიჩნევენ, საკუთარი ქალაქის ძალად გაევროპებულ ქუჩებს დაადგები, მიხვალ ამერიკის საელჩოში ან საკონსულოში, სადაც პრემიას გადმოგცემენ, დიპლომს, საზეიმოდ და მხარზე ხელს მოგითათუნებენ, — ყოჩაღ, ბიჭო!

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ, **დემოკრატიამ მთელ მსოფლიოში რომ გაიმარჯვოს, რა უნდა ქნას „უფლებადამცველთა“ მთელმა არმიამ?! მათ მხოლოდ ის იციან, რომ ამხილონ ტოტალიტარული რეჟიმების ბნელი ძალები. რა უნდა გააკეთონ ლიბერალურმა ჟურნალისტებმა? ვის დაჰკარგვიან, ვინ მოძებნის, ვის დასჭირდება? ვინ მისცემს პრემიებს მამხილებელი წერილების გამოქვეყნებისთვის? ეყოლებათ კი ვინმე სამხილებელი, როცა ყველა საერთო-საკაცობრიო ფასეულობათა ერთგული და ჰუმანიზმის თავგადაკლული მომხრე იქნება? რით დაკავდება ევროკომისართა მუქთახორა ნახირი, როცა ყველა მათსავით ერთი აზრის მომხრე და მქადაგებელი გახდება?**

**რაც გნებავთ, ისა თქვით, მაგრამ დემოკრატიის სრული გამარჯვება ყველა „დემოკრატს“ კატასტროფად შემოუბრუნდება.**

მაგრამ სანამ მსოფლიო დემოკრატიისთვის იბრძვის, ისინი („დემოკრატები“) იღებენ გადაწყვეტილებას, ვინ დაბომბონ, ვინ დააჯილდოვონ და უდიდეს დემოკ- ▶

# 1994-დან 2001 წლამდე „ჰუმან რაითს ვოჩმა“ 172 განცხადება გააკეთა ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებში. 117 განცხადება რუსეთს ეხებოდა. ამავე პერიოდში უკრაინაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ვერც ერთი ფაქტი ვერ აღმოუჩენია დაკვირვებულ „ჰუმანს“. საკითხავია, თუ ყველაფერი ასე კარგად იყო უკრაინაში, რატომ მოხდა „ნარინჯისფერი რევოლუცია“? აშშ-ის სატელიტები „ჰუმან რაითს ვოჩის“ კრიტიკის მიღმა რჩებიან.

ბესტსელერი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რატად ალაზევონ. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, სინამდვილეში რაც ხდება. მთავარია მხოლოდ შეფასება. სააკაშვილმა სისხლით მორწყა სამხრეთ ოსეთი, დახოცა ადამიანები. ვინ არის ამ გვარის კაცი? სუვერენული დემოკრატიის პრეზიდენტი, რომელმაც თურმე შეცდომა დაუშვა. სასამართლოს მას არავინ არასოდეს გადასცემს, რადგან ჰალსტუხების გემოს მოყვარულმა მიშამ კი არ გადაწყვიტა კავკასიაში წამოეწყო ომი. მას უბრძანეს, მაშასადამე, ბრძანების შესრულების შემდეგ გადაეფარებიან... ასეც მოხდა **(ჩვენი მკითხველებისთვის ცნობილია, თუ როგორ პარპაშებს ამერიკელი პატრონების მიერ მხარდაჭერილი, ოდესის გუბერნატორი მიხაილ ნიკოლაევიჩი უკრაინაში).**

ბელარუსის პრეზიდენტ **ალექსანდრე ლუკაშენკოს** კი „თავისუფალი პრესა“ ყოველთვის დიქტატორად მოიხსენიებს. რატომ? არჩევნები ისე არ ჩაატარა და იმიტომ. ვინმე მოკლა? — არა, არავინ მოუკლავს. პარადოქსია: კაცისმკვლელი კარგია, ის, ვისაც არავისზე ხელი არ აღუმართავს — ცუდი. ნუ გაიკვირვებთ: **ყველაფერი შეფასების კრიტერიუმზეა დამოკიდებული, ხოლო მთელი შემფასებლური მოღვაწეობა ჩვენთან დასავლეთის ხელშია თავმოყრილი.**

დააკვირდით, ვინ აფასებს რა მდგომარეობა მსოფლიოში თავისუფლების უზრუნველყოფის კუთხით? — ნაირნაირი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სად არის განთავსებული მათი სათავო ოფისები? იქ და მხოლოდ იქ.

**„საერთაშორისო ამნისტია“** — არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია, იბრძვის ადამიანის უფლებათა დასაცავად მთელ მსოფლიოში. დაარსებულია დიდ ბრიტანეთში 1961 წელს, შტაბ-ბინაც იქვეა. მისი ეროვნული სექციები 56 ქვეყანაში მოქმედებს და მილიონზე მეტ წევრს ითვლის. უმეტესობა მოხალისეა, იდეას ემსახურება, უმცირესობა — ფულს. მხოლოდ ერთ შტაბ-ბინაში 500 კაცამდე მუშაობს. ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. სწორედ ეს არის მისი არსებობის ძირითადი მიზანი, რომელსაც იქაური ხელმძღვანელობა გულუბრყვილო ენთუზიასტებს არ უმხელს. **ანგარიშში, როგორც წესი, ჩამოთვლილია, მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მაგრამ მთავარ ბოროტმოქმედებად დასახელებულია... აბა, გამოიცანით, ვინ? დიახ, აშშ-ისა და მისი მეგობრების მთავარი გეოპოლიტიკური მოწინაალმდეგენი. იქ, სადაც ხელისუფლება ვაშინგტონს არ დაუწვა, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება. საშინელება ხდება ჩინეთში, ვენესუელაში, ირანში. კატასტროფის წინაშეა რუსეთი, ბელარუსი, სირია; ნორმალური მდგომარეობაა ერაყში, უკრაინაში, არაფერი რომ არ ვთქვათ, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე.**

ვინ აფინანსებს ამ ორგანიზაციას? საიდან აქვს ფული? შემოწირულობათა წყალობით სულდგმულობსო, — გვიპასუხებენ. ნებაყოფლობით გაცემული დოლარები მოედინებოდა ჩეჩნეთში მოთარეშეთა, დაღესტანში კი ვაჰაბიტების დასაფინანსებლად. ვინ აძლევს „ამნისტიის“ ბიჭებს მილიონობით დოლარს? ფილანტროპები?

ვინ აფინანსებს „ტრანსფერენსი ინტერნეიშენლს“ — ამ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მსოფლიოს ყველა მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს საქმიანობას ეწევა? იცავს ბავშვებს შიმშილობისგან? სექსუალურ მონობაში მოხვედრილ გოგონებს გამოჰგლეჯს მაფიას? ყიდულობს სამკურნალო საშუალებებს აივ-ინფექციით დაავადებული ადამიანებისთვის? რისთვის ხარჯავს მილიონობით დოლარს, ინკოგნიტო შემომწირველთა მიერ უშურველად გაღებულს?

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა კაცობრიობის წინაშე არ დგას. ამისთვის ხარჯავენ მაღალ ხელფასებს. როგორ ებრძვიან კორუფციას?

„მოქალაქეთა ანტიკორუფციული მსოფლმხედველობისა და სამართალშეგნების ჩამოყალიბება, გამჭვირვალობის ინსტიტუციონალიზაცია, კორუფციის თავიდან აცილება ანტიკორუფციული მექანიზმების ქმედუნარიანობის უზრუნველყოფის გზით“, — ჩაწერილია მათ კატეხიზმოში.

გაიგეთ რამე? არა? კეთილი და პატიოსანი. მთავარი სხვა რამეა. ფულს არ იშურებენ არა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის“ წარმატებით წარმართვისთვის, არამედ მსოფლიოში კორუფციის რეიტინგის დასადგენად. ეს რეიტინგი არის საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის საშუალება მთელი რიგი ქვეყნების მიმართ, ხალხთა შორის ურთიერთობის ჩამოსაყალიბებლად. **უწინ ადამიანებს განასხვავებდნენ კანის ფერითა და თავის ქალის ფორმით, ამჟამად — ქრთამის აღებისა და პარტიების რაოდენობის მიხედვით მათ ქვეყანაში.**

და კვლავ მოწმენი ვხდებით იმისა, რომ, „დამოუკიდებელი“ რეიტინგების მიხედვით, მაინცდამაინც აშშ-ისა და დასავლეთის მოწინააღმდეგეები პირველობენ, როგორც სანიმუშო ცუდები. სწორედ ამ საჭირო საქმით არიან დაკავებულნი „ტრანსფერენსი ინტერნეიშენლის“ მიუკერძოებელი თანამშრომლები, რომლის დამფუძნებელ უბრალო ადამიანს მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევდა მსოფლიოში ფეხმოკიდებული კორუფცია. ვინ იყო ეს დონ კიხოტი? მსოფლიო ბანკის ყოფილი დირექტორი **პეტრე აიგენი...**

ეგებ სწორედ ეს არის სამწუხარო ჭეშმარიტება? მაგრამ ნუ იჩქარებთ, ირწმუნოთ იგი. „ტრანსფერენსი ინტერნეიშენლის“ ბიჭები მუქთა პურს არ ჭამენ: კორუფცირებულთა რეიტინგის მოწინავე ქვეყნებს შორის მხოლოდ იმ სახელმწიფოებს ასახელებენ, რომლებიც ამერიკელ პატრონებს თვალში არ მოსდით. სიცრუეს ვერ დაუმტკიცებთ. შეუძლებელია, რადგან მათ მიერ შესწავლილ საგანს ვერც ხელით შეეხები, ვერც ვერანაირი ხელსაწყოთი გაზომავ. კორუფციის დონე და ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხი, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, აბსოლუტურული ხასიათისაა. მას (ამ დონეს) ასე ზომავენ: **„...მეწარმეთა, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, ანალიტიკოსებისა და სხვათა გამოკითხვის საფუძველზე, რომელშიც ისინი გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ ქვეყნის კორუფცირებულობაზე ათბალიანი შკალით, სადაც ნული უდრის კორუფციის უმაღლეს დონეს“.**

მსოფლიო პოლიტიკურ მინდორზე მატჩი მიმდინარეობს. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ფეხებში ურტყამენ, კბილებით გლეჯენ, ძვლებს ამტვრევენ. ყველაფერი ისეა, როგორც პოლიტიკური საფეხბურთო მატჩის დროს ხდება ხოლმე. აქ სხვანაირად არასოდეს უთამაშიათ, მაგრამ მსაჯი რატომღაც მხოლოდ ერთი გუნდის დარღვევებს ამჩნევს. ბარათებს მხოლოდ ერთი გუნდის წევრებს უჩვენებს და საჯარიმო დარტყმებს მაინცდამაინც მათი კარის მიმართულებით ნიშნავს. ყველა შეკითხვაზე ერთი პასუხი აქვს: მსაჯი მე ვარ, მე უკეთ ვხედავ...

**თუ გსურთ პოლიტიკური საფეხბურთო მატჩის მოგება, მსაჯად თქვენი კაცი დააყენეთ.**

საიდან აქვს ფული „ტრანსფერენსი ინტერნეიშენლს“? შედით მის საიტზე, ნახეთ. შემოგთავაზებენ, შეიყვანოთ თქვენი საკრედიტო ბარათის ნომერი და შეეწიოთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კეთილშობილ საქმეს. გსურთ, დაეხმაროთ? კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ მათი ბრძოლის პრინციპები...

**იმის დაჯერება, რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია უბრალო ადამიანების შემოწირულობებით სულდგმულობს, ისეთივე სისულელეა, როგორც ირწმუნო, თითქოს ლენინმა და ტროცკიმ რუსეთის იმპერიაში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალება პარტიული გადასახადებით მოახდინეს, ნაპოლეონი ევროპას პარიზის სანკიულოტების ფულით ეომებოდა, ხოლო ჰიტლერმა მოსკოვამდე და კაირომდე გერმანელი დიასახლისების მიერ ბოძებული საჩუქრების წყალობით მიაღწია.**

ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

**„ჰუმან რაითს ვოჩი“** — როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ეს ორგანიზაცია თვალს ადევნებს ადამიანის უფლებათა დაცვას მსოფლიოში. თავისი ოფისები მსოფლიოს 10 ქვეყანაში აქვს. შტატში 180-ზე მეტი კაცი ჰყავს, ყოველწლიური ბიუჯეტი კი 21 მილიონი დოლარია და ყველა თანამშრომელი სულაც არ არის სუსტი და უწყინარი ფილანტროპი ჩიაკაცი. ისინი, ძვირფასო მკითხველო, საკმაოდ ძლიერი გამტარებლები არიან ჩვენ წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა. არ გჯერათ? გაიხსენეთ 08.08.08 — ომი სამხრეთ ოსეთში, რომელსაც „რაითსვოჩისტები“ ფართო თვალებით ადევნებდნენ თვალს და საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში ყოფნის ანგარიშში წერდნენ, რომ „დაღუპულთა შესახებ ოფიციალური მონაცემები დიდად არის გადაჭარბებული“, რომ დაღუპულთა რაოდენობა მხოლოდ 40-ია.

**ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც რეალობას განსაზღვრავს საგაზეთო წერილი და ტელეკადრი. არ არის სურათი — არ არის მოვლენა. გაზეთებს არ დაუწერიათ? მაშასადამე, არც არაფერი მომხდარა. ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ თქვენ და თქვენი შვილები მოქალაქეებმა დაგხოცეს, ხოლო თქვენი უფლებების თვითმარქვია დამცველებმა ვერაფერი შეამჩნიეს.** ვერ ხედავენ. ან, თითქმის ისე, როგორც **არკადი რაიკინი** ამბობდა: „იგი მშვიდია და წყნარი. ასაღელვებელი არაფერია. ერთორს ყელს გამოჭრის და დამშვიდდება“. რადგან შეფასების კრიტერიუმი მათ ხელშია, მაშასადამე, თქვენ არავის მოუკლავხართ. მოგეჩვენათ...

ბევრი საინტერესო რამის დაწერა შეიძლება „ჰუმან რაითს ვოჩზე“. იქაურთა ჟუჟუნა თვალების მზერა საოცრად გაბეცდება, როცა პატრონებისგან მიიღებენ შესაბამის ინსტრუქციას. კაცმა რომ თქვას, უფლებადამცველებს შეცდომით მოვიხსენიებთ ამ ღირსეული და პატივსაცემი სახელწოდებით. ისინი, უფლებადამცველები კი არა, ნამდვილი რევოლუციონერები არიან. ეგაა, რომ მათი დღევანდელი მეთოდები წინამორბედებისგან განსხვავებულია — ლაპარაკია ესერებზე (სოციალ-რევოლუციონერებზე), ბოლშევიკებსა და ნაროდოვოლცებზე (პარტია „ნაროდნაია ვოლია“). ისინი აფეთქებდნენ ბომბებს და აწყობდნენ გაფიცვებს, ისწრაფვოდნენ თავიანთი სამშობლოს დასანგრევად, „ხალხთა საპყრობილის“ დასამხობად. **მათ თავიანთი ქვეყანა ძველ რევოლუციონერებზე არანაკლებ სძულთ, და ყველაფერს, რაც კი ხელეწიფებათ, აკეთებენ მის დასაქცევად: წერენ, აწყობენ მიტინგებს, მოუწოდებენ, აანალიზებენ, გასცემენ რეკომენდაციებს, გმობენ, ყურადღებას მიიქცევენ, აღშფოთდებიან. მათ შორის, რასაკვირველია, არიან იდეალისტებიც, რომლებიც ვერ იგებენ, ვინ გამოიყენებს მათ სიყვარულსა და მიდრეკილებას ლამაზი, აუსრულებელი ლოზუნგების მიმართ. ასეთები შეიძლება შეგვეცოდოს. ისინი უმრავლესნი არიან. უმცირესობა კი კარგად არის გარკვეული, რისთვის, უფრო ზუსტად კი, რა ფასად მუშაობენ ადამიანის უფლებათა დამცველებად.**

**„ჰუმანისტებმა“ დაუდეს სათავე იუგოსლავიის გახლეჩა-დანაწევრებას. 1993 წლის 1 აგვისტოს „ჰუმან რაითს ვოჩმა“ გამოაქვეყნა „ანგარიში“ ვითომდა იუგოსლავი სამხედრო მოსამსახურეების მიერ 1991 წლის 20 ნოემბერს 260 დატყვევებული ხორვატების დახვრეტის შესახებ. სწორედ „ჰუმან რაითს ვოჩი“ გამოვიდა (1992 წელს) ე.წ. ტრიბუნალების შექმნის ინიციატორად „დაუმორჩილებელ“ სახელმწიფოთა, უწინარეს ყოვლისა, იუგოსლავიისა და სერბეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელების — კარაჯიჩისა და მილოშევიჩის გასასამართლებლად. გაეროს წესდების დარღვევით, 1993 წლის თებერვალში შეიქმნა ასეთი საერთაშორისო ტრიბუნალი „ყოფილი“ იუგოსლავიის საკითხების განხილვის მიზნით. გახსოვთ, ვინ გაასამართლა ამ ტრიბუნალმა? მხოლოდ სერბები.** ხორვატებსა და ბოსნიელებს ან საერთოდ არ ასამართლებენ, ან ამართლებენ. ცნობილმა **კარლა დელ პონტემ**, პროკურორმა, გამოსცა წიგნი, რომელშიც მოგვითხრო, რომ ასობით სერბი დახოცეს ალბანელებმა, მათი ორგანოები კი გამოიყენეს მდიდარი ევროპელებისთვის გადასანერგად. შედეგი რა მოჰყვა ამ არაადამიანურ ქმედებას? სად იყო ტრიბუნალი? სად იყვნენ უფლებადამცველები? არაფერი იცოდნენ, არაფერი დაუნახავთ? აი, სერბებს ალბანელები რომ მოეკლათ, იმწამსვე აყვირდებოდნენ.

**ეს, სიმართლისთვის თავდადებული მოღვაწენი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, თითქოს მაინცდამაინც მათი ხმა არის მსოფლიო საზოგადოების აღშფოთების გამომხატველი. ძალისმიერი მოქმედების საბაბს ჰქმნიან, დაბომბვასა და თავდასხმას ამართლებენ. ერაყზე შეტევის წინა დღეს გამოაქვეყნეს ათი წლისწინანდელი დოკუმენტები სადამის დანაშაულებზე, ბელგრადის დაბომბვამდე ევროპული გაზეთები აავსეს სერბული „საშინელებებით“, რომლებიც უმეტესად მოგონილი ან თითიდან გამოწოვილი იყო. როცა საჭირო ხდება, „ჰუმან რაითს ვოჩი“ აგრესიის არა მხოლოდ საბაბს აწვდის, არამედ ითხოვს კიდეც „ღონისძიებათა განხორციელებას“.** თავის განცხადებებსა და მიმართვებში აშშ-ის პრეზიდენტისა და კონგრესისადმი ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა მოითხოვდა იუგოსლავიის, ინდონეზიის, მაკედონიის, რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, პოლიციური და სამხედრო სანქციების გამოყენებასაც კი.

ვინ არის მათი კრიტიკის მთავარი მიზანი? პირუთვნელი სტატისტიკა გვიპასუხებს ამ კითხვაზე: **1994-დან 2001 წლამდე „ჰუმან რაითს ვოჩმა“ 172 განცხადება გააკეთა ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ სსრკ-ის ყოფილ რესპუბლიკებში. 117 განცხადება რუსეთს ეხებოდა. ამავე პერიოდში უკრაინაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ვერც ერთი ფაქტი ვერ აღმოუჩენია დაკვირვებულ „ჰუმანს“. საკითხავია, თუ ყველაფერი ასე კარგად იყო უკრაინაში, რატომ მოხდა „ნარინჯისფერი რევოლუცია“?**

**აშშ-ის სატელიტები „ჰუმან რაითს ვოჩის“ კრიტიკის მიღმა რჩებიან.**

თემას „საქართველო და მსოფლიოს“ მომდევნო ნომერში განვავრცობთ.

(გაგრძელება იქნება)




**კარლა დელ პონტემ, პროკურორმა, გამოსცა წიგნი, რომელშიც მოგვითხრო, რომ ასობით სერბი დახოცეს ალბანელებმა, მათი ორგანოები კი გამოიყენეს მდიდარი ევროპელებისთვის გადასანერგად. შედეგი რა მოჰყვა ამ არაადამიანურ ქმედებას? სად იყო ტრიბუნალი? სად იყვნენ უფლებადამცველები? არაფერი იცოდნენ, არაფერი დაუნახავთ? აი, სერბებს ალბანელები რომ მოეკლათ, იმწამსვე აყვირდებოდნენ**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჰოკინგი და სხვა მეცნიერები შიშობენ, რომ შესაძლოა, უცხოპლანეტელებმა სცადონ დედამიწის რესურსების გამოყენება. მათი სტუმრობა კი დედამიწისთვის ისეთივე დამანგრეველი იქნება, როგორც ევროპელებისა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.**

# კაცობრიობა და უცხო ცივილიზაციები



როგორ გამოიყურებიან უცხოპლანეტელები, სად ცხოვრობენ და რას საქმიანობენ — ეს საკითხები, დიდი ხანია, აწუხებს მეცნიერებს და, მიუხედავად მრავალი განსხვავებული ჰიპოთეზისა, მკვლევარები თანხმდებიან, რომ უცხო პლანეტელები გარეგნულად ადამიანებს ჰგვანან.

კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის — საიმონ კონვეი მორისის აზრით, უცხოპლანეტელებმა ისეთივე ევოლუცია განიცადეს, როგორიც ადამიანებმა. პროფესორი მორისი დარწმუნებულია, რომ ადამიანებისა და უცხოპლანეტელების სხეულის ბიოქიმიური შემადგენლობა ერთნაირია. გარდა ამისა, თურმე უცხოპლანეტელებიც ქვედა კიდურებით დადიან და თვალებით ხედავენ. მათაც ახასიათებთ ისეთი ადამიანური ნაკლოვანებები, როგორიცაა სიხარბე და სისასტიკე. ისიც შესაძლებელია, რომ უცხოპლანეტელები ადამიანებზე გაცილებით ადრე არსებობდნენ სამყაროში.

პროფესორი კოლინ პილინჯერი, რომელიც ხელმძღვანელობდა მარსზე ექსპედიციებს, არ ეთანხმება მორისის ჰიპოთეზას და ამბობს, რომ დასკვნები მხოლოდ სამეცნიერო კვლევების შედეგებს უნდა ეფუძნებოდეს. მისი აზრით, მარსის სრულყოფილი შესწავლა უცხოპლანეტელებზე არსებულ ბევრ საიდუმლოს ახდის ფარდას.

## უცხოპლანეტელთა სასაფლაო

**ანთროპოლოგთა გუნდმა აფრიკაში, რუანდის ჯუნგლების კვლევისას რამდენიმე წლის წინათ საიდუმლო სასაფლაო იპოვა. მეცნიერებს თავდაპირველად ეგონათ, რომ უძველესი ხალხის სამარხს წააწყდნენ, მაგრამ გათხრების შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ ნაპოვნი არსებები ადამიანები არ იყვნენ.**

სამარხში 500 წელზე მეტი ხნის წინათ დამარხულთა კარგად შემონახული 200-ზე მეტი გვამი აღმოჩნდა. „სასაფლაო „საძმოა“, — გვიამბობს შვეიცარიელი ანთროპოლოგი დოქტორი **ჰუგო ჩაილზი**, — ისინი ძალიან მაღლები (2.13სმ) არიან, მეტისმეტად დიდი თავი აქვთ, ძნელი აღსადგენია, რა ადგილზე ჰქონდათ პირი, თვალები, ცხვირი. ალბათ, ერთმანეთს უკავშირდებოდნენ და მოძრაობდნენ ტელეპათიურად, იყენებდნენ ბგერით ტალღებს. შესაძლოა, უცხოპლანეტელთა დესანტის წევრები იყვნენ და დედამიწაზე გადმოსხდომისას შეეჯახნენ სასიკვდილო ვირუსს. ჩანს, უცხოპლანეტელებს არ აქვთ იმუნიტეტი დედამიწაზე არსებული დაავადებების მიმართ და ჩვეულებრივი ვირუსიც კი მათთვის დამღუპველი აღმოჩნდა. რაკი სამარხის სიახლოვეს არანაირი ტექნიკის კვალი არ აღინიშნებოდა, დანარჩენებმა, ალბათ, უკან გაფრენა მოახერხეს.



## ტურისტებმა უცხოპლანეტელები სრულიად შემთხვევით გადაიღეს

**ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ცნობილი მკვლევარის — მაიკლ კოენის სენსაციურმა ვიდეომასალამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება. მისი ინფორმაციით, ბრაზილიაში, სადაც ბრიტანელი ტურისტები ვიდეოზე იღებდნენ ადგილობრივ ბავშვებს, ვიდეოკამერამ შემთხვევით გადაიღო უცნაური, არამიწიერი არსებები, რომლებიც ადამიანებს ტყიდან უთვალთვალებდნენ.**

კოენი ამტკიცებს, რომ ეს არსებები უცხოპლანეტელები არიან და მეტიც: ის მიიჩნევს, რომ ვიდეო დედამიწაზე უცხოპლანეტელების ყოფნისა და ადამიანთა სიახლოვეს მათი მოქმედების ყველაზე თვალნათელი დადასტურებაა.

კადრებში აშკარად ჩანან პატარა, უცნაური ფორმის არსებები, რომლებიც ტყეს აფარებენ თავს და რომელთა აღნაგობა მართლაც ემთხვევა უცხოპლანეტელების დღემდე გავრცელებულ აღწერათაგან ყველაზე გავრცელებულს.



## ცხოვრობენ თუ არა უცხოპლანეტელები მთვარეზე

**ოდესმე გიფიქრიათ, რატომ შეწყვიტეს ასტრონავტებმა მთვარეზე დაშვება ან რატომ არ ვცდილობთ მთვარეზე ბაზის აშენებას? ეს ხომ უფრო ადვილი იქნება, ვიდრე კოსმოსში სადგურის გაკეთება, თანაც მთვარეზე დიდი რაოდენობის ნედლეულია. ასტრონავტ ნილ არმსტრონგის თქმით, მთვარეზე ბაზა უცხო ცივილიზაციას აქვს და სწორედ უცხოპლანეტელების მითითება იყო, მოვშორებოდით მთვარესო.**

საზღვაო დაზვერვის ოფიცერი **მილტონ კუპერი** ამბობს, რომ უცხოპლანეტელებს არა მხოლოდ მთვარეზე, არამედ დედამიწაზეც აქვთ ბაზა, სადაც ინახავენ უზარმაზარ ხომალდებს მანამ, სანამ დედამიწაზე პატარა მფრინავი თეფშებით მოგზაურობენ.

ნასას ყოფილი თანამშრომლის ინფორმაციით, ნასას „აპოლო-11“-თან ჰქონია შემდეგი საუბარი:

**ნასა: — რა არის მანდ?**

**„აპოლო 11“: — ძალიან დიდები არიან! ღმერთო ჩემო! არ დამიჯერებთ! აქ სხვა კოსმოსური ხომალდია! ისინი მთვარეზე არიან და ჩვენ გვიყურებენ!**

1979 წელს **მორის ჩატლეინმა**, ნასას საკომუნიკაციო სისტემის ყოფილმა უფროსმა, დაადასტურა, რომ ამსტრონგმა მართლაც ნახა მთვარეზე ორი კოსმოსური ხომალდი და რომ ამის შესახებ ნასაში ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ საუბრობდა.

## «საიდუმლოთა წიგნი»

**„საიდუმლოთა წიგნი“ 1947 წელს აშშ-ში დაიწერა, მას შემდეგ, რაც ნიუ-მექსიკოს შტატის სამხედრო ბაზაზე სამხედროებმა უცხოპლანეტელთა ხომალდი ჩამოაგდეს. მფრინავი თეფში და მკვდარი უცხოპლანეტელები ე.წ. მწვანე ოთახში ინახება.**

წიგნში უცხოპლანეტელების შესახებაა მოთხრობილი. მისი წაკითხვის უფლება მხოლოდ ამერიკის პრეზიდენტებს აქვთ.

1969 წლის 20 ივლისს ასტრონავტები: **ნილ არმსტრონგი, მაიკლ კოლინზი** და **ბაზ ოლდრინი** „აპოლო-11“-ით მთვარეზე დასხდნენ, სადაც 21 საათი გაატარეს. 2006 წელს, მთვარეზე გაფრენიდან 37 წლის შემდეგ, ტელეარხმა „დისქავერიმ“ გადაიღო დოკუმენტური ფილმი „აპოლონ-11“: გაუმხელელი საიდუმლო“, რომელშიც 76 წლის ბაზ ოლდრინი ამბობს: „უცხოპლანეტელებზე ინფორმაციის გასაჯაროება ნასამ აგვიკრძალა. ილუმინატორიდან სფეროს მაგვარ მფრინავ ობიექტს ვხედავდით, მაგრამ ამაზე ხმას არ ვიღებდით“.

# ლაზერით შენიღბვა ბოროტი უცხოპლანეტელებისგან დაგვიფარავს

**ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გამამხნევებლია მეცნიერების ახალი აღმოჩენა. კოლუმბიის უნივერსიტეტის ასტრონომებმა განაცხადეს, რომ კაცობრიობას ლაზერის გამოყენებით შეუძლია დედამიწა უხილავი გახადოს არამიწიერი ცივილიზაციებისთვის.**

პროფესორმა **დევიდ კიპინგმა** და ასპირანტმა **ალექს ტიჩიმ** ამის თაობაზე სტატია დაწერეს. რამდენიმე ცნობილი მეცნიერი, მათ შორის, **სტივენ ჰოკინგი,** მომხრეა კაცობრიობის იზოლირებისა სხვა პლანეტების ცივილიზაცებისაგან. მისი აზრით, შესაძლოა, ისინიც იმავე მეთოდების გამოყენებით, რომელსაც ვიყენებთ ადამიანები, ეძებენ დედამიწის მსგავს პლანეტებს.

ჯერჯერობით მხოლოდ კეპლერის ტელესკოპმა დაამტკიცა 1000-ზე მეტი პლანეტის არსებობა. და, თუ უცხოპლანეტელებიც მსგავს მეთოდებს იყენებენ სხვა ცივილიზაციების აღმოსაჩენად, გამორიცხული არ არის, აღმოეჩინათ დედამიწა. **ჰოკინგი და სხვა მეცნიერები შიშობენ, რომ შესაძლოა, უცხოპლანეტელებმა სცადონ დედამიწის რესურსების გამოყენება. მათი სტუმრობა კი დედამიწისთვის ისეთივე დამანგრეველი იქნება, როგორც ევროპელებისა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში.**

ახალი გამოკვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ ლაზერული გამოსხივება შენიღბავს დედამიწას, თუკი ლაზერის სხივი მიმართული იქნება ვარსკვლავისკენ, რომელზეც, შესაძლოა, უცხოპლანეტელები ცხოვრობენ.

ავტორების აზრით, 30 მეგავატი სიმძლავრის უწყვეტი ლაზერული სხივის ერთი წლის განმავლობაში 10 საათით გამოყენება საკმარისი იქნება შესანიღბავად და ტრანზიტული სიგნალის ჩასახშობად. ამისათვის საჭირო იქნება იმდენი ენერგია, რამდენსაც საერთაშორისო კოსმოსური სადგური გამოიმუშავებს ერთი წლის განმავლობაში. ქრომატული შენიღბვა შედარებით რთული პროექტი იქნება და მოითხოვს ლაზერის დიდ მასივს, რომლის საერთო სიმძლავრე 250 მეგავატი უნდა იყოს.

„მეორე მხრივ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ატმოსფერული სიგნატურების შენიღბვა, როგორიც არის ჟანგბადი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ 160 მეგავატი სიმძლავრის ლაზერით. შედეგად, სხვა ცივილიზაციას მოეჩვენება, რომ დედამიწაზე არც იყო და არც არის სიცოცხლე,“ — ამბობს ალექს ტიჩი.

ჩვენი არსებობის შენიღბვის გარდა, ასეთი ლაზერით შესაძლებელია ჩვენი არსებობის შესახებ ინფორმაციის გაცემაც. ამ შემთხვევაში, ავტორების აზრით, ლაზერული სხივი ერთგვარი საკომუნიკაციო საშუალება იქნება.

დევიდ კიპინგის კომენტარი: „მიმდინარეობს დისკუსია იმაზე, კაცობრიობამ საკუთარი თავის რეკლამირება უნდა მოახდინოს თუ უნდა განერიდოს განვითარებულ ცივილიზაციებს, რომლებიც პოტენციურად არსებობს პლანეტებზე გალაქტიკის სხვა ნაწილებში. ჩვენი სამუშაო კაცობრიობას აძლევს არჩევანის საშუალებას და, ვფიქრობთ, ამაზე ღირს დაფიქრება“.



თუ გავითვალისწინებთ, რომ კაცობრიობას უკვე შეუძლია ტრანზიტული სიგნალების მოდიფიცირება, ისიც უნდა დავუშვათ, რომ მსგავსი აზრი უცხო პლანეტელებსაც მოუვიდოდათ თავში.

ქვის ანალიზის შემდეგ მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მეტეორიტი განეკუთვნება ხონდრიტების კლასს და მზის სისტემის ჩასახვის ეპოქას ეკუთვნის, ანუ 4,5 მილიონი წლისაა. სამძებრო ექსპედიციის ხელმძღვანელმა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მეტეორიტი ოდესღაც მარსის ორბიტის მიღმა, მარსსა და იუპიტერს შორის მოძრაობდა და დედამიწაზე ხნიერია.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქვა, რომელიც დედამიწაზე დიდი ხნისაა

**ავსტრალიელმა გეოლოგებმა უძველესი მეტეორიტი აღმოაჩინეს. ქვა, რომლის წლოვანება, წინასწარი შეფასებით, 4,5 მილიარდ წელს შეიძლება უტოლდებოდეს, კოკისპირული წვიმების დაწყებამდე მცირე ხნით ადრე იპოვეს.**





მეტეორიტის 2015 წლის 27 ნოემბერს ჩამოვარდა. ეს პროცესი, შესაძლოა, დაენახათ უილიამ კრიკის (ავსტრალია) და სხვა მისი მახლობელი რეგიონების მკვიდრთ. მეტეორიტის ჩამოვარდნა ასევე აღბეჭდა 32-მა მაღალსიჩქარიანმა კამერამ, რომლებიც განთავსებული იყო ველური ავსტრალიის ამ რეგიონში. კამერების მიერ შეგროვებული ინფორმაცია მეცნიერებმა გააანალიზეს და მიახლოებით დაადგინეს მეტეორიტის დაცემის ადგილი. ეს ადგილი აღმოჩნდა დამშრალი **ტბა ეირი**.

განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერაცია ორი უპილოტო დრონის საშუალებით, გამოჰკითხეს ადგილობრივი მოსახლეობაც.

სამდღიანი ძებნის შემდეგ, რომელიც დაიწყო 2015 წლის 29 დეკემბერს, იპოვეს 1,7-კილოგრამიანი რიყის ქვა, ჩაფლული მარილიან სქელ ტალახში, ორმოს 42 სანტიმეტრის დიამეტრი ჰქონდა.

რამდენიმე დღითაც რომ დაეგვიანებინათ, მეტეორიტის მოძებნა შეუძლებელი გახდებოდა, რადგან კოკისპირული წვიმა დამშრალი ტბის აუზს წყლით აავსებდა და ამ ძვირფას მონაპოვარს ეირის ფსკერზე დამარხავდა.

ქვის ანალიზის შემდეგ მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ მეტეორიტი განეკუთვნება ხონდრიტების კლასს და მზის სისტემის ჩასახვის ეპოქას ეკუთვნის, ანუ 4,5 მილიონი წლისაა. სამძებრო ექსპედიციის ხელმძღვანელმა ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მეტეორიტი ოდესღაც მარსის ორბიტის მიღმა, მარსსა და იუპიტერს შორის მოძრაობდა და დედამიწაზე ხნიერია.

**მეტეორიტი 2015 წლის 27 ნოემბერს ჩამოვარდა. ეს პროცესი, შესაძლოა, დაენახათ უილიამ კრიკის (ავსტრალია) და სხვა მისი მახლობელი რეგიონების მკვიდრთ. მეტეორიტის ჩამოვარდნა ასევე აღბეჭდა 32-მა მაღალსიჩქარიანმა კამერამ, რომლებიც განთავსებული იყო ველური ავსტრალიის ამ რეგიონში. კამერების მიერ შეგროვებული ინფორმაცია მეცნიერებმა გააანალიზეს და დაადგინეს მეტეორიტის დაცემის ადგილი — დამშრალი ტბა ეირი**



# ჰაერის დაბინძურების შედეგად მსოფლიოში ყოველწლიურად 5.5 მლნ ადამიანი კვდება

**უახლესი კვლევები აჩვენებს, რომ 5.5 მლნ ადამიანზე მეტი დაბინძურებული ჰაერის გამო ნაადრევად იღუპება. მოკვდავობის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ამ მხრივ აღინიშნება მზარდი ეკონომიკის ქვეყნებში — ინდოეთსა და ჩინეთში.**

თბოელექტროსადგურები, ქარხნები, ავტომობილები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში აირებით აბინძურებს ჰაერს. უახლესმა კვლევებმა ცხადყო, რომ, მიუხედავად ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფის შემცირების მცდელობისა, ჰაერის დაბინძურება მატულობს და, გადამწყვეტი ზომები თუ არ გატარდა, შედეგი სავალალო იქნება.

„ჰაერის დაბინძურება ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორია სიკვდილის რისკისა, — განაცხადა ბრიტანული კოლუმბიის (კანადა) უნივერსიტეტის პროფესორმა **მაიკლ ბრაუერმა,** — მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია მსგავსი დაბინძურების შემცირება".

მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ინდოეთსა და ჩინეთში სიკვდილიის შემთხვევების 55% ჰაერის დაბინძურებითაა გამოწვეული. 2013 წელს ჩინეთში ამ მიზეზით 1.6 მლნ ადამიანი გარდაიცვალა, ინდოეთში — 1.4 მლნ.



# 10 ათასჯერ ძლიერი ლაზერი

**რენტგენის ლაზერის გამოყენებით მეცნიერებმა შეძლეს, დაენახათ, როგორ მიმდინარეობს ქიმიური რეაქციები, როგორ გადანაცვლდებიან ელექტრონები, გადახედეს ფოტოსინთეზზე თავიანთ თვალსაზრისსაც და ა.შ. 10 000-ჯერ ძლიერი ლაზერი ახალი სიტყვაა მეცნიერებაში. იგი აქამდე ამოუხსნელ ბევრ საიდუმლოებას ახდის ფარდას.**

დაახლოებით ერთი მლრდ დოლარი ჩაიდო ამ პროექტში, რათა ლაზერი 10 000-ჯერ ძლიერი და 8000-ჯერ ჩქარი გამხდარიყო. ეს ლაზერი ერთ მლნ-მდე იმპულსებს გამოუშვებს წამში (შედარებისთვის: წინამორბედს შეეძლო 120 იმპულსის გამოშვება).

ასეთი ძლიერი მიკროსკოპის საშუალებით შესაძლებელი გახდება ახალი სამედიცინო პრეპარატების, ინოვაციური ელექტრონიკის შექმნა და ენერგიის ახალი წყაროების აღმოჩენაც კი.







ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



24 საათის განმავლობაში ბამბუკი 3 მეტრამდე შეიძლება გაიზარდოს.






# შვედეთის პოლიციამ ქურდობისთვის კატა დააპატიმრა

**შვედეთის პოლიციამ დააკავა კატა, რომელიც პროდუქტებს იპარავდა. შესაბამისი განცხადებით პოლიციას მიმართა ოჯახმა, რომლის კატებსაც თავს ესხმოდა და „აყაჩაღებდა“ მოხეტიალე კატა.**

დაჩაგრული ცხოველების პატრონები ჩაუსაფრდნენ მოძალადეს, შეიპყრეს და შემდეგ შემთხვევის ადგილას პოლიცია გამოუძახეს.

ის ღამე ქურდმა პოლიციის განყოფილებაში გაატარა, მეორე დღეს კი პატრონმა მოაკითხა და შინ წაიყვანა. მან კატის დაპატიმრების ამ კურიოზულ სიტუაციაზე კომენტარისგან თავი შეიკავა.



# სერფერი 12-მეტრიანი ტალღიდან მოწყდა

**ამერიკელი სერფერი ტომ დოსლანდი ჰავაის სანაპიროებთან გიგანტურ ტალღებზე სრიალისას მოულოდნელად მოსწყდა 12-მეტრი სიმაღლის ტალღას და სასწაულებრივად გადარჩა. ათობით თვითმხილველმა ეს მომენტი ვიდეოფირზე გადაიღო.**



# ნორილსკში ქარმა «ბოინგი» შემოაბრუნა

**რამდენიმე კვირის წინათ ნორილსკის (რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარე ქალაქი, სადაც ყინვა მინუს 47 გრადუსს აღწევს) აეროპორტ ალიკელში ძლიერმა ქარმა „ბოინგ-737“ 180 გრადუსით შემოაბრუნა. იმ მომენტში თვითმფრინავში მგზავრები არ იმყოფებოდნენ.**

# კანიბალი ცხენები

**ორიოდე წლის წინათ ავსტრალიის ალპებში, ეროვნულ პარკში, კანიბალი გარეული ცხენები გამოჩნდნენ. კანიბალიზმის მოწმე გახდა ორი ეკოლოგი — დოქტორ დრისკოლი და დოქტორ ბენქსი.**

მეცნიერებმა თავდაპირველად უთავო ცხენის ლეში იპოვეს, რომელსაც მუცელი გამოჭმული ჰქონდა. ამ სანახაობამ მეცნიერები გააკვირვა, რადგან პარკში მტაცებელი ცხოველები არ ეგულებოდათ, ამიტომ მეორე დღეს კვლავ მივიდნენ იმ ადგილას. მათ თვალწინ წარმოუდგენელი სურათი გადაიშალა: 2 ცხენი თანამოძმის ლეშს ჭამდა.

მეცნიერები ამ სანახაობამ გააოგნა, რადგან ხორცის ჭამა ბალახისმჭამელი ცხენისთვის დამახასიათებელი არ არის. ეკოლოგებმა გარეული ცხოველების ასეთ უჩეულო ქცევა შიმშილით ახსნეს.

შიმშილის მიზეზი გარეული ცხენების პოპულაციის არნახული ზრდაა. ავსტრალიის ალპებად წოდებულ „თოვლიან მთებში“ 2003 წელს გარეული ცხენების პოპულაცია 2369 ინდივიდს შეადგენდა, 2012 წელს კი მათმა რაოდენობამ 13 ათასს გადააჭარბა.

ეს პატარა მასალა, თუ დაგჭირდა, მიაბი.

# წყალმცენარეებისგან შექმნილი ბოთლი ეკოლოგიურ პრობლემას გადაჭრის

**კაცობრიობა ყოველწლიურად აურაცხელი რაოდენობით წყალს სვამს, რომელიც პლასტიკურ ბოთლებშია ჩამოსხმული, მაგრამ იშვიათად თუ დაფიქრებულა ვინმე იმაზე, რა ემართება ამ ბოთლებს მოხმარების შემდეგ.**





როგორც ჩანს, მათ არაფერი ემართებათ. მასალა, რომლისგანაც ისინია დამზადებული, ჩვეულებრივ პირობებში ათობით და ასობით წელიწადი უნდება გახრწნას. ასე რომ, წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ნაგავი დაგროვდება ნაგავსაყრელებზე, ზღვებსა და ოკეანეებში.

ამ პრობლემამ საფიქრალი გაუჩინა კაცობრიობას. კარგა ხანია, სპეციალისტები მუშაობენ ალტერნატიული ჭურჭლის შესაქმნელად. ახლახან ისლანდიის ხელოვნების აკადემიის სტუდენტმა **არი იონსონმა**, რომლის მიზანი იყო ბოთლის გამძლეობის ვადის შემცირება, ამ პრობლემის გადაჭრის ასეთი გზა მოიფიქრა — მან შექმნა ბოთლი წითელი და მურა წყალმცენარეების გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტისგან. ეს წყალმცენარე **აგარი** (აგარ-აგარი) ბევრია შავსა და თეთრ ზღვებში, აგრეთვე, წყნარ ოკეანეში. იგი კვების მრეწველობაში გამოიყენება, როგორც ჟელატინის შემცვლელი. სწორედ ამიტომ უწოდეს მას მალაიზიის მცხოვრებლებმა აგარი, რაც ქართულად ჟელეს ნიშნავს.



სტუდენტის მიერ გამოგონებული ბოთლი მხოლოდ იქამდე ინარჩუნებს ფორმას, სანამ მასში სითხე ასხია. წყალს თუ გადმოვღვრით, ცარიელი ჭურჭელი დაიჭმუჭნება და რამდენიმე კვირაში ჩვეულებრივ გაიხრწნება. ასეთ ბოთლში ჩასხმული წყალი აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. თუ სურვილი გექნებათ, ასეთი ბოთლის შეჭმაც კი შეგიძლიათ, რადგან ის სრულიად უვნებელია.

„ვკითხოთ საკუთარ თავს: რატომ ვიყენებთ წყლის დასალევად ისეთი მასალისგან დამზადებულ ჭურჭელს, რომლის გახრწნას ასობით წელი სჭირდება?“ — სვამს კითხვას ისლანდიელი გამომგონებელი.

შესაძლოა, ეს გამოგონება სულაც არ იყოს პრობლემის გადაჭრის იდეალური ვარიანტი, მაგრამ ახალგაზრდა გამომგონებელს იმედი აქვს, რომ მისი ეს ნაბიჯი სხვებს უკეთეს იდეამდე მიიყვანს.

**სტუდენტის მიერ გამოგონებული ბოთლი მხოლოდ იქამდე ინარჩუნებს ფორმას, სანამ მასში სითხე ასხია. წყალს თუ გადმოვღვრით, ცარიელი ჭურჭელი დაიჭმუჭნება და რამდენიმე კვირაში ჩვეულებრივ გაიხრწნება. ასეთ ბოთლში ჩასხმული წყალი აბსოლუტურად უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. თუ სურვილი გექნებათ, ასეთი ბოთლის შეჭმაც კი შეგიძლიათ, რადგან ის სრულიად უვნებელია**

# ქალები სულ უფრო ლამაზდებიან

**მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქალები კაცობრიობის არსებობის განმავლობაში სულ უფრო ლამაზდებიან, მამაკაცები კი ახლაც ისეთები არიან, როგორიც გამოქვაბულის მკვიდრი მათი წინაპარი იყო.**

ამასთანავე, ლამაზ ქალებს თურმე მეტი ბავშვი უჩნდებათ, უფრო ხშირად — გოგონები.



ცდილობენ რა, ახსნან ეს ფენომენი, მეცნიერები მიუთითებენ, რომ ლამაზი გოგონას ხელისა და გულისათვის ბრძოლაში მამაკაცთა დიდი რაოდენობაა ჩართული. შედეგად ქალს უჩნდება დამატებითი შესაძლებლობები მოიწყოს თავისი ცხოვრება და მომავალი ოჯახი. პროფესორმა მარკუს იოკელმა, რომელიც ამ საკითხზე კვლევას ხელმძღვანელობდა, გააკეთა დასკვნა, რომ ლამაზ მშობლებს უფრო ხშირად გოგონები უჩნდებათ. მეცნიერებმა ეს ევოლუციის სტრატეგიად მიიჩნიეს, რომელიც ადამიანის გენეტიკაში დევს. მათი აზრით, ფიზიკური მიმზიდველობა მემკვიდრეობითია.

კითხვაზე: **რატომ არ შეცვალა ევოლუციამ მამაკაცის გარეგნობა?** — მეცნიერების პასუხი ასეთია: კაცობრიობის მშვენიერი ნაწილისთვის ცხოვრების მეგზურის არჩევაში მთავარი მამაკაცის გარეგნობა არ არის. უფრო მნიშვნელოვანია, მამაკაცს შეეძლოს მეუღლისა და ოჯახის დაცვა, მათთვის კომფორტული პირობების შექმნა.

**ერთ-ერთი ძვირად ღირებული ცხენი შერიფ დენსერია. მისმა მფლობელმა ის 40 000 000 დოლარად შეაფასა, მაგრამ ორგზის ჩემპიონის შვილმა ვერ გაამართლა ახალი პატრონის იმედები. შერიფ დენსერმა ვერ მოიგო ვერც ერთი შეჯიბრება. ამ ჯიშის ცხენს აქვს კარგი მხედველობა, სმენა და ყნოსვა. მისი აცქვეტილი ყურები და დიდი ნესტოები ხაზს უსვამს ცხენის მახვილ სმენასა და ყნოსვას. ხოლო გრძელი კუდი კარგი იარაღია მწერების მოსაგერიებლად.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დედამიწაზე უამრავი ლამაზი არსება ბინადრობს, მათგან გამორჩეულია ცხენი. ამ ცხოველის გრაციოზულობას ისე შეუძლია მოხიბლოს ადამიანი, რომ მის შესაძენად დიდძალი საფასურის გადახდაც კი არ დაიშუროს. გთავაზობთ ყველაზე ძვირად ღირებული ცხენების ათეულს:

# ათი ყველაზე ძვირად ღირებული ცხენი მსოფლიოში



*ერთ-ერთი ძვირად ღირებული ცხენი **შერიფ დენსერია.** მისმა მფლობელმა ის 40 000 000 დოლარად შეაფასა, მაგრამ ორგზის ჩემპიონის შვილმა ვერ გაამართლა ახალი პატრონის იმედები. შერიფ დენსერმა ვერ მოიგო ვერც ერთი შეჯიბრება.

ამ ჯიშის ცხენს აქვს კარგი მხედველობა, სმენა და ყნოსვა. მისი აცქვეტილი ყურები და დიდი ნესტოები ხაზს უსვამს ცხენის მახვილ სმენასა და ყნოსვას. ხოლო გრძელი კუდი კარგი იარაღია მწერების მოსაგერიებლად. მწერების დასაფრთხობად ასევე შეუძლია ამოძრაოს კანი და ასე დააფრთხოს ისინი. ამ ცხენის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-35 წელია, იშვიათ შემთხვევაში 40-50 წელსაც აღწევს. ჩვეულებრივ, შობს ერთ კვიცს, იშვიათად — ორს.




* **წმინდა სისხლის** ლეგენდარულმა **ულაყმა**, რომელსაც **სეკრეტარიატი** ერქვა, პატრონს სიკვდილის შემდეგაც დიდი შემოსავალი მოუტანა. 1972 წელს პატრონმა ეს ცხენი 6 მილიონ დოლარად შეაფასა. 1970-იან წლებში სეკრეტარიატი მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი გახდა. ის ფასობდა უფრო ძვირად, ვიდრე წმინდა ოქროსგან გაკეთებული მისი ძეგლი.



*ცხენი, სახელად **პაინ ჩიპი** 4 მლნ დოლარად გაიყიდა, ის 21-ე საუკუნეში (2000 წლიდან) 1 მილ დისტანციაზე სირბილში რეკორდსმენად ითვლება. პენ ჩიპმა ეს დისტანცია 1.51 წამში დაფარა.

**მსოფლიოში ძვირად ღირებული ცხენები არც ისე ბევრია. ცხენების საშუალო ფასი მათი გამოყენების მიხედვით განისაზღვრება. უნივერსალური ცხენი 2-3 ათას დოლარამდე ღირს. ცხენები, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობენ, შესაძლოა, მილიონობით დოლარიც ღირდეს, ხოლო მუშა ცხენების ფასი დაახლოებით 500 დოლარია.**



***სუფთა სისხლის ულაყი გრინ მანქი** 21-ე საუკუნეში ერთ-ერთი ძვირად ღირებული ცხენია. 2006 წელს აუქციონზე 2 წლის გრინ მანქი 19 200 000 დოლარად გაიყიდა, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისთვის მას არ ჰქონდა არც ერთი გამარჯვება, მაგრამ მშობლები ჰყავდა წარმატებული, მათ არაერთ ჯირითში გაიმარჯვეს. გრინ მანქის მშობელი სამგზის ჩემპიონი იყო სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ინგლისური დოლის ცხენს აქვს კარგად გამოყვანილი „სახის" ფორმა და გრძელი კისერი, ღრმა მკერდი, მოკლე ზურგი, გამხდარი ტანი და გრძელი ფეხები.



***მისტიკ პარკი** — ამერიკული ცხენი, რომელიც სირბილის გასაოცარ ტექნიკას ფლობდა, 5.5 მილიონ დოლარად გაიყიდა (სხვა ცნობებით — 5.8 მილიონ დოლარად).



***წმინდა სისხლის ულაყი,** სახელად **სარდარი**, მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენია და ერთ-ერთი ძვირად ღირებული ცხენია მსოფლიოში. ის 3.5 მილიონ დოლარად არის შეფასებული. სარდარის წარმატებები, სულ ცოტა, რვა რეკორდს ითვლის, მათ შორის არის საუკეთესო დრო დისტანციის დაფარვაში. 1500 მეტრი 1.30 წამში — ეს რეკორდი ცხენმა 2 წლისამ დაამყარა. შეჯიბრება რუსეთში 1965 წელს გაიმართა.

***არაბული ულაყი, სახელად სმეტანკა**, მფლობელმა 60 000 რუსულ მანეთად იყიდა. ეს თანხა მე-18 საუკუნის რუსეთში კოლოსალური იყო, ამ ფასად იმხანად სასახლესაც შეიძენდით. სმეტანკას ულამაზესი შეფერილობის გამო შეარქვეს ეს სახელი.



*** ულაყი, მეტსახელად ანიჰილატორი** 1989 წელს 19 000 000 დოლარად გაიყიდა. ცხენს შოკოლადის შეფერილობა და ულამაზესი ფაფარი ამშვენებდა. ამასთანავე, ანიჰილატორი ძალიან სწრაფი ცხენი იყო.




***სატელ დენსერი** წმინდა ჯიშის ინგლისური ულაყია, 1985 წელს ცხენი წარმოდგენილი იყო აუქციონზე და მისი საწყისი ფასი 13 მილიონ დოლარს შეადგენდა. რა თქმა უნდა, მისი მშობლებიც სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრების არაერთგზის ჩემპიონები იყვნენ.

სუფთა სისხლის დოლის ცხენები მაქსიმალური დატვირთვით გამოდიან, რაც იწვევს დიდი რაოდენობით უბედურ შემთხვევას და ჯანმრთელობის პრობლემებს. დამტკიცებულია, რომ დოლში ყველაზე მაღალია ფატალური დასასრულის პროცენტი, ვიდრე ნებისმიერ სხვა ლეგალურ სპორტში. ასევე, სუფთა სისხლის ცხენებს აქვთ მიდრეკილება სხვა სირთულეების მიმართაც. მაგალითად, ფილტვებიდან სისხლის დენა, დაბალი ნაყოფიერება, აქვთ არანორმალურად პატარა გული და პატარა ჩლიქები, სხეულის მასასთან შედარებით.



***ბრაბანსონის** (ბელგიური ჯიშის ტვირთმზიდი) ჯიშის ცხენი სახელად **ჰერკულესი** 1917 წელს ავსტრალიელმა მშენებელმა 47 500 დოლარად შეიძინა. ჰერკულესი დღესაც ყველაზე ძვირად ღირებულად ითვლება ამ ჯიშის ცხენებში.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„თბილისი“

1901 წლის 18 აპრილს თელავში დაიბადა ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელენე ახვლედიანი.

მისი მნიშვნელოვანი ფერწერული ნამუშევრებია: „ძველი თბილისი“; „კახეთი — ზამთარი“; „პარიზის ერთ-ერთი კუთხე“; „ალაზნის ველი“; „იმერეთი“; „შემოდგომა“ და სხვ.

გარდაიცვალა 1975 წლის 30 დეკემბერს.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებისა და გამოჩენილი ადამიანების დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები ისტორიაში





*** 1452 წლის 15 აპრილს ქალაქ ვინჩისთან ახლოს მდებარე დასახლება ანკიანოში დაიბადა იტალიელი მხატვარი, სკულპტორი, არქიტექტორი, მეცნიერი, მწერალი, მუსიკოსი აღორძინების ეპოქის ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი ლეონარდო და ვინჩი (ლეონარდო დი სერ პიერო და ვიჩი).**

მისი ყველაზე პოპულარული ნამუშევრებია: „მონა ლიზა“ („ჯოკონდა“), „ქალი ყარყუმით“, „მადონა ლიტა“, „ადამიანი ვიტრუვიუსის მიხედვით“, „საიდუმლო სერობა“ და სხვ.

მას, აგრეთვე, მიაწერენ პარაშუტის, პროჟექტორის, კატაპულტის, რობოტის, ორლინზიანი ტელესკოპის, ველოსიპედის, საფრენი აპარატისა და არბალეტის გამოგონების გამოქვეყნებას.

გარდაიცვალა 1519 წლის 2 მაისს.



*** 1889 წლის 16 აპრილს ლონდონში დაიბადა გამოჩენილი ამერიკელი და ინგლისელი მსახიობი, სცენარისტი, კომპოზიტორი და რეჟისორი ჩარლზ სპენსერ (ჩარლი) ჩაპლინი.**

მისი ყველაზე პოპულარული ფილმებია: „ბიჭუნა“, „პარიზელი ქალი“, „ოქროს ციებ-ცხელება“, „ცირკი“, „დიდი ქალაქის ჩირაღდნები“, „დიდი დიქტატორი“, „მეფე ნიუ იორკში“ და სხვ.

ჩარლი ჩაპლინი გარდაიცვალა 1977 წლის 25 დეკემბერს.



*** 1902 წლის 18 აპრილს დამნაშავის ამოსაცნობად პირველად გამოიყენეს დაქტილოსკოპია.**

დაქტილოსკოპია — ეს არის ადამიანის იდენტიფიკაციის მეთოდი თითის ანაბეჭდების მიხედვით. თითოეულ ადამიანს ხელისგულსა და თითებზე აქვს ინდივიდუალური რელიეფური ხაზები, რომლებიც, თუ არ დაზიანდა, სიცოცხლის ბოლომდე არ იცვლება. სწორედ ამას ეფუძნება დაქტილოსკოპია, რომლის შესახებაც ჰიპოთეზა ინგლისელმა **უილიამ გერშელმა** წამოაყენა.

1895 წელს კი ინგლისელი ანთროპოლოგისა და ფსიქოლოგის — **ფრენსის გალტონის** ძალისხმევით დაქტილოსკოპიური მეთოდი დამნაშავეთა ამოსაცნობად დააკანონეს.



*** 1912 წლის 15 მაისის ღამეს ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში აისბერგთან შეჯახებისას კატასტროფა განიცადა იმხანად ყველაზე დიდმა სამგზავრო ხომალდმა „ტიტანიკმა“.**

გემის ჩაძირვის შედეგად დაიღუპა 1500-მდე ადამიანი, გადარჩა — 800.

გემის ნამსხვრევები 1985 წლის 1 სექტემბერს იპოვეს კუნძულ ნიუფაუნდლენდიდან დაახლოებით 500 კმ-ის დაშორებით.




*** 1895 წლის 17 აპრილს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩხმურში დაიბადა მსახიობი და პედაგოგი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სსრკ-ის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა.**

1915 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. სწავლობდა კიევისა და თბილისის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტზე. მონაწილეობდა სცენისმოყვარულთა წარმოდგენებში. 1922 წელს შევიდა აკაკი ფალავას თეატრალურ სტუდიაში. პროფესიულ სცენაზე პირველად გამოვიდა 1923 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა.

შესრულებული აქვს როლები შემდეგ სპექტაკლებში: „გაყრა“ (ანდუაფრი), „ჰამლეტი“ (ლაერტი), „თეთნულდი“ (არგიშდი), „ყაჩაღები“ (კარლ მოორი), „ოტელო“ (ოტელო — ეს როლი საბჭოთა სამსახიობო ხელოვნების შედევრად ითვლება), „სირანო დე ბერჟერაკი“ (სირანო), „ტარიელ გოლუა“ (ტარიელი), „ბორის გოდუნოვი“ (ბორის გოდუნოვი) და სხვ.

გადაღებულია ფილმებში: „გიორგი სააკაძე“ (გიორგი სააკაძე); „ალბანეთის დიდი მეომარი სკანდერბერგი“ (სკანდერბერგი), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ (გიჟუა) და სხვ.

გარდაიცვალა 1972 წლის 23 ივნისს.



*** 1922 წლის 14 აპრილს თბილისში დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი დავით თორაძე.**

1946 წელს შესრულდა მისი პირველი სიმფონია, 1947 წელს — პირველი ოპერა, ხოლო 1949 წელს ბალეტი „გორდა“.

ავტორია მუსიკისა ფილმებისთვის: „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“; „პალიასტომი“; „შეხვედრა წარსულთან“ და სხვ.

გარდაიცვალა 1983 წლის 8 ნოემბერს.



*** 14 აპრილი ქართული ენის დღეა.**

დედაენის დღე დაწესდა 1990 წელს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების აღსანიშნავად, როცა საბჭოთა მთავრობის მიერ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მცდელობის საპასუხოდ თბილისში 100-ათასიანი დემონსტრაცია ჩატარდა.



*** 1945 წლის 16 აპრილს დაიწყო საბჭოთა არმიის შეტევა ბერლინზე.** ბერლინის შტურმი ბელორუსიის პირველი და მეორე, აგრეთვე, უკრაინის 1-ელი ფრონტის ბოლო ოპერაციაა საბჭოთა ჯარებისა საომარი მოქმედებების ევროპული თეატრის სცენაზე. ის გრძელდებოდა 23 დღეს — 1945 წლის 16 აპრილიდან 8 მაისამდე.

ბერლინის შტურმში მონაწილე საბჭოთა ჯარისკაცებს ხელმძღვანელობდა სამი მარშალი: **გიორგი ჟუკოვი, კონსტანტინე როკოსოვსკი** და **ივანე კონევი**, რომლებიც მითითებებს პირადად სსრკ-ის მთავარსარდლისგან — **იოსებ სტალინისგან** იღებდნენ.

ბერლინის შტურმი 1945 წლის 8 მაისს გერმანელი ფაშისტების უპირობო კაპიტულაციით დასრულდა.



*** 1865 წლის 14 აპრილს ფორდის სახელობის თეატრში (ვაშინგტონი) სპექტაკლ „ჩვენი ამერიკელი ბიძაშვილის“ მიმდინარეობისას მსახიობი ჯონ ილკს ბუტი პრეზიდენტის ლოჟაში შეიჭრა და აშშ-ის მე-16 პრეზიდენტს — აბრაამ ლინკოლნს თავში ესროლა.**

ლინკოლნი მეორე დღეს, 15 აპრილს გარდაიცვალა.



ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## შეეცადეთ, დაასრულოთ დაწყებული საქმეები. იმოქმედეთ წინდახედულად და პედანტურად. სასიკეთო პერიოდია ვერძის, ლომისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**13 – 19 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი**

### ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

ძალების მოზღვავების გამო, დარწმუნებული იქნებით, რომ ყველა პრობლემას დამოუკიდებლად გაუმკლავდებით, მაგრამ პროცესები შეიძლება ისე წარიმართოს, რომ დახმარება დაგჭირდეთ. ბევრ ვერძს მოუწევს პირადი ინტერესების დაცვა ხელმძღვანელებთან.

კარგი პერიოდია სამოგზაუროდ და ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად. თუ ამას საყვარელ ადამიანთან ერთად მოახერხებთ, ბედნიერი იქნებით.

შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 14 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 17 აპრილი.**

### კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

დაძაბული პერიოდია. შეიძლება, მოგიწიოთ თქვენი საქმიანობის შესახებ ახსნა-განმარტების მიცემა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში რეპუტაცია შეგელახებათ.

საყვარელი ადამიანი სასიამოვნო სიურპრიზს მოგიწყობთ, რაც გუნება-განწყობილებას გამოგიკეთებთ.

მეტი დრო დაუთმეთ ხანშიშესული ოჯახის წევრების პრობლემების მოგვარებას.

მაღალია ტრავმირების ალბათობა, გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 16 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

### ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

საყოფაცხოვრებო საკითხებზე განსხვავებული თვალსაზრისის გამო, შესაძლოა, თქვენი უახლოესი გარემოცვის ერთ-ერთი წევრი დაგიპირისპირდეთ. მოთოკეთ ემოციები და შეეცადეთ, უთანხმოება დიპლომატიური გზით მოაგვაროთ.

გაგიჩნდებათ ცხოვრების გამრავალფეროვნების სურვილი და, თუ გაქვთ საშუალება, უცხოეთში წადით ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად.

დაქორწინებულ ტყუპებს საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში, შესაძლოა, პრობლემა შეექმნათ, მიზეზი კი წინდაუხედავი საქციელი იქნება.

კარგი პერიოდია მავნე ნივთიერებებისგან ორგანიზმის გასაწმენდად. დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 13 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 16 აპრილი.**

### კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

წარმატებას მიაღწევთ პროფესიულ სფეროში და გაიუმჯობესებთ ფინანსურ მდგომარეობას, მაგრამ, თუ ფულს ეკონომიურად არ დახარჯავთ, პრობლემები შეგექმნებათ.

მოსალოდნელია უთანხმოება ოჯახის წევრებთან. საყვარელმა ადამიანმა, შესაძლოა, გეგმები შეგიცვალოთ, თქვენ კი ამისთვის მზად არ იქნებით. არ გაღიზიანდეთ, შეეცადეთ, მოვლენებს სხვა კუთხით შეხედოთ და მწვავე კონფლიქტს თავიდან აიცილებთ.

ცხარე და ცხიმიანი საკვების, აგრეთვე, ალკოჰოლის ხშირად მიღებამ შეიძლება ღვიძლი დაგიავადოთ, ამიტომ შეეცადეთ, მცენარეული საკვები უფრო ხშირად მიიღოთ.

**დადებითი დღე: 15 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

### ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

ხელისშემშლელი გარემოებების მიუხედავად, თუ პროცესებს ღრმად გააანალიზებთ, წარმატება თქვენი თანამდევი იქნება. უარი თქვით ისეთ კავშირებზე, რომლებიც წინსვლაში ხელს გიშლით.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ, ეს განსაკუთრებით ეხება მარტოხელა ლომებს, რომლებიც რთული არჩევანის წინაშე დადგებიან.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ კარგი იქნება, თუ თავს აარიდებთ სტრესულ სიტუაციებს.

**დადებითი დღე: 17 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 15 აპრილი.**

### ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

ხელმძღვანელი ქალწულები უნდა ეცადონ, თავიდან აიცილონ უთანხმოება კოლექტივში, რადგან მაღალია ხელქვეითებს შორის დაპირისპირების ალბათობა. შეეცადეთ, ნეიტრალური პოზიცია დაიკავოთ, მიუხედავად იმისა, ვის მხარეს იქნება სიმართლე.

საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებაზე განსხვავებული თვალსაზრისის გამო შესაძლოა, თავიდან ვერ აიცილოთ უთანხმოება საყვარელ ადამიანთან, მიზეზი კი თქვენი აზრის აგრესიულად გამოხატვა იქნება.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ. შეამცირეთ კომპიუტერის მონიტორთან ან ტელევიზორთან ჯდომის დრო და უარი თქვით ცუდად განათებულ ოთახში ტექსტის კითხვაზე, რადგან მაღალია თვალის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 15 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 18 აპრილი.**

### სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

ამ პერიოდში თქვენი დევიზი უნდა იყოს „ათჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“. შეამოწმეთ მიღებული ინფორმაცია და კარგად გააანალიზეთ პირობები კომერციული გარიგებისა, რომელიც შეიძლება შემოგთავაზონ.

შესაძლოა, მწვავე კონფლიქტამდე საქმე არ მივიდეს, მაგრამ მხოლოდ დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლებთ უთანხმოების თავიდან აცილებას საყვარელ ადამიანთან ან ნათესავებთან. უთანხმოების მოგვარება მხოლოდ თქვენზე იქნება დამოკიდებული.

მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად. კარგი იქნება, თუ დილაობით გამამხნევებელ სავარჯიშოებს შეასრულებთ.

**დადებითი დღე: 14 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 16 აპრილი.**

### მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

ამ პერიოდში თქვენი მთავარი ამოცანა სამსახურსა და ოჯახს შორის დროის სწორად განაწილება იქნება.

ნუ გადადებთ საქმეს, რადგან შესაძლოა დასრულება გაგიჭირდეთ. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ და კომერციულ ოპერაციებში მონაწილეობას, რადგან არ არის გამორიცხული, თაღლითობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

საყვარელი ადამიანებისთვის მეტისმეტი მოთხოვნების წაყენება დაძაბავს თქვენს ურთიერთობას, სჯობს, პრობლემური საკითხები კონსესუსის გზით, ერთობლივი ძალებით მოაგვაროთ.

მაღალია ვირუსით დაავადების რისკი. მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

**დადებითი დღე: 15 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 13 აპრილი.**

### მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

ცვლილებების პერიოდია. ყველა საქმეს წარმატებით დაასრულებთ, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ, ამიტომ გაბედულად შეუდექით იდეების განხორციელებას. მოგეცემათ დამატებითი შემოსავლის წყაროს პოვნის შანსი და ეს შანსი აუცილებლად უნდა გამოიყენოთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ, მათ თქვენი დახმარება დასჭირდებათ. შესაძლოა, შეგექმნათ სისხლის მიმოქცევის დარღვევით გამოწვეული პრობლემა.

გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 17 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 19 აპრილი.**

### თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

შეძლებთ თქვენი საუკეთესო უნარების გამოვლენას, რომელიც შეუმჩნეველი არ დარჩება ხელმძღვანელობას და გაგიჩნდებათ კარიერაში წინსვლის შანსი. ამას ხელს შეუწყობს კოლეგებთან კეთილგანწყობილი ურთიერთობაც.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას თავი შეიკავეთ პრეტენზიების გამოთქმისგან, რადგან შესაძლოა გამოიწვიოთ კონფლიქტი, რომლის მოსაგვარებლადაც დიდი დრო და ძალისხმევა დაგჭირდებათ.

დიდია ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, განსაკუთრებით — რევმატიზმისა და ართრიტის.

მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 16 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 14 აპრილი.**

### მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

შესაძლოა მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც თქვენს მომავალზე დიდ გავლენას იქონიებს.

კოლეგებთან ან ახლობლებთან შეიძლება შეგექმნათ პრობლემა, რომლის მიზეზიც თქვენ იქნებით. მოთოკეთ ემოციები და ენას კბილი დააჭირეთ.

ბევრი მერწყული მოხვდება, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას განახლება სჭირდება. იყავით გულწრფელი, გადადგით შემხვედრი ნაბიჯი და თქვენს ურთიერთობაში ახალი ერა დაიწყება.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 19 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 13 აპრილი.**

### თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

შესაძლოა, შეხვდეთ გავლენიან ადამიანს, რომელიც დადებით გავლენას იქონიებს თქვენს კარიერასა და ცხოვრების მატერიალურ მხარეზე. არ არის გამორიცხული უთანხმოება ახლობელთან, მიზეზი ვალის დაუბრუნებლობა იქნება და ამის გამო დაწყებული უთანხმოება შეიძლება კონფლიქტში გადაიზარდოს, ამიტომ ახლა არ ღირს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

კარგი პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. დაელაპარაკეთ მას, გულწრფელად აუხსენით, რა არის თქვენი განაწყენების მიზეზი და ერთად მოძებნეთ გამოსავალი.

კომპიუტენთან დიდხანს ჯდომის გამო, შესაძლოა, გაგიუარესდეთ მხედველობა, ამიტომ მიიღეთ პრევენციული ზომები — მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 14 აპრილი.**
**უარყოფითი დღე: 17 აპრილი.**

# პანამის სკანდალის კვალზე

**უდიდეს ოფშორულ სკანდალში, რომელიც ერთ კვირაზე მეტია, მსოფლიო პრესაში აგორდა, წამყვანი ქვეყნების ლიდერები აღმოჩნდნენ გარეული.**
**უწინარეს ყოვლისა, რას წარმოადგენს „პანამის დოკუმენტები“, იგივე „პანამური არქივი“, ანუ „პანამური დოსიე“? სამივე ეს სახელწოდება არაფორმალურია: პანამის იურიდიული კომპანია „მოსეკ ფონსეკადან“ გადინებული დოკუმენტების კრებულს ასე მოიხსენიებენ მსოფლიო პრესაში. დოკუმენტები 2016 წლის 3 აპრილს გასაჯაროვდა. მოიცავს 1977 წლიდან 2015 წლამდე პერიოდს. მასალების ძირითადი თემატიკა, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში შეისწავლა და გამოიძია 400-მდე ჟურნალისტმა ამერიკული არაკომერციული ორგანიზაცია „ჟურნალისტური გამოძიების საერთაშორისო კონსორციუმის“ ეგიდით, პოლიტიკოსების, მასმედიის, მაღალი დონის მოხელეების და ა.შ. დაფარულ საკუთრებას ეხება.**



„არქივი“ 11,5 მილიონ ფაილს შეიცავს — საქმიან მიმოწერას, ამონაწერებს საბანკო ანგარიშებიდან, პასპორტების ასლებს და სხვა დოკუმენტებს, რომლებიც დაახლოებით 214 ათას კომპანიას ეხება. მათი უმრავლესობა პანამასა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზეა განლაგებული. გამოქვეყნებამდე რამდენიმე დღით ადრე (მიაქციეთ ყურადღება!) „მოსეკ ფონსეკამ“ კლიენტებს დაუგზავნა წერილი, რომლითაც აცნობა თავისი სერვერების გატეხვის შედეგად ფირმის მიმოწერისა და საქმიანობის გაჟონვის შესახებ. ამით, ფაქტობრივად, დაადასტურა ჟურნალისტების ხელში მოხვედრილი დოკუმენტების ნამდვილობა.

დოკუმენტებში მოხსენიებულია სახელმწიფოების 12 ყოფილი და ამჟამინდელი ლიდერი.

დღეს მოქმედ ლიდერებს შორის არიან: უკრაინის პრეზიდენტი **პეტრე პოროშენკო**, არგენტინის პრეზიდენტი **მაურისიო მარკი**, გაერთიანებული არაბეთის ემირატების პრეზიდენტი **ხალიფ იბნ ზაიდ ალ ნაჰაიანი**, ისლანდიის პრემიერ-მინისტრი **დავიდ გიუნლეი გიუნლეიგსონ სიგმიუნდიური** და საუდის არაბეთის მეფე **სალმან იბნ აბდულ-აზიზ ალ საუდი.**

უკრაინის პრეზიდენტს დღემდე არ შეუსრულებია საპრეზიდენტო არჩევნების წინ უკრაინელი ამომრჩევლებისთვის მიცემული პირობა, რომ გაყიდდა თავის აქტივებს, რომლებიც საკონდიტრო კორპორაცია **„როშენში“** ჰქონდა, — წერს ჟურნალისტი **ვიტალი კროპმანი**, — გამოქვეყნებული მასალები მოწმობს, რომ უკრაინის ლიდერის საფინანსო და იურიდიულმა კონსულტანტებმა შექმნეს რამდენიმე ოფშორული კომპანია ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, კვიპროსსა და ნიდერლანდების სამეფოში, სადაც გაიტანეს „როშენის“ აქტივები და ამით თავი აარიდეს გადასახადების გადახდას უკრაინაში. ამასთანავე, სახელმწიფოს მეთაურმა 2014 წლის საფინანსო დეკლარაციაში არ მიუთითა თავის ახალ ოფშორულ კომპანიაზე. ცნობა ამის შესახებ არც 2015 წლის დეკლარაციაშია შეტანილი. ჟურნალისტთა გამოძიებით კი დადგინდა, რომ პოროშენკო 2015 წლის 8 დეკემბრის მონაცემებით კვლავ რჩებოდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული ფირმის აქციების მფლობელად.

**„ტრანსპარენს ინტერნეიშნლის“** უკრაინის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორის **ალექსეი ხმარას** აზრით, სავსებით დასაშვებია, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ კონსტიტუციის იმ დებულების დარღვევაზე, რომლითაც პრეზიდენტს ეკრძალება ბიზნესსაქმიანობა.

მკვლევარები მიუთითებენ იმაზეც, რომ პოროშენკომ მეორედაც მოატყუა უკრაინელები, როცა 2016 წლის 14 იანვარს განაცხადა, რომ თავისი წილი „როშენში“ გადასცა „ბრმა“ ტრასტს და აღარ აქვს საშუალება, გააკონტროლოს თავისი აქტივები.

უკრაინის პრეზიდენტის საფინანსო კონსულტანტი **მაკარ პასენიუკი** ამ ყველაფერს ხსნის იმ სიძნელეებით, რომლებიც წარმოექმნათ „როშენის“ გაყიდვასთან დაკავშირებით და რომლებიც ეფუძნება პოტენციური ინვესტორების შიშს, „უკიდურესად არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოების გამო რომ წარმოიქმნა“.

**ცნობისთვის: უკრაინული გამოცემა „ზერკალო ნედელი“ აქვეყნებს 15 კომპანიის სიას, რომლებსაც აკონტროლებს სახელმწიფოს მეთაური.**

მედიის ინფორმაციით პოროშენკო არის საბოლოო ბენეფიციარი ტელეკომპანიებისა და „ექსპრესინფორმის“, სასოფლო-სამეურნეო ფირმების —„ივანკოვცის“, „მასარგოსა“ და „დნეპრაგროლანის“, ქარხანა „ლენინსკაია კუზნიცას“ და რიგი სხვა საწარმოების.

„უცნაური რამ მოხდა გაზეთ **„გარდიანის“** რედაქციაში, — წერს ჟურნალისტი **ტობი იანგი**, — როცა გასულ ორშაბათს მისი რედკოლეგიის წევრები ეს-ესაა გამოსაჩენ ადგილზე გამოქვეყნებული „პანამის დოკუმენტებით“ გამოწვეული წარმატებით ტკბებოდნენ. აღგზებული

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის — მარკ ტენერის მონაცემებით, მის ქვეყანას კავშირი აქვს «პანამის დოკუმენტების» გამოკვლევის დაფინანსებასთან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრების მეშვეობით**

იყვნენ: მამხილებელი მასალები რამდენიმე თვე ხელთ ჰქონდათ და აპირებდნენ გამოქვეყნებული ცნობები დამატებითი ფაქტებით გაემდიდრებინათ გადასახადების დამალვის დახვეწილი სქემების შესახებ, რომელთა გამოყენებაში იმხილებოდნენ ლეიბორისტული პარტიის ცალკეული ლიდერები.

გაზეთი „გარდიანი“ ერთ-ერთია 107 მედიაორგანიზაციიდან, რომელთაც საშუალება ჰქონდათ, საიდუმლოდ ექექა 15,5 მილიონი დოკუმენტის მასა თავიანთი ბრილიანტის პოვნის იმედით. არადა, თვით ეს მასა იყო ნამდვილი განძი: მხილებანი, რომლებსაც ეს დოკუმენტები შეიცავდა, უთუოდ გაუმწარებდა ცხოვრებას “ტორების” (ლეიბორისტების) მთავრობას.

ეს კი გაზეთის რეიტინგს აამაღლებდა.

ასეთი მზიანი მოლოდინის ახსნა შეიძლებოდა იმით, რომ მათ „ან არ იცოდნენ, ან დაივიწყეს, რომ კომპანია **„გარდიან მედია გრუპმა“** გამოიყენა გადასახადებისგან თავისუფალი კომპანია კაიმანის კუნძულებზე იმისთვის, რათა არ გადაეხადა კორპორაციული გადასახადი. როგორც ჩანს, მათ არაფერი იცოდნენ ასეულობით მილიონის შესახებ, რითაც კომპანია „გარდიან მედია გრუპი“ მრავალი წლის განმავლობაში აფინანსებდა ოფშორულ ჰეჯფონდებს“, — ასკვნის ავტორი.

**გადასახადებისგან თავის არიდება, „თავისუფალი“ და „მიუკერძოებელი“ პრესის ყოველდღიური საქმიანობის ტრადიციული შემადგენელი ნაწილია. დასავლეთში თუ აღმოსავლეთში — ერთნაირად.**

კომპანია **ბი-ბი-სის** ცნობით, „პანამის დოკუმენტები“ გააანალიზეს დამოუკიდებელმა და სანდო ექსპერტებმა და მიიჩნიეს, რომ გამოძიება ჩატარდა პატიოსნად და მიუკერძოებლად, მაშასადამე, სანდოა და სწორედ ამიტომ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში.

სანდოა და მიუკერძოებელიო.

მაგრამ, როცა შეიტყობ, რომ არაკომერციული საერთაშორისო ორგანიზაცია **„ვიკილიქსის“** ინფორმაციით, „პანამის დოკუმენტების“ გადინებაში **ჯორჯ სოროსის** ხელი ურევია, ხოლო გამოძიების ორგანიზატორია **აშშ-ის საერთაშორისო განვითარების ორგანიზაცია („იუსაიდი“),** ეჭვი შეგეპარება ზემოთ მოხმობილ არგუმენტში ექსპერტების ობიექტურობაზე მითითების სისწორეში.

და აქვე დაგებადებათ შეკითხვა: **გლობალური ფინანსური მაქინაციის ყოვლისწამლეკავი ტალღა, როგორ, რა მანქანებით არ შეეხო ამერიკის სახელისუფლო ელიტას?**

სოროსი ვინც არის, ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის. ისიც იცის, რომ „იუსაიდი“ აშშ-ის სახელმწიფო მმართველობის ერთ-ერთი ცენტრალური ორგანოა. სააგენტოს ადმინისტრატორსა და მის მოადგილეს ნიშნავს პრეზიდენტი სენატის თანხმობით. „იუსაიდი“ აშშ სახელმწიფო მდივანთან კოორდინაციით საქმიანობს. ხოლო მისი პროგრამების დასაფინანსებლად ყოველწლიურად გამოიყოფა აშშ ფედერალური ბიუჯეტის ერთი პროცენტი.

ვინმემ ჭკუათამყოფელმა შეიძლება წარმოიდგინოს, რომ ამ სააგენტოს მიერ ორგანიზებული რომელიმე ღონისძიება შეიძლება ამერიკის შეერთებული შტატების დისკრედიტაციისკენ იქნება მიმართული?!

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის **მარკ ტენერის** მონაცემებით, მის ქვეყანას კავშირი აქვს „პანამის დოკუმენტების“ გამოკვლევის დაფინანსებასთან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრების მეშვეობით.

დოკუმენტებში მოხსენიებული არიან 61 სახელმწიფოს მეთაურთა ნათესავები და ახლო მეგობრები.

ამ სიაში ამერიკის შეერთებული შტატები ნახსენები არ არის. იმიტომ ხომ არა, რომ, როგორც ნოდარ დუმბაძის გმირი იტყოდა, „ხელის მოსაკიდებელი ადგილი არ დარჩა“?

დიდი ბრიტანეთის გაზეთ **„ობსერვერის“** ცნობით **„შემნახველი ბანკი“** თავისი კლიენტების ლობირების მიზნით იყენებს კომპანია **„პოდესტა გრუპს“**, რომლის დამფუძნებლები არიან ძმები **ტონი** და **ჯონ პოდესტები.** ჯონი აშშ ყოფილი პრეზიდენტის **ბილ კლინტონის** აპარატის ყოფილი ხელმძღვანელი და პრეზიდენტ **ბარაკ ჰუსეინ ობამას** მრჩეველია, ამჟამად იგი სათავეში უდგას ჰილარი კლინტონის საარჩევნო შტაბს. მისი ძმა ტონი კი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი და ყოვლისშემძლე ლობისტია, აგროვებს შეწირულობებს ჰილარი კლინტონის საპრეზიდენტო კამპანიისთვის. „ობსერვერის“ ჟურნალისტის აზრით, მათ უნდა მისცენ განმარტება „შემნახველ ბანკთან“ ურთიერთობის შესახებ.

ეტყობა, აქ იკვეთება რაღაც კავშირი ოფშორთან გადასახადებისგან თავის არიდების მიზნით, რის საშუალებასაც ამერიკის ლიბერალური კანონმდებლობა აძლევს.

**„ვიკილიკსი“ ასკვნის, რომ „პანამის დოკუმენტების“ გამოქვეყნების ერთ-ერთი მიზანი იყო საინფორმაციო შეტევა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის წინააღმდეგ.**

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივნის **პესკოვის** განცხადებით, რომელიც მან „დოკუმენტების“ გამოქვეყნებამდე ერთი კვირით ადრე გააკეთა, დაინტერესებული ძალების მიერ მზადდებოდა ინფორმაციული შეტევა პუტინის წინააღმდეგ. მისი მიზანია რუსეთის დესტაბილიზაცია და დასუსტება. გამოკვლევას პესკოვმა სპეკულაცია უწოდა, აღნიშნა, რომ კრემლში ამ ერთდროულ აქციას უკავშირებენ საზღვარგარეთ „პუტინოფობიის მაღალ გრადუსს“. **რუსეთის პრეზიდენტი კი მიიჩნევს, რომ „პანამის დოკუმენტების“ გასაჯაროება არის დასავლეთის სამყაროს მხრიდან რუსეთის მიმართ მტრული დამოკიდებულების გაძლიერების შედეგი.**

საინტერესოა, რომ პუტინის გვარი „დოკუმენტებში“ არსად მოხსენიებული არ არის, — ამას ადასტურებს **„ნიუ იორკ თაიმსის“** 3 აპრილის გამიშვება.

**P.S. ამასობაში უკრაინის ტელესივრცეში დაატრიალეს კლიპი, რომელშიც თავზე „პანამკა“ ჩამოფხატული პოროშენკო და მისი კოლეგები ხვანცალებენ ალა პუგაჩოვას ახალგაზრდობაში ნამღერი „პანამას“ მუსიკალური თანხლებით.**
**„ცეკვავენ ვარსკვლავები“.**

მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**


## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

**ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოქს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.**

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე, მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე) თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3 (დედათა და ბავშვთა მონასტერი)**



ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894